186
1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი—ივნისი

1986 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1986 წ.

## შინაარსი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

31. რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

32. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 10 მარტის № 248 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

33. „ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით კაპიტალური მშენებლობის სრულყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 14 მარტის № 328 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

34. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის სპორტული ნაგებობებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირის განაკვეთების დამტკიცების შესახებ.

35. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის სამეურნეოანგარიშიანი რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის შექმნის შესახებ.

36. საბითუმო ვაჭრობის წესით მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა გადაყვანის **შესახებ**.

37. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 16 აპრილის № 179 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

38. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

39. საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დებულებისა და მისი ცენტრალური აპარატის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ.

40. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

41. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ.

42. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 12 ნოემბრის № 802 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემირების წესის დებულების მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

43. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 31 რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში არსებულმა დიდმა საწარმოო პოტენციალმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და 1985 წლის აპრილის პლენუმების შემდეგ მის განვითარებაში დასახულმა დადებითმა ძვრებმა, მართვის გარდაქმნამ ხელსაყრელი წანამძღვრები შეუქმნეს წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, აგრეთვე სურსათზე მოსახლეობის, ხოლო ნედლეულზე — გადამმუშავებელი მრეწველობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებას.

ამასთანავე, რესპუბლიკის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოები და ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაოდ სრულად ვერ იყენებენ არსებულ საწარმოო პოტენციალს, ნელა ნერგავენ წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევებს, სუსტად იყენებენ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულ ფორმებს, უშვებენ დისპროპორციებს სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ცალკეული დარგების შემდგომ განვითარებაში.

„ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 მარტის № 358 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— მიიღონ სახელმძღვანელოდ და განუხრელ შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 მარტის № 358 დადგენილება „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“;

— უმოკლეს ვადებში შეიმუშაონ და განახორციელონ აგროსამრეწველო კომპლექსის სასოფლო-სამეურნეო, გადამმუშავებელი და სხვა საწარმო-ორ-

ეროვნული

განიზაციების მომზადებისა და მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანის ღონისძიებათა კომპლექსი;

— გარდაქმნან მართვის ყველა რგოლის მუშაობა ამ დადგენილების მოთხოვნების თანახმად, სრულყონ მართვის, დაგეგმვისა და სტიმულირების მეთოდები; ორიენტაცია მისცენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს არსებული საწარმოო პოტენციალის უფრო სრულად გამოყენებისათვის;

— უზრუნველყონ აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა უბნის შემდგომი განმტკიცება კვალიფიციური კადრებით, რომლებსაც შესწევთ უნარი წარმართონ მუშაობა ეფექტიანად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევათა საფუძველზე;

— აამაღლონ კადრების მომზადების დონე, ამასთან მიაღწიონ მათგან მართვის თანამედროვე მეთოდების, კოლექტიური იჯარითა და სამეურნეო ანგარიშით მუშაობის პრინციპების სრულ ათვისებას, ინტენსიური, ენერგიადამზოგველი და სხვა პროგრესული ტექნოლოგიების ღრმა ცოდნას, რესურსების ეკონომიურად და რაციონალურად გამოყენების უნარს.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა:

— 1987 წლის ბოლომდე უზრუნველყოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციების გადაყვანა კოლექტიური იჯარისა და სამეურნეო ანგარიშის პირობებზე; ფართოდ გამოიყენოს კონკრეტული პირობების გათვალისწინებით საოჯახო იჯარა როგორც კოლექტიური იჯარის ერთ-ერთი ფორმა;

— უზრუნველყოს 1987 წელს წარმოების მართვის საამქრო სტრუქტურის და საბოლოო პროდუქციისათვის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების სისტემის დანერგვა;

— განახორციელოს მოსამზადებელი სამუშაოები 1987 წლიდან მთლიანი შემოსავლის მიხედვით შრომის ანაზღაურებაზე საამქროების, ბრიგადების, ფერმებისა და რგოლების, აგრეთვე მთლიანად მეურნეობათა კოლექტივების გადასაყვანად;

— შემოიღოს დადგენილი წესით სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება რეალიზებული (მთლიანი) პროდუქციის მოცულობის შესაბამისად გამონგარიშებული ფასდებების (ნორმატივების) მიხედვით;

— შეიმუშაოს და 1986 წლის ბოლოსათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კონკრეტული წინადადებანი ეკონომიკის განმტკიცების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის დაჩქარების, არამწარმოებლური დანახარჯების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერებისა და რენტაბელობის ამაღლების შესახებ შემდგომ რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების თვითანაზღაურების პრინციპებზე გადაყვანით;

— შეიმუშაოს და დაამტკიცოს წესი კომიტეტში იმ სახსრების ცენტრალიზაციისა, რომლებიც მიიღება დაბალრენტაბელური და ზარალიანი მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების დანამატებისაგან, 10 პროცენტამდე ოდენობით განსაკუთრებით რთულ პირობებში მომუშავე ცალკეული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის დახმარების გასაწევად;

— განახორციელოს დაგეგმვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის დადგენილი წესით დაგზავნილი საკონტროლო ციფრების, კაპიტალური დაბანდებათა ლიმიტებისა და ძირითად სახეობათა მატერიალური რესურსების მიწოდების საფუძველზე, რომლებიც განისაზღვრება ნორმატივებიდან და მიწის ეკონომიკური შეფასებიდან გამომდინარე; საზოგადოებრივი წარმოების, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარების გათვალისწინებით;

— უზრუნველყოს, მოყოლებული 1987 წლიდან, საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მხოლოდ იმ მაჩვენებლების დაგზავნა, რომლებიც გათვალისწინებულია მეურნეობის გაძღოლის ახალი პირობებით;

— საჭიროების კვალობაზე შეიტანოს ცვლილებანი იმ მეურნეობათა სიებში, რომლებიც იღებენ დაბალრენტაბელური და ზარალიანი მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების დანამატებს, და მეურნეობათა ჯგუფებისა და პროდუქციის სახეობათა მიხედვით დანამატების ოდენობაში და წარმოუდგინოს ისინი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;.

— განახორციელოს ღონისძიებანი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ მოსახლეობისათვის მარცვალფურაჟის, უხეში და წვნიანი საკვების, თესლისა და სარგავი მასალის, მოზარდეული პირუტყვისა და ფრინველის, მყარი სათბობის მიყიდვის გასადიდებლად; გააფართოოს დახმარება მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობებისადმი საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავების, აგროქიმიური და ვეტერინარული მომსახურების საქმეში;

— შემოიღოს 1987 წლიდან საკვების ხარჯვის ახალი ნორმატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცხოველეობის პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად მარცვლეულის დანახარჯების შემცირებას;

— შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კონკრეტული წინადადებანი მცენარეული ცილისა და ცხოველური წარმოშობის ცილის წარმოების გადიდების შესახებ, რაც უზრუნველყოფს მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისათვის მეცხოველეობაში მოხმარებული საკვების სრულ შეწონასწორებას;

— გააძლიეროს კონტროლი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო-საფინანსო საქმიანობისადმი, საკუთარი საბრუნავი სახსრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვა-შენარჩუნებისადმი, მიცემული კრედიტების ეფექტიანად გამოყენებისა და დროულად დაბრუნებისადმი;

— შეიტანოს საკონტროლო-სარევიზიო შემოწმებათა გეგმებში კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მექანიზმის დანერგვის მოთხოვნების შესრულება;

— უზრუნველყოს შინასამეურნეო საჭიროებისათვის ხორცისა და რძის გამოყენების დადგენილი წესის განუხრელი დაცვა;

— ყოველწლიურად განსაზღვროს მეურნეობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმის შესრულებას, მათთვის გადიდებული მოთხოვნილების დამატებითი მატერიალური რესურსების გამოსაყოფად;

— დაადგინოს დამტკიცებული ნორმატივების თანახმად ძირითადი ფონდებითა და შრომითი რესურსებით თითოეული მეურნეობის უზრუნველყოფის დონე;

— გააძლიეროს ყურადღება საქართველოს სსრ მთავრობის ადრე მიღებული გადაწყვეტილებებით მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანილი ხორც-რძისა და კვების მრეწველობის საწარმოების მუშაობისადმი, უზრუნველყოს მათი შემდგომი სრულყოფა და გაღრმავება, ამასთან მხედველობაში იქონიოს საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის შრომითი კოლექტივების დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის ამაღლება;

— შეიმუშაოს და განახორციელოს 1987-1990 წლებში კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ კომიტეტის სამშენებლო ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივ განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას, მშენებლობის სამეურნეო და საიჯარო წესების ინტეგრაციის შემდგომ გაფართოებას, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოების სიმძლავრეთა ზრდას, მშენებლობაში პროგრესული კონსტრუქციებისა და ადგილობრივი მასალების ფართოდ გამოყენებას, საპროექტო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების შემცირებას და ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას;

— დააწესოს ქმედითი კონტროლი ობიექტების მშენებლობის ნორმატიული ვადების დაცვისადმი.

დაწესდეს, რომ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა, აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმიანობა მუშაობისა და სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას შეფასდება, უწინარეს ყოვლისა, მეურნეობის გაძღოლის ახალი ეკონომიკური მექანიზმის დანერგვის მდგომარეობის მიხედვით.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— კვების პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად განსაზღვრონ მიწოდების გეგმების შესრულების შემდეგ რაიონების, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მთლიანად რესპუბლიკის განკარგულებაში დასატოვებელი პროდუქციის ნუსხა, ასორტიმენტი და პროდუქციის მოცულობა;

— შეიმუშაონ და წარმოუდგინონ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სპეციალიზებული ნედლეულის ზონების ფორმირებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა რაციონალური განლაგების შესახებ, ამასთან მხედველობაში იქონიონ ამის საფუძველზე ინტეგრირებული აგროსამრეწველო გაერთიანებების, კომბინატებისა და საწარმოების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ნედლეულის რესურსების კომპლექსურ გამოყენებას, მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის წარმოებას, სატრანსპორტო და სხვა ხარჯების შემცირებას.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა და ცეკავშირის გამგეობამ:

— უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების სიმძლავრეთა განვითარება მისი დანაკარგების ლიკვიდაციისა და მომხმარებელთათვის უფრო თანაბარზომიერი მიწოდების მიზნით;

— შეიმუშაონ და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში ხელშეკრულებათა შესაბამისად გამოზრდილი პირუტყვის, ფრინველის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის შესყიდვის ორგანიზაციის გაუმჯობესების და კოოპერაციული ვაჭრობისათვის დაწესებულ ფასებში ძირითადად ადგილობრივი მომარაგებისათვის მისი რეალიზაციის შესახებ;

— დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებთან და მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებთან სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საწარმოო კავშირურთიერთობის განმტკიცების ღონისძიებანი;

— საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მონაწილეობით შეიმუშაონ 1986 წლის 15 სექტემბრამდე და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასაბუთებული წინადადებანი დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზრების განვითარების შესახებ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისაგან იმ პროდუქციის დაუბრკოლებლივ შესასყიდად, რომლის რეალიზაცია შეიძლება მოხდეს დაგეგმილი დამზადების 30 პროცენტის ანგარიშში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა ყოველწლიურად გამოუყონ საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს კომბინირებული საკვების საწარმოებლად საფურაჟე მარცვლეული, სამრეწველო გამომუშავების ცილოვანი ნედლეული, ვიტამინები, ანტიბიოტიკები და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი (სპეცმომხმარებელთათვის გასაგზავნი კომბინირებული საკვების წარმოების მოცულობის გათვალისწინებით), საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში ამ მიზნებისათვის განსაზღვრული მოცულობიდან გამომდინარე.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ შეიმუშაონ და 1986 წლის ბოლომდე წარმოადგინონ წინადადებანი:

— სამრეწველო პროდუქციის ფასების გადიდების გამო კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების წარმოების ხარჯების ზრდასთან დაკავშირებით შესასყიდი ფასების შესაბამისი ცვლილების ხარჯზე ფასთა ეკვივალენტურობის დაცვის შესახებ;

— სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის დაგეგმილ მოცულობაზე გაანგარიშებით გასაცემი თანხების საერთო ოდენობის ფარგლებში სოფლის მეურნეობის ცალკეულ სახეობათა პროდუქციის შესასყიდი ფასების შემდგომი სრულყოფის შესახებ.

7. საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ გაუწიონ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს დახმარება ფასწარმოქმნის საფუძვლებზე მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, აგრეთვე პრეისკურანტების, საინსტრუქციო და ფასწარმოქმნის შესახებ სხვა მასალების გამოცემასა და საწარმო-ორგანიზაციებისათვის დაგზავნაში.

8. სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ გააძლიეროს კონტროლი იმისადმი, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სხვა საწარმოები და ორგანიზაციები ეფექტიანად იყენებდნენ მათთვის გამოყოფილ ფულად სახსრებს.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და რესპუბლიკის სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად:

— მოამზადოს და 1986 წლის ბოლომდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ანგარიში რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკური ექსპერიმენტების შესახებ მათი შეწყვეტის ან გავრცელების მიზანშეწონილობის დასაბუთებული წინადადებებითურთ;

— გააღრმაოს აგროსამრეწველო წარმოების მართვის, დაგეგმვის, და-ფინანსებისა და სტიმულირების სისტემის შემდგომი სრულყოფის კომპლექ-სური მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური ექსპერიმენტების გან-ხორციელება, ამასთან აუცილებლად შეუთანხმოს ისინი საქრთველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. განევადოთ დაბალრენტაბელურ და ზარალიან კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, გადამმუშავებელ საწარმოებსა და სამეურნეობათა-შორისო სამშენებლო ორგანიზაციებს სსრ კავშირის სახბანკის სესხების დაუბ-რუნებელი დავალიანება, რაც 1986-1990 წლებში უნდა დაიფაროს, სულ 243 მილიონი მანეთის ოდენობით, № 1-4 დანართების თანახმად.).[1]

ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომი-ტეტს გადაანაწილოს საჭიროების კვალობაზე სსრ კავშირის სახბანკის სა-ქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან შეთანხმებით სსრ კავშირის სახბან-კის კრედიტები, რომლებიც გამოყოფილია 1986 წლისათვის.

11. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინსტრომ გაუწიოს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ორგანიზაციებს დახმარება საფინანსო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, ბიუჯეტის ასიგნებათა ეფექტიანი გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ზარალიანობისა და დაბალი რენტაბელობის ლიკვიდაციის, ეკონომიკური სტიმულირების ფონ-დების შექმნისა და გამოყეხების, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსა-მტკიცებლად, სისტემის მუშაკთა, სპეციალისტთა და ხელმძღვანელთა შრო-მის ორგანიზაციისა და მაღალი საბოლოო შედეგებით მატერიალური დაინტე-რესების გასაუმჯობესებლად დამატებითი ფინანსური რესურსების გამოვ-ლენის საქმეში.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო ა გროსამრეწველო კომიტეტმა, აფხა-ზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონო-მიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ კონტროლი:

— დაგეგმილი დანახარჯების გასაწევად ეკონომიკურად სუსტი კოლმეურ-ნეობებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების დროულად და სრულად დანიშნულებისამებრ ათვისებისადმი;

— დაბალრენტაბელური და ზარალაინი მეურნეობების მიერ იმ ასიგნე-ბათა გამოყენებისადმი, რომლებიც გამოეყოთ მათ ბიუჯეტიდან სახელმწიფო-სათვის მისაყიდი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების და-ნამატების გასაცემად, რათა ეს სახსრები უპირატესად მოხმარდეს მათი მატე-რიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას;

— სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გათვალისწინებულ ფინან-სური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ხარჯვისადმი, ამასთან გამო-რიცხონ მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევები.

1 დანართები არ მოიყვანება

ეროვნული

13. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა:

— ორგანიზაცია გაუწიონ ახდალი ეკონომიკური მექანიზმის ღრმად შესწავლას, აამაღლონნ აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელი კადრების, ყველა სპეციალისტისა და მუშაკის მომზადება-გადამზადების დონე;

— გააძლიერონ ყურადღება მასობრივი პროფესიების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისადმი, ამასთან მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მათგანი ფლობდეს ეკონომიკის საფუძვლებს, სრულყოფილად იცოდეს მინდობილი საქმე, შეეძლოს პრაქტიკულად უზრუნველყოს მა ღალი შრომის ნაყოფიერება და წარმოების ეფექტიანობა;

— მიაღწიონ პარტიული, სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, შრომითი კოლექტივების ინიციატივის განვითარებასა და შემოქმედებითი აქტიურობის ამაღლებას, თითოეული მუშაკისათვის მინდობილი საქმის, წარმოების სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და მაღალი საბოლოო შედეგების მიღებისათვის მაღალი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვას.

14. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 მარტის № 358 დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

*

*      *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სპეციალისტები, შრომითი კოლექტივები მთლიანად გამოიყენებენ ახალ ხელსაყრელ პირობებს, მიაღწევენ შექმნილი პოტენციალისა და გამოყოფილი რესურსების სკუგების მნიშვნელოვან ამაღლებას, პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარისხის გაუმჯობესებასდაამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ჯ. პატიაშვილი**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1986 წ., 14 ივნისი, № 408

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 32 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 10 მარტის № 248 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 10 მარტის № 248 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიების დებულების ნაწილობრივ შესაცვლელად გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული პრემიის მინიჭება არა ყოველწლიურად, არამედ ორ წელიწადში (ყოველ კენტ წელს). ამ მიზნით:

— აღნიშნული დებულების მე-2 პუნქტში სიტყვა „ყოველწლიურად" შეიცვალოს სიტყვებით: „ორ წელიწადში ერთხელ (ყოველ კენტ წელს);

— დებულების მე-5 პუნქტის სიტყვების „. . . პრემიების კომიტეტი მიიღებს" შემდეგ ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით: „მინიჭების წლის არა უგვიანეს 1 მაისისა".

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი** | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია** |

ქ. თბილისი, 1986 წ. 24 ივნისი, № 425.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 33 „ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით კაპიტალური მშენებლობის სრულყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 13 მარტის № 328 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე

ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით კაპიტალური მშენებლობის შემდგომი სრულყოფის შესახებ, აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 13 მარტის № 328 თანდართული დადგენილება „ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით კაპიტალური მშენებლობის სრულყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხი მიიჩნიონ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანად, რომლის მიზანია საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა, სახალხო მეურნეობის გადაყვანა ინტენსიური განვითარების გზაზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძირითადი საპროგრამო მითითებების რეალიზაცია — ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება და ხალხის კეთილდღეობის სწრაფი ზრდა.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საწარმოო გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა:

— განახორციელონ ღონისძიებანი მეთორმეტე ხუთწლედში დაგეგმვისა და მშენებლობის წესზე საწარმოებისა და ობიექტების გადასაყვანად მათი მშენებლობის ხანგრძლივობის და ვადაზე და ვადამდე ამოქმედების დაწესებული ნორმების ზუსტი შესაბამისობით;

— თანამიმდევრულად შეამცირონ ასამოქმედებელ სიმძლავრეთა ერთეულზე ხვედრითი კაპიტალური დაბანდებანი, დანერგონ სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობა საიჯარო ორგანიზაციებსა და შემკვეთებს და მშენებლობის სხვა მონაწილეებს შორის;

— უზრუნველყონ რესპუბლიკის ეკონომიკისა და დარგების პროპორციული განვითარების განმსაზღვრელი საწარმოო სიმძლავრეების, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების, აგრეთვე სახალხო მეურნეობისათვის უმნიშვნელოვანესი პროდუქციის გამომშვები სიმძლავრეების პირველ რიგში გადაცემა საექსპლუატაციოდ შესაბამის საიჯარო სამინისტროებთან და სამშენებლო ორგანიზაციებთან შეთანხმებით;

— დადგენილი წესით დროებით დააკონსერვონ მშენებარე ობიექტები, რომელთა ტექნიკური დონე არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და რომლებიც არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნენ მათი ამოქმედებისათვის კაპიტალური დაბანდებებით მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმების შესაბამისად;

— გაითვალისწინონ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის პროექტში მოქმედ რესპუბლიკურ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის განკუთვნილი სახსრების გადიდება საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის არანაკლებ 50 პროცენტამდე. ამასთან გაერთიანებებმა და საწარმოებმა მოახმარონ ამ მიზნებს წარმოების განვითარების ფონდის სახსრები.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ თავმოყრილი მშენებლობის რაიონებში ახალ საწარმოთა განლაგებასთან და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსური გადაწყვეტა, ამასთან მხედველობაში იქონიონ სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეთა გადიდება, ობიექტების დროულად და სრულად უზრუნველყოფა მაღალმწარმოებლური მანქანებითა და მექანიზმებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან მნიშვნელოვნად ამაღლდეს სამშენებლო წარმოების ტექნიკური დონე; განსაზღვრონ საწარმოებისა და ორგანიზაციების მშენებლობისა და ამოქმედების რაციონალური რიგითობა.

5. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქაგრომშენმა“ ნორმატიულ ვადებში საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობისა და ამოქმედების საგეგმო დავალებათა შესასრულებლად უზრუნველყონ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების საწარმოო სიმძლავრეთა დროულად განვითარება აღნიშნული ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი სახსრების, აგრეთვე შემკვეთთა მიერ ამ მიზნებისათვის დადგენილი წესით გადაცემული სახსრების ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმშენმა:

— მიიღონ ქმედითი ზომები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დაგეგმვის ძირეული გაუმჯობესების, ხარისხის ამაღლებისა და დროულად დამუშავებისათვის;

— მოყოლებული 1987 წლიდან, წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წინადადებანი იმ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ლიმიტების შესახებ, რაც ხორციელდება კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ ხუთწლედისათვის დაწესებული ნორმატივების მიხედვით.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაუწესოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს, აგრეთვე საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს საიჯარო და სამეურნეო წესით შესასრულებელ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიურ და ხუთწლიან გეგმებში მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა მოცულობანი, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი, აგრეთვე ხელფასის ნორმატივები ობიექტების ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა მოცულობისა და შრომატევადობის გათვალისწინებით.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გაითვალისწინონ წლიური გეგმების პროექტებში ადგილობრივი საშენი მასალებისა და მათი ნაკეთობების განაწილება, რესპუბლიკის იმ საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების მოთხოვნილება, რომლებიც ასრულებენ სამუშაოებს სამეურნეო წესით.

9. მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის, აგრეთვე სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სულ უფრო მზარდი მოცულობის განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახმშენთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შექმნან:

— იმ რაიონებში განლაგებულ საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა შემადგენლობაში, სადაც არასაკმარისია სამშენებლო სამინისტროებისა და უწყებების ორგანიზაციათა სიმძლავრეები, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები დამოუკიდებელ ბალანსზე, ხოლო საწარმოებსა და საამქროებში წარმოების განვითარების მცირე მოცულობის სამუშაოთა შესასრულებლად — სამშენებლო ქვედანაყოფები (ბრიგადები, უბნები, საამქროები);

— სამეურნეო წესით სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობების დამამზადებელი დამხმარე წარმოებანი, თუ მათზე მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები. ფართოდ გამოიყენონ ამ მიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისათვის საწარმოთა და გაერთიანებათა წარმოების განვითარების ფონდები, ბანკის კრედიტები.

10. საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხა ზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა უშუალოდ მშენებლობებზე და საწარმოებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სამშენებლო წარმოების ინდუსტრიალიზაციის, მისი ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე კაპიტალური მშენებლობის სრულყოფის მიზნით, უზრუნველყონ მაღალი დისციპლინა და შეთანხმებულობა საინვესტიციო პროცესის ყველა მონაწილის მუშაობაში, გადაჭრით აღკვეთონ უწყებრიობისა და კუთხურობის გამოვლინებანი, კაპიტალურ მშენებლობაში მშენებელთა, დამპროექტებელთა, შემკვეთი საწარმოების მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის მსვლელობაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ბაზაზე სახალხო მეურნეობის ძირეული რეკონსტრუქციისათვის მშრომელთა მასობრივი მოძრაობის განვითარებას.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ჯ. პატიაშვილი**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 24 ივნისი, № 428.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18405

## სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დადგენილება № 328

**1986 წლის 13 მარტი**

მოსკოვი, კრემლი

## ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით კაპიტალური მშენებლობის სრულყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საკითხებზე პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიზნით საჭიროა განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებანი კაპიტალური მშენებლობის სრულყოფისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ახალ ინდუსტრიულ და ორგანიზაციულ დონეზე უნდა ავიდეს მთელი სამშენებლო კომპლექსი, მინიმუმ ორჯერ შემცირდეს საინვესტაციო ციკლი როგორც საწარმოთა რეკონსტრუქციის, ისევე ახალი ობიექტების აშენების დროს.

სრულიად დაუშვებელია, რომ სახალხო მეურნეობაში გრძელდება კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვა, უზრუნველყოფილი არაა ბევრი საწარმოსა და ობიექტის ამოქმედება დაწესებულ ვადებში. ამის შედეგად ძველდება პროექტებში გათვალისწინებული ტექნოლოგიური პროცესები და მოწყობილობები. ყოველივე ეს საბოლოო ანგარიშით აფერხებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, გაერთიანებები და საწარმოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მოქმედ წარმოებათა ტექნიკურ კვლავაღჭურვასა და რეკონსტრუქციას. ნელა დიდდება ამ მიზნით კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში გამოყოფილი სახსრების წილი არასაკმარისად მიმდინარეობს ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის განახლება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ბაზაზე.

ნელი ტემპით იზრდება სამე ურნეო წესით შესასრულებელ სამშენებლო სამუშაოთა მოცულობანი. სრულად არ არის რეალიზებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის წარმოების განვითარების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის განვითარების ფონდების გამოსაყენებლად მინიჭებული ხელსაყრელი შესაძლებლობანი. ეს უარყოფით გავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენას აძლევს შრომითი კოლექტივების სოციალურ განვითარებასა და საწარმოო ამოცანების გადაწყვეტაზე.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით კაპიტალური მშენებლობის შემდგომი სრულყოფის შესახებ, და ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა, ყველა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ:

კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლება მიიჩნიონ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანად, რომლის მიზანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გა ნვითარების ტემპის დაჩქარება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა, სახალხო მეურნეობის გადაყვანა ინტენსიური განვითარების გზაზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძირითადი საპროგრამო მიზნების რეალიზაცია—ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება და ხალხის კეთილდღეობის სწრაფი ზრდა;

უზრუნველყონ საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფის შესახებ სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, მათი კონცენტრაცია გადამწყვეტ უბნებზე, სიმძიმის ცენტრის გადატანა ახალი მშენებლობიდან მოქმედ წარმოებათა ტექნიკურ კვლავაღჭურვასა და რეკონსტრუქციაზე, მშენებლობის ვადების შემცირება და ხარისხის ამაღლება, საწარმოთა შინაგანი რეზერვების მობილიზაცია დანახარჯების ყოველ მანეთზე პროდუქციისა და ეროვნული შემოსავლის რაც შეიძლება მეტი ზრდის მისაღებად.

**ნორმატიულ ვადებში საწარმოებისა და ობიექტების აშენების უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ**

2. სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, საწარმოო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩაითვალოს გადასვლა მეთორმეტე ხუთწლედში საწარმოებისა და ობიექტების აშენებაზე მათი მშენებლობის ხანგრძლივობის დაწესებული ნორმების ზუსტი შესაბამისობით და ვადაზე და ვადამდე ამოქმედებაზე.

დაწესდეს, რომ ობიექტების მშენებლობის დაგეგმვა ხანგრძლივობის ნორმების შესაბამისად ხორციელდება ახლადსაწყებ მშენებლობებზე 1986 წლიდან და გარდამავალ მშენებლობებზე 1987 წლიდან.

3. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებ-

მა, საწარმოო გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა კაპიტალური მშენებლობის გეგმებისა და მშენებლობათა სატიტულო სიების შემუშავებისას განუხრელად დაიცვან საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები.

აეკრძალოთ სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოო გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორზგანიზაციებს შეათანხმონ საიჯარო სამუშაოთა გეგმები. თუ ისინი არ შეესაბამებიან მშენებლობათა დამტკიცებულ სატიტუტლო სიებს.

თუ გასულ წელს შესრულდა უფრო ნაკლები მოცულობის სამუშაოები, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმასა და სატიტულო სიაში, დაშვებული ჩამორჩენა უნდა შეივსოს, როგორც წესი, მომდევნო წელს (სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების ვადების შეუცვლელად), ამასთან შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებანი სატიტულო სიასა და საიჯარო სამუშაოთა გეგმაში.

განსაკუთრებით დიდი და უნიკალური ობიექტებისათვის, რომლებიც შეიტანება კაპიტალური მშენებლობის გეგმაში და არა აქვთ მშენებლობის ხანგრძლივობის დამტკიცებული ნორმები, მათი აშენების ვადა და კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის განაწილება წლების მიხედვით განისაზღვრება ამ ობიექტების მშენებლობის პროექტებში შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიერ და დაამტკიცებენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმშენი.

სსრ კავშირის სახმშენმა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით 6 თვის ვადაში დააზუსტონ მეთორმეტე ხუთწლედისათვის საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლების, სამშენებლო წარმოების ინდუსტრიალიზაციისა და ორგანიზაციის, სრულყოფის გათვალისწინებით, აგრეთვე გააფორმონ იმ ობიექტების ნუსხა, რომლებისთვისაც წესდება ასეთი ნორმები.

4. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მოიჯარე სამინისტროთა მონაწილეობით მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის პროექტის მომზადებისას:

ა) განსაზღვრონ მეთორმეტე ხუთწლედში გადმოსული საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობის რიგითობა, 1986-1990 წლებისათვის დასახული კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტებიდან და მშენებლობის ხანგრძლივობის დამტკიცებული ნორმებიდან გამომდინარე, ამასთან მხედველობაში იქონიონ პირველ რიგში სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების, საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება, რომლებიც განასაზღვრავენ ქვეყნისა და დარგების ეკონომიკის პროპორციულ განვითარებას და რომლებშიც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობისათვის უმნიშვნელოვანესი პროდუქციის გამოშვება;

ბ) მიიღონ გადაწყვეტილებანი იმ მშენებარე საწარმოებისა და ობიექტების დროებით კონსერვაციის შესახებ, რომელთა ტექნიკური დონე არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, და რომლებიც არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნენ მათი ამოქმედებისათვის კაპიტალური დაბანდებებით მშეენბლობის ხანგრძლივობის ნორმების შესაბამისად. გადაწ:ყვეტილებანი იმ საწარმოებისა და ობიექტების კონსერვაციის შესახებ, რომელთა სატიტულო სიების დამოუკიდებლად დამტკიცების უფლება არა აქვთ მოქმედი წესის თანახმად სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, უნდა შეუთანხმდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განაზოგადოს წინადებანი მშენებლობათა კონსერვაციის და იმ სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების ვადების შეცვლის შესახებ, რომელთა მშენებლობა გათვალისწინებულია სსრ კავშირის მთავრობის ადრინდელი გადაწყვეტილებებით, და წარმოუდგინოს შესაბამისი წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, იქიდან გამომდინარე, რომ მეთორმეტე ხუთწლედისათვის დასახული სიმძლავრეები უნდა ამოქმედდეს სრული მოცულობით.

საიდუმლო.

5. სსრ კავშირის მშენბანკმა და სსრ კავშირის სახბანკმა არ მიიღონ დასაფინანსებლად, მოყოლებული 1986 წლიდან, ახალდასაწყები მშენებლობები, რომელთა ხანგრძლივობა სატიტულო სიების მიხედვით აღემატება ნორმატიულს, ხოლო 1987 წლიდან — გარდამავალი მშენებლობები, რომელთა მიხედვით კაქიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტები გამოყოფილია უფრო ნაკლები მოცულობით, ვიდრე საჭიროა ნორმატიულ ვადებში მათი მშენებლობის დასამთავრებლად.

6. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განახორციელოს დაგეგმვის მეთოდების შემდგომი სრულყოფა, ამასთან მხედველობაში იქონიოს, მოყოლებული 19878 წლიდან, დარგობრივი და ტერიტორიული გეგმების რაციონალური შეხამებისა და დაკავშირების უზრუნველყოფა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახმშენთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად უზრუნველყოს თავმოყრილი მშენებლობის რაიონებში ახალ საწარმოთა განლაგებისა და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის საკითხების საგულდაგულო დამუშავება. შესაბამის რეგიონში მშენებლობის მოცულობის ზრდის მაღალი ტემპის დროს გაითვალისწინოს გეგმებში სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეთა გადიდების, ამ რეგიონის მშენებლობებზე პროგრესული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების, მა ღალმწარმოებლური მანქანებისა და მექანიზმების პირველ რიგში გაგზავნის სათანადო ღონისძიებანი, რაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად ამაღლდეს სამშენებლო წარმოების ტექნიკური დონე; განსაზღვროს საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობისა და ამოქმედების რაციონალური რიგითობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშენებლო სამინისტროებმა ნორმატიულ ვადებში საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობისა და ამოქმედების საგეგმო დავალებათა შესასრულებლად უზრუნველყონ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების საწარმოო სიმძლავრეთა დროული განვითარება აღნიშნული სამინისტროებისათვის გამოყოფილი სახსრების, აგრეთვე შემკვეთთა მიერ ამ მიზნით დადგენილი წესით გადასაცემი სახსრების ხარჯზე.

სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოო გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა კაპიტალური მშენებლობის გეგმების პროექტების შემუშავებისას განიხილონ და გადა;წყვიტონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სახალხო დეპუტატთა საგარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებთან ერთად საწარმოებისა და ობიექტების დროულად ამოქმედების, შრომითი რესურსებით მათი და სამშენებლო ორგანიზაციების დაკომპლექტების და ამოქმედებული სიმძლავრეების ნორმატიულ ვადებში ათვისების საკითხები.

7. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, მისმა საკმთავარკომპლექტებმა და ტერიტორიულმა ორგანოებმა უზრუნველყონ მშენებლობებზე კონსტრუქციების, მასალებისა და მოწყობილობის კომპლექტური მიწოდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებისა და საწარმოო სიმძლავრეთა და ობიექტების ამოქმედების ვა დებთან ზუსტად დაკავშირებული გრაფიკების მიხედვით.

სსრ კავშირის სახმომარაგებამ განახორციელოს 1987-1988 წლებში მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სრულყოფის ღონისძიებანი, ამასთან მხედველობაში იქონიოს სამშენებლო ქვედანაყოფების, საწარმოო გაერთია ნებებისა და საწარმოების მომარაგების ორგანიზაცია მათი შეკვეთების მიხედვით გამოყოფილი ფონდების შესაბამისად სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით.

8. უფლება მიეცეთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაა მტკიცონ, მოყოფებული 1987 წლიდან, კაპიტალუ რდაბანდებათა ხარჯზე განსახორციელებელ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ლიმიტები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ მათთვის ხუთწლიანი პერიოდისათვის დაწესებული ნორმატივების მიხედვით.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მიიღონ ზომები საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის ძირეული გაუმჯობესებისა და ხარისხის ამაღლებისათვის. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური დონის შეუსაბამო, აგრეთვე დაგეგმილ ვადაში მშენებლობაში გამოუყენებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებისათვის დამნაშავე თანამდებობის პირებს დაეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

9. გადახდეთ, მოყოლებული 1987 წლიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში შემკვეთებს დაწესებულ ვადაში აუმოქმედებელი ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულების 3 პროცენტი, ხოლო საიჯარო სამშენებლო სამონტაჟო ორგანიზაციებს — საწარმოებისა და ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის საგეგმო ვადების გასვლის შემდეგ მათი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაუმთავრებელი წარმოების დანახარჯების კრედიტის 3 პროცენტი.

მოქმედი საწარმოების მიხედვით შემკვეთთათვის ზემოაღნიშნული გადასახდელის გადახდევინებასთან დაკავშირებული ხარჯები მიეკუთვნება მათი სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, ხოლო ახალი მეშენებლობის მიხედვით — გაიღება სამეურნეო მართვის ზემდგომი ორგანოების ცენტრალიზებული ფონდებიდან და რეზერვებიდან, საიჯარო ორგანიზაციებისათვის კრება მათი სამეურნეო საქმიანობის შედეგებს.

სრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის მშენბანკთან და სსრ კავშირის სახბანკთან ერთად გამოსცეს შესაბამისი მითითება ამ აკითხზე.

10. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი საწარმოებისა და ობიექტების რიტმული აშენების უზრუნველსაყოფად, რაც მშენებლობის ხანგრძლივობის შემცირებისა და დაწესებულ ვადებში საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების უნიშვნელოვანესი პირობაა, თანამიმდევრულად შეამცირონ ასამოქმედებელ სიმძლავრეთა ერთეულზე ხვედრითი კაპიტალური დაბანდებანი. მიიღონ ზომები საიჯარო ორგანიზაციებსა და შეკვეთებს და მშენებლობის სხვა მონაწილეებს შორის სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

**მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა განხორციელებით სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისა და მშენებლობის სხვა მონაწილეების დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ**

11. ჩაითვალოს მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვა და რეკონსტრუქცია თვისებრივად ახალ ტექნიკურ დონეზე სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდების განვითარებისა და განახლების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად. უზრუნველყოფილ იქნეს პრაქტიკულ მუშაობაში, რომ საწარმოთა რეკონსტრუქცია ეკონომიკურად ხელსაყრელი იყოს როგორც შემკვეთის, ისევე მოიჯარისათვის.

12. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გაითვალისწინონ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის პროექტში მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის განკუთვნილი სახსრების წილის გადიდება მთლია ნად სახალხო მეურნეობაში

საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის კაპიტალური დაბანდებათა საერთო მოცულობის არანაკლებ 50 პროცენტამდე. ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ უწინარეს ყდოვლისა ამ მიზნებს ახმარენ გაერთიანებანი და საწარმოები წარმოების განვითარების ფონდის სახსრებს.

13. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაუწესოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს.

საიჯარო და სამეურნეო წესებით შესასრულებელ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიურ და ხუთწლიან გეგმებში მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა მოცულობანი;

შრომის ნაყოფიერების ზრდის, მოგების დავალებანი, აგრეთვე ხელფასის ნორმატივები ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა მოცულობისა და შრომატევადობის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დაუგეგმონ ასეთივე წესით ზემოაღნიშნული მაჩვენებლები და ნორმატივები საქვეუწყებო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს, აგრეთვე საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს, რომლებიც ახორციელებენ წარმოებათა ტექნიკურ კვლავაღჭურვასა და რეკონსტრუქციას სამეურნეო წესით.

14. მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის განხორციელებით საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა დაინტერესების გაძლიერების, მათი სამეურნეო დამოუკიდებლობის შემდგომი გაფართოების და მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით უფლება მიეცეთ შემკვეთებსა დამოიჯარეებს ასეთ სამუშაოთა განხორციელებისას განსაზღვრონ ორგანიზაციული და ეკონომიკური ურთიერთობანი სპეციალურ საიჯარო ხელშეკრულებათა და სამუშაოთა შეთანხმებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების (სახელშეკრულებო ფასის) საფუძველზე.

შემკვეთი საწარმოო გაერთიანებანი და საწარმოები, სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო ორგანიზაციები მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის პროექტების შემუშავებასთან ერთად შეადგენენ სამუშაოთა წარმოების პროექტებს და განსაზღვრავენ მათი შესრულების მეთოდებსა და თანამიმდევრობას კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. დააწესებენ მოქმედი წარმოების პირობებში სამუშაოთა განხორციელებასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარშების ოდენობასა და კომპენსაციის ფორმებს, ძირითადი წარმოებიდან სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისათვის მუშათა გაგზავნის, საქირო ტექნოლოგიური მოწყობილობის გადაცემისა და სხვადასხვა მომსახურების გაწევის წესსა და პირობებს.

დაწესდეს, რომ ტექნიკური კლააღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა შეთანხმებულ და დამტკიცებულ სახარჯთაღრიცხვო ღირებულე-

პასთან (სახელშეკრულებო ფასთან) შედარებით სახსრების ეკონომიის ნაწილიც მიიღეს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების, ეფექტიანი კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენების, ნაკლები რაოდენობის მუშების მიერ სამუშაოთა შესრულების და მშენებლობის გამაიაფებელ სხვა ღონისძიებათა განხორციელების შედეგად (სამუშაოთა მაღალი ხარისხის, ასაგები ობიექტების კონსტრუქციების ხანგამძლეობისა და საექსპლუატაციო საიმედოობის უზრუნველყოფით), რჩება ამ ორგანიზაციების განკარგულებაში.

ნება დაერთოთ საწარმოო გაერთიანებებს, საწარმოებსა და საპროექტო-ორგანიზაციებს მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას:

გამოიყენონ ინდივიდუალური სახარჯთაღრიცხვო ნორმები, ფასდებანი და კალკულაციები ან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ასამაღლებელი კოეფიციენტები და ამაღლებული ნორმების მიხედვით ზედნადები ხარჯები;

შეიტანონ გაუთვალისწინებელი სამუშაოებისა და დანახარჯებისათვის სახსრების რეზერვი და ნართის თანახმად განსაზღვრული ოდენობით;

გაითვალისწინონ საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ვადაზე და ვადამდე ამოქმედებისათვის პრემირების სახსრები მოქმედთან შედარებით 50 პროცენტამდე გადიდებული ნორმატივების მიხედვით:

შეიტანონ გადიდებული ნორმატივების მიხედვით აკორდულ დავალებათა შესრულებისათვის მუშათა პრემირებასთან და შრომის მავნეპირობებიან მოქმედ საამქროებში მუშაობისას მშენებლობაზე შეღავათების გავრცელებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

პერსონალური პასკუხისმგებლობა ინდივიდუალური სახარჯთაღრიცხვო ნორმების, ფასდებისა და კალკულაციების ზედნადები ხარჯჰების დასაბუთებული და სწორი გამოყენებისათვის დაეკისროთ შემკვეთ საწარმოთა და საპროექტო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

სრ კავშირის სახმშენმა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მოამზადონ და დაამტკიცონ ერთი თვის ვადაში მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლაღაჭრუვისა და რეკონსტრუქციის ხარჯთაღრიცხვების შემუშავებისათვის საჭირო ნორმატიულფმეთოდოლოგიური დოკუმენტები, მათ შორის ზედნადები ხარჯების განსასაზღვრავად.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა და საკავშირო პროფსაბჭომ ერთი თვის ვადაში შეიტანონ ამ პუნქტიდან გა მომდინარე ცვლილებანი შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებში.

15. ნება დაერთოთ საპროექტო და საძიებო ორგანიზაციებს მიიღონ დამატებით წლის განმავლობაში საწარმოო გაერთია ნებებისა და საწარმოებისაგან შეკვეთები ტექნიკური კვლავაღჭურვის საპროექტო-საარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესამუშავებლად, იმ ვარაუდით, რომ შემკვეთებმა, საჭი-

როების შემთხვევაში, გადასცენ მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონ-დის შესაბამისი ლიმიტები.

16. ნება დაერთოთ საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს:

ა) პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით გადარიცხონ სამშენებლო-სამონტაჟო ორაგნიზაციაათ განკარგულებაში მატერიალური წახალისების ფონდის სახსრების ნაწილი მუშაკთა პრემირებისათვის ცალკეული დანადგარების, აგრეგატების, სისტემების რეკონსტრუქციის სამუშაოთა ვადამდე განხორციელების გამო, რაც საშუალებას აძლევს საწარმოს მიიღოს დამატებითი პროდუქცია ან დამატებითი მოგება;

ბ) გადასცენ ძირითადი საქმიანობისათვის გეგმიანი წესით მიღებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები (მათი ეკონომიის ხარჯზე) სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა შესრულების დასაჩქარებლად, წარმოების დამტკიცებული გეგმის შესრულებისათვის ზიანის მიუყენებლად.

17. ნება დაერთოთ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა შესრულების პერიოდში:

17. ნება დაერთოთ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა შესრულების პერიოდში:

დაუწესონ მუშაკებს, რომლებიც ახორციელებენ სამუშაოებს შრომის მავნეპირობებიან მოქმედ საამქროებში წარმოების გაუჩერებლად, დამატებითი შეღავათები ფაქტიურად ნამუშავარი დროის გათვალისწინებით და შემცირებული სამუშაო დღე, უზრუნველყონ მათი უფასო სამკურნალო კვება, აგრეთვე მისცენ სპეცტანსაცმელი აღნიშნული საამქროების საექსპლუატაციო პერსონალისათვის დაწესებული ნორმატივების მიხედვით.

გაუდიდონ მუშებს ხელფასის დაწესებული ფონდის ფარგლებში პრემიების მაქსიმალური ოდენობა ვადაზე და ვადამდე აკორდულ დავალებათა იჯარის პირობებით შესრულებისათვის სანარდო გამომუშავების 60 პროცენტამდე.

18. ამაღლდეს სსრ კავშირის სახმომარაგების საკმთავარკომპლექტებისა და ტერიტორიული ორგანოების, მოწყობილობისა და მასალების მიმწოდებელი გაერთიანებებისა და საწარმოების პასუხისმგებლობა მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის განსახორციელებლად მოწყობილობისა და მასალების დროულად, გრაფიკების მიხედვით, მიწოდებისათვის, რაც უზრუნველყოფს სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედებას დაწესებულ ვადებში ამ მიზნით სსრ კავშირის სახმომარაგებამ მოახდინოს აღნიშნულ ორგანიზაციათა საქმიანობის შეფასება და მათი ეკონომიკური სტიმულირება მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის მატერია ლურ-ტექნიკური რესურსების მიწოდების ხელშეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებათა და გეგმების დროულად და მთლიანად შესრულების [illegible] გათვალისწინებით.

19. სამინისტროებმა და უწყებებმა პროფკავშირთა შესაბამის ცენტრალურ კომიტეტებთან ერთად მეთორმეტე ხუთწლედში საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა, სამშენებლოსამონტაჟო და საპროექტო-საძიებო ორგანიზაციათა კოლექტივების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრე[illegible] პირობების შემუშავებისას გაითვალისწინონ მათი საქმიანობის შეფასება მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის საგეგმო დავალებათა შესრულების ხარისხისა და ვადების მიხედვით.

**სამეურნეო წესით მშენებლობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ**

20. საჭიროდ ჩაითვალოს უზრუნველყოფილ იქნეს მეთორმეტე ხუთწლედში სამეურნეო წესით მშენებლობის შემდგომი განვითარება და სრულყოფა, უწინარეს ყოვლისა, მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის განსახორციელებლად.

ძირითადი ყურადღება დაეთმოს სამეურნეო წესით სამუშაოთა წარმოებას, რაც უმთავრესად სრულდება წარმოების განვითარების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს 1986-1990 წლების გეგმის პროექტში სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისათვის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის დავალებანი სამეურნეო წესით განსახორციელებელ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გადიდებისა საშუალოდ 25-30 პროცენტით. სამეურნეო წესით განსახორციელებელი მშენებლობის კონკრეტული მოცულობანი განისაზღვრება დიფერენცირებულად სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და მოკავშირე რესპუბლიკისათვის.

დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეურნეო წესით სამუშაოთა მზარდი მოცულობის შესრულებას. შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის, მექანიზაციის დონისა და ხარისხის ამაღლების, სამშენებლო და საზღვარგარეთული გამოცდილების ფართოდ გამოყენების მიზნით.

21. სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროებმა, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრომ, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ გაითვალისწინონ მათთვის დაწესებული საიჯარო სამუშაოთა გეგმების შესრულებისათვის ზიანის მიუყენებლად, რომ:

დაამზადონ და მიაწოდონ სამეურნეო წესით სამუშაოთა შემსრულებელ საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს მათი შეკვეთით ლითონის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, სასაქონლო ბეტონი და დუღაბი, ხის და სხვა საშენი ნაკეთობანი იმ პირობით, რომ შემკვეთებმა გადასცენ მათ ამისათვის საჭირო მასალები. აღნიშნული კონსტრუქციების, მასალებისა და ნაკეთობების დამზადება ჩაეთვალოთ წარმოების გეგმის შესრულებაში;

იჯარით მისცენ სამეურნეო წესით სამუშაოთა შემსრულებელ საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს სამშენებლო მანქანები და მექანიზმები, აგრეთვე განახორციელონ ცალკეულ სახეობათა მექანიზებული სამუშაოები მათთან დადებულ პირდაპირ ხელშეკრულებათა საფუძველზე, იმ ვარაუდით, რომ ეს სამუშაოები შეტანილ იქნეს საიჯარო სამუშაოთა მოცულობაში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გამოუყონ საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს სამეურნეო წესით სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო ადგილობრივი საშენი მასალები და მათი ნაკეთობანი.

22. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვის, აგრეთვე სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მზარდი მოცულობის განსახორციელებლად შექმნან:

ა) იმ რაიონებში განლაგებულ საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა შემადგენლობაში, სადაც არასაკმარისია სამშენებლო სამინისტროების ორგანიზაციათა სიმძლავრეები, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები დამოუკიდებელ ბალანსზე, ხოლო საწარმოებსა და საამქროებში წარმოების განვითარების მცირე მოცულობის სამუშაოთა შესასრულებლად — სამშენებლო ქვედანაყოფები (ბრიგადები, უბნები, საამქროები).

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმშენმა 3 თვის ვადაში დაამტკიცონ საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებისათვის ზემოაღნიშნული ქვედანაყოფების მიკუთვნების მაჩვენებლები;

ბ) სამეურნეო წესით სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობების დამამზადებელი დამხმარე წარმოებანი, თუ მათზე მოთხოვნილებას ვე რუზრუნველყოფენ სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები. ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნებისათვის საწარმოთა და გაერთიანებათა წარმოების განვითარების ფონდები, ბანკის კრედიტები.

უფლება მიეცეთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დართონ ერთ რაიონში განლაგებულ საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს გადასცენ

ეროვნული

წილობრივი მონაწილეობის წესით კაპიტალური დაბანდებანი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები სამშენებლო ინდუსტრიის გაერთიანებული ბაზების ასაშენებლად.

23. ნება დაერთოთ საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს გამოიყენონ ძირითადი საქმიანობისათვის გეგმით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები (მათი ეკონომიის ხარჯზე) სამეურნეო წესით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესასრულებლად, წარმოების გეგმის შესრულებისათვის ზიანის მიუყენებლად.

24. უფლება მიეცეთ საკუთარი სახსრების ხარჯზე სამეურნეო წესით მოქმედ წარმოებათა ტედნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა შემსრულებელ საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს დამოუკიდებლად დააწესონ სამუშაოთა წარმოების კონკრეტული პირობების შესაბამისად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებისა და გაცემის ვადები.

25. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმომარაგებამ გაითვალისწინონ გეგმებში, რომ გამოუყონ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სამეურნეო წესით სამუშაოთა შესასრულებლად საშენი მასალები, მანქანები, საავტომობილო ტრანსპორტი და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები სამუშაოთა სტრუქტურის შესაბამისად განსაზღვრული ნორმატივების მიხედვით, სამშენებლო სამინისტროთა საიჯარო ორგანიზაციებისათვის დადგენილლი წესით.

26. ნება დაერთოთ სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს, სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სსრ კავშირის სხვა სამშენებლო სამინისტროებს და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს შეასრულონ ამ სამინისტროების საიჯარო ორგანიზაციათა გეგმებში გაუთვალისწინებელ ობიექტებზე სპეციალიზებული და სამშენებლო სამუშაოები სამეურნეო წესით მეშნებლობის განმხორციელებელ საწარმოო გაერთიანებებთან და საწარმოებთან დადებული პირდაპირი ხელშეკრულებებით, უწინარეს ყოვლისა, წარმოების განვითარების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე.

შეიტანონ აღნიშნული სამუშაოები შესრულებულ საიჯარო სამუშაოთა მოცულობაში ამ ორგანიზაციებისათვის გეგმის გაუდიდებლად.

27. უფლება მიეცეთ სამეურნეო წესით მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა შემსრულებელ საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შეუნარჩუნონ დადგენილი წესით ამ სამუშაოებზე დროებით გაგზავნილ მუშაკებს ძირითად სამუშაო ადგილზე მიღებული საშუალო-თვიური ხელფასი, იმ პირობით, თუ ისინი შეასრულებენ დაწესებულ დავალებებს.

28. სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ 6 თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

29. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა ფართო ოდგაშალონ უშუალოდ მშენებლობებზე და საწარმოებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სამშენებლო წარმოების ინდუსტრიალიზაციის, მისი ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე კაპიტალური მშენებლობის სრულყოფის მიზნით. უზრუნველყონ მაღალი დისციპლინა და შეთანხმებულობა საინვესტიციო პროცესის ყველა მონაწილის მუშაობაში, გადაჭრით აღკვეთონ უწყებრიობისა და კუთხურობის გამოვლინებანი კაპიტალურ მშენებლობაში. მშენებელთა, დამპროექტებელთა, შემკვეთი საწარმოების მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის მსვლელობაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ბაზაზე სახალხო მეურნეობის ღრმა რეკონსტრუქციისათვის მშრომელთა მასობრივი მოძრაობის განვითარებას.

* *
*

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, მშენებლობათა, გაერთიანებათა და საწარმოთა შრომითი კოლექტივები ყოველ ღონეს იხმარენ ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით კაპიტალური მშენებლობის შემდგომი სრულყოფისათვის და ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**მ. გორბაჩოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ნ. რიჟკოვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 13 მარტის № 328 დადგენილების დანართი

# ზღვრული ოდენობა

**გაუთვალისწინებელი სამუშაოებისა და დანახარჯებისათვის სახსრების რეზერვისა, რომელიც შეიტანება მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის პროექტების ღირებულების კრებსით სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებაში**

მოქმედ წარმოებათა ტექნიკური კვლაკღჭურვისა და რეკონსტრუქციის პროექტების ღირებულების კრებსით სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებაში გაუთვალისწინებელი სამუშაოებისა და დანახარჯებისათვის სახსრების რეზერვი გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ოდენობით (მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების პროცენტულად):

შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოებში, ატომურ ელექტროსადგურებში — 12 პროცენტამდე;

ქიმიური პროდუქციისმწარმოებელ და გადამმუშავებელ საწარმოებში და თბოელექტროსადგურებში — 10 პროცენტამდე;

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელ, მანქანათსაშენებელი კომპლექსის, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში — 7 პროცენტამდე;

სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოებში — 6 პროცენტამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 34 საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის სპორტული ნაგებობებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირის განაკვეთების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თხოვნა და სპორტულ ნაგებობათა გამოყენების ეფექტიანობის, მათი რენტაბელობის ამაღლების, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სრულყოფისა და სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობის განმტკიცების მიზნით დამტკიცდეს სპორტული ნაგებობებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირის თანდართული განაკვეთები, რომლებიც შემუშავებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის 1984 წლის 23 ივლისის № 624 ბრძანებით დამტკიცებული სპორტული ნაგებობებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირის განაკვეთების გაანგარიშებების მეთოდიკის შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 19 მაისი, № 352.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 19 მაისის № 332 დადგე-
ნილებით

# განაკვეთები

## საიჯარო ქირისა საქართველოს სსრ სპორტსახკომის სისტემის სპორტული ნაგებობებით სარგებლობისათვის

(მანეთი საათში)

| სპორტულ ნაგებობათა დასახელება | სპორტულ ნაგებობათა კლასი | | |
|---|---|---|---|
| | I | II | III |
| **საქართველოს სსრ სპორტსახკომის სპორტკომბინატი** | | | |
| — 50×24-მეტრიანი დახურული საცურაო აუზი აბაზანითურთ (I ბილიკი, ხოლო წყალბურთში ნაზ-ღაურდება მთელი აბაზანის — 8 ბილიკი — ღირებუ-ლება) . . . . . | 7,5 | — | — |
| — 40×20-მეტრიანი № 1 საფარიკაო დარბაზი (ბილიკების რაოდენობის მიხედვით) . . . | 14,8 | — | — |
| — 20×20-მეტრიანი № 2 საფარიკაო დარბაზი . | 11,5 | — | — |
| — 25×25-მეტრიანი ძალოსნობის დარბაზი (ფი-ცარნავისათვის) . . . . . . . . | 3,2 | — | — |
| **ველოტრეკები** | | | |
| — ხის ველოტრეკი . . . . . . | 34,5 | — | — |
| — ცემენტ-ბეტონის ველოტრეკი . . | 17 | — | — |
| **ჩოგბურთის სასახლე** | | | |
| — 36×36 მეტრიანი დარბაზი . . . . | 29 | — | — |
| — ღია მოედნები . . . . . . | 5,4 | — | — |
| **ძიუდოს სპორტდარბაზი** | 6,5 | — | — |
| **ფალავანთა კლუბი (ხალიჩებისათვის)** | 6,5 | — | — |
| მძლეოსნობის მანეჟი სინთეზურსაფარიანი წრიუ-ლი სარბენი ბილიკით (25-კაციანი ჯგუფისათვის). | 30 | — | — |
| **საქართველოს სსრ სპორტსახკომის სპორტკომბინა-ტი დაბა ბაკურიანში** | | | |
| — ხელოვნურსაფარიანი 70-მეტრიანი ტრამპლინი | 16 | — | |
| — ხელოვნურსაფარიანი 40-მეტრიანი ტრამპლინი | 16 | — | |
| — ბუნებრივსაფარიანი 90-მეტრიანი ტრამპლინი | 11 | — | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სპორტულ ნაგებობათა დასახელება | სპორტულ ნაგებობათა კლასი | | |
|---|---|---|---|
| | I | II | III |
| **სასწავლო-საწვრთნელი ბაზა „სპორტი“ სოფელ ლესელიძეში** | | | |
| — დახურული მძლეოსნური მანეჟი სწორი სარბენი ბილიკით . . . . . . | 20 | — | — |
| — 60×24 მეტრიანი სინთეზურსაფარიანი დარბაზი ძალისმიერი მომზადებისათვის . . . . . . | 20 | — | — |
| — 36×18 მეტრიანი სათამაშო სპორტდარბაზი . | 21 | — | — |
| — 36×18 მეტრიანი ტანვარჯიშის სპორტდარბაზი | 17 | — | — |
| — ჩოგბურთის მოედანი . . . | 5,4 | — | — |
| — ბალახისსაფარიანი ფეხბურთის მოედანი . . | 15 | — | — |
| — წიდისსაფარიანი ფეხბურთის მოედანი . . | — | 7 | — |
| — სინთეზურსაფარიანი კალათბურთის მოედანი | 2 | — | — |
| **ღია ნაგებობანი მძლეოსნობისათვის** | | | |
| — წრიული სარბენი ბილიკი (30-კაციანი ჯგუფისათვის) . . . . . . | — | — | — |
| სპეცნარევსაფარიანი . . . . | 6 | — | — |
| წიდისსაფარიანი . .. | 4 | — | — |
| სინთეზურსაფარიანი . . . . . . | 30 | — | — |
| — სატყორცნი და ბირთვის კვრის ადგილები (ერთი ადგილისათვის) . . . . | | | |
| ბალახისსაფარიანი . . . . | 10 | — | — |
| სპეცნარევსაფარიანი . . . | 3 | — | — |
| **საცხენოსნო-სპორტული ბაზა** | | | |
| — ღია გასახედნი მანეჟი . . | 5 | — | — |
| — გასახედნი მოედანი . . . | 8 | — | — |
| **ვარკეთილის სპორტკომპლექსი** | | | |
| — 36×18 მეტრიანი სათამაშო სპორტდარბაზი . | 21 | — | — |
| — ბალახისსაფარიანი ფეხბურთის მოედანი . . | 15 | — | — |
| — 25-მეტრიანი ღია საცურაო აუზი: ზაფხულში . . . . . . | 4,7 | — | — |
| ზამთარში (გათბობის სეზონში) . . . . . . | 6 | — | — |

ეროვნული

## 35 საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის სამეურნეოანგარიშიანი რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის შექმნის შესახებ

ქალაქების, რაიონებისა და მთლიანად რესპუბლიკის შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის ორგანიზაციული და ფუნქციონალური სტრუქტურების, შრომითი რესურსების რეგიონალური მართვის მეთოდებისა და ფორმების სრულყოფის, აღნიშნული კომიტეტის სისტემაში შრომისა და შრომითი რესურსების ამსახველი ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე მანქანური ტექნოლოგიის დანერგვის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის წინადადება, შეთანხმებული სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, იმის შესახებ, რომ შეიქმნას საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის სამეურნეოანგარიშიანი რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი დამოუკიდებელ ბალანსზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის საანგარიშსწორებო ანგარიშითურთ მოსახლეობის შრომითი მოწყობის რესპუბლიკური ბიუროსაგან იმ სექტორებისა და ჯგუფების გამოყოფის საფუძველზე, რომლებიც დასაქმებული არიან საქართველოს სსრ შრომის მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნით, ეკონომიკური ანალიზითა და პროფესიული ორიენტაციით.

2. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა:

— ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს დებულება კომიტეტის რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის შესახებ;

— დაამტკიცოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული კომიტეტის რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რიცხოვნობა და ხელფასის ფონდი.

3. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის უმნიშვნელოვანეს ამოცანებად ჩაითვალოს:

— შრომითი მოწყობის ერთიანი საერთო-რესპუბლიკური სისტემის შექმნა, რომელიც შეიცავს პროფესიული ორიენტაციის სისტემას;

— საქართველოს სსრ შრომის მართვის ავტომატიზებული სისტემის შემუშავება და დანერგვა;

— შრომითი რესურსების მართვის საქალაქო და რაიონული სისტემების შემუშავება და დანერგვა;

— კომიტეტის სისტემაში ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვა გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების ბაზაზე.

4. განისაზღვროს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის „დისციპლინის“ შემუშავების მთავარ ორგანიზაციად, ამასთან დაეკისროს აღნიშნული პროგრამის შემუშავებისათვის პასუხისმგებელი შემსრულებლის ფუნქციები ამ კომიტეტის რესპუბლიკურ საინფორმაციო-გამოთვლით ცენტრს.

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინოს რესპუბლიკურ საინფორმაციო-გამოთვლით ცენტრში რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის „დისციპლინის“ შემუშავებისა და დანერგვის განყოფილების შექმნა.

5. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს მიიზიდოს რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის „დისციპლინის“ შესამუშავებლად სხვა უწყებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ძირითად სამუშაო ადგილზე ხელფასის შენარჩუნებით ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ან შეთავსებლობის პირობებით.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დამატებით გამოუყოს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს 1986 წლისათვის ხელფასის ფონდი 9 ათასი მანეთის ოდენობით რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის „დისციპლინის“ შემუშავებისა და დანერგვის განყოფილების მუშაკთა შრომის ასანაზღაურებლად.

7. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— გაუდიდოს 1986 წელს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს რესპუბლიკურ საინფორმაციო-გამოთვლით ცენტრში რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის „დისციპლინის“ შემუშავებისა და დანერგვის განყოფილების შესაქმნელად მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის ლიმიტი 5 კაცით და შესაბამისად გაადიდოს მათი შენახვის ზღვრული ასიგნებანი;

— გამოუყოს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის შესაქმნელად ასიგნებანი 9 ათასი მანეთის ოდენობით.

8. ნება დაერთოს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს ააშენოს მეთორმეტე ხუთწლედში კომიტეტის რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრისათვის საწარმოო შენობა ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს, მოყოლებული 1986 წლიდან, კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გამოყოფა საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის შენობის დასაპროექტებლად და ასაშენებლად, იმ ვარაუდით, რომ მშენებლობა დაიწყოს 1987 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— 1986 წლის 1 ივნისამდე გადაწყვიტოს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის საწარმოო შენობის ასაშენებლად ნაკვეთის გამოყოფის საკითხი;

— ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის დროებით მოსათავსებლად შენობის გამოყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1986 წ. 26 მაისი, № 362.

## 36 საბითუმო ვაჭრობის წესით მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა გადაყვანის შესახებ

„საბითუმო ვაჭრობის წესით მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა გადაყვანის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 27 მარტის № 398 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, მოყოლებული 1987 წლის 1 იანვრიდან, მომარაგოს მატერიალური რესურსებით საბითუმო ვაჭრობის წესით საქართველოს სსრ სახმომარაგების სისტემის მეშვეობით:

— დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები, საცდელი და ექსპერიმენტული საწარმოები, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა (თავდაცვითი მრეწველობის დარგებისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის გარდა);

— სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოს და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები და საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე სსრ კავშირის იმ არასამრეწველო სამინისტროთა და უწყებათა გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთაც მატერიალურ რესურსებს გამოუყოფს უშუალოდ სსრ კავშირის სახმომარაგება, დანართის თანახმად.

2. ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში აღნიშნულ მომხმარებელთა მომარაგება მატერიალური რესურსებით საბითუმო ვაჭრობის წესით საწარმოო და სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებისათვის (სსრ კავშირის სახმშენის მიერ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით დამტკიცებული ნუსხის მიხედვით ცალკეულ სპეციფიკურ სახეობათა ნედლეულის, მასალებისა და ნაკეთობების, აგრეთვე სახელობითი და იმპორტული მოწყობილობის, უნიკალური ხელსაწყოების გარდა) ხდება ფონდებისა და ლიმიტების გარეშე საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან დადებულ გრძელვადიან ხელშეკრულებათა საფუძველზე.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა წარმოუდგინოს დაწესებულ ვადაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემდგომ სსრ კავშირის სახმომარაგებისათვის წარსადგენად მონაცემები 1987 წლიდან საბი-

თუმო ვაჭრობის წესით მომარაგებაზე გადასაყვანი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის 1986 წელს გამოყოფილი მატერიალური რესურსების რაოდენობისა და მიღების წყაროების შესახებ.

4. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მეთორმეტე ხუთწლედში საბითუმო ვაჭრობის საწარმოთა რაოდენობის, საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის პროდუქციის მარაგის, ხელსაწყოთა და სხვა ტექნიკურ საშუალებათა გაქირავების, აგრეთვე მომხმარებელთა შეკვეთების შესაბამისად საწარმოო მოხმარებისათვის პროდუქციის მოსამზადებლად გაწეული მომსახურების მოცულობის გადიდების შესახებ საბითუმო ვაჭრობის წესით მომხმარებელთა რიტმული და მყარი მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით.

5. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ რესპუბლიკის 1987 წლის ბიუჯეტის პროექტის გაანგარიშებებში საქართველოს სსრ სახმომარაგების მიწოდებათა ხაზით საწარმოებში შესაზიდი საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მოცულობისა და ასორტიმენტის გადიდების შესაბამისად საქართველოს სსრ სახმომარაგების საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის გადიდებისათვის საჭირო ხარჯები.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ საქართველოს სსრ სახმომარაგებისათვის მეთორმეტე ხუთწლედში შესაბამისი სადგომების გამოყოფა საბითუმო ვაჭრობის საწარმოებისა და ტექნიკურ საშუალებათა გასაქირავებელი პუნქტების მოსათავსებლად.

7. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ მოაწყოს 1986-1987 წლებში ქალაქ თბილისში სამი სპეციალიზებული საბითუმო მაღაზია საბითუმო ვაჭრობის წესით საწარმოებისა და ორგანიზაციების ელექტროტექნიკური პროდუქციით, ხელსაწყოებით, ინსტრუმენტებით, საკისრებითა და სხვა პროდუქციით, რიტმული უზრუნველყოფის მიზნით.

8. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან ერთად განიხილოს საკითხები იმის შესახებ, რომ 1986 წელს გამოუყოს კომიტეტს ქალაქ თბილისში არანაკლებ 500-600 კვადრატული მეტრი ფართობის (თითოეული) სადგომები ზემოაღნიშნული საბითუმო მაღაზიების მოსათავსებლად და თბილისის ლითონპროდუქციის მიმწოდებელი საწარმოს მიმდებარე ნაკვეთი მის გასაფართოებლად, და ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

9. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები გადადიან საბითუმო ვაჭრობის წესით მომარაგებაზე, უზრუნველყონ მათ მიერ მიღებული პროდუქციის ეკონომიურად ხარჯვა და ზუსტად დანიშნულებისამებრ გამოყენება, წარმოებისა და შენახვის დროს დანაკარგების შემცირება სსრ კავშირის მინისტრთა საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოს 1984 წლის 4 მაისის № 404 დადგენილების შესაბამისად, აგრეთვე მეორეული რესურსების გამოყენების გაფართოება.

აღნიშნულ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა აამაღლონ პროდუქციის მიწოდებაზე შეკვეთების დასაბუთებულობა, არ დაუშვან სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული და ზედმეტი მარაგის, აგრეთვე დაუდგმელი მოწყობილობის ზეგეგმითი ნაშთების წარმოქმნა.

10. დაწესდეს, რომ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც საბითუმო ვაჭრობის წესით იღებენ მატერიალურ რესურსებს, უფლება არა აქვთ გადასცენ ისინი სხვა მომხმარებლებს საქართველოს სსრ სახმომარაგების ნებართვის გარეშე, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

11. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ:

— აამაღლოს საბითუმო ვაჭრობის წესით მომარაგებაზე გადასაყვანი გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნილების შესასწავლად საქვეუწყებო სპეციალიზებულ სამმართველოთა მუშაობის დონე, აგრეთვე შექმნას საქვეუწყებო მიმწოდებელ საწარმოებში საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის პროდუქციის მარაგი ზემოაღნიშნულ მომხმარებელთა რიტმული და მყარი მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით;

— უზრუნველყოს გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გეგმების შესრულების მსვლელობაში განთავისუფლებული მატერიალური რესურსების ოპერატიული მოქცევა სამეურნეო ბრუნვაში;

— ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 15 თებერვლამდე.

12. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 ივლისის № 439 დადგენილების მე-6 პუნქტის მეოთხე და მეხუთე აბზაცები.

13. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1986 წლის 27 მარტის № 398 დადგენილებით:

— დააწესა, რომ გაერთიანებებსა და საწარმოებს შეუძლიათ გადასცენ შეთანხმებული პირობებით სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებს ამ ორგანიზაციებისათვის დაწესებულ დავალებათა შესასრულებლად ხელსაწყოები, მასალები, ნახევარფაბრიკატები და მზა ნაკეთობანი განაწილების გეგმების შესაბამისად მიღებული მატერიალური რესურსებიდან;

— ნება დართო, როგორც გამონაკლისი, სსრ კავშირის სახმომარაგებას წარმართოს 1986-1990 წლებში საბითუმო ვაჭრობის საწარმოებისა და ტექნიკურ საშუალებათა გასაქირავებელი პუნქტების მშენებლობისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის დასაფინანსებლად სამომარაგებლო საქმიანობის მოგების

ნაწილი სასაწყობო საქონელბრუნვის 0,1 პროცენტის ოდენობით ([illegible]ვინებელ ფასდებათა ოდენობის გაუდიდებლად) და გამოიყენოს ამ მიზნებისათვის პროდუქციის მიმწოდებელ საქვეუწყებო საწარმოებში არსებული მატერიალური რესურსების მარაგი (გამოყოფილი ფონდების მიხედვით მომხმარებელთათვის პროდუქციის მიწოდების გეგმების შეუცვლელად);

— შექმნა სსრ კავშირის სახმომარაგებასთან სამეურნეო ანგარიშზე საბითუმო ვაჭრობის წესით მატერიალური რესურსებით მომხმარებელთა მომარაგების მთავარი სამმართველო (საკმთავარმომარაგება-ვაჭრობა);

— ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-6 პუნქტის მეხუთე და მეექვსე აბზაცები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 აპრილის № 309 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1969 წ., № 12, მუხ. 66), რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 ივლისის № 439 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 3 ივნისი, № 374.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 3 ივნისის № 274 დადგე-
ნილების დანართი

## ნ უ ს ხ ა

**სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისა, რომელთა საქვეუწყებო საწარმოები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები 1987 წლიდან გადადიან საბითუმო ვაჭრობის წესით მომარაგებაზე**

სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრო
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო
სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო
სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო
სსრ კავშირის სახმშენი
სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი
არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოება
სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო
სსრ კავშირის განათლების სამინისტრო
სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო
საგარეო ვაჭრობის სამინისტრო
საკავშირო პროფსაბჭო
სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტი
სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი
გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველო
სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი
სსრ კავშირის უცხოეთის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტი
სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა
სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი
სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტი
სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი
სსრ კავშირის სახბანკი
სსრ კავშირის მშენბანკი
სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი
სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი

სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა სრულიად საკავშირო საბჭო

სსრ კავშირის მთავარი საარქივო სამმართველო

სსრ კავშირის მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო კომისია

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო

საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭო

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირი

სსრ კავშირის მხატვართა კავშირი

სსრ კავშირის მწერალთა კავშირი

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირი

სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირი

სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირი

სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნა"

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირი

საბჭოთა საზოგადოებრივი კომიტეტებისა და მშვიდობის საბჭოთა ფონდის გაერთიანებული საქმეთა მმართველობა

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, მშვიდობისმოყვარე ძალებთან კავშირურთიერთობის საბჭოთა კომიტეტის, სსრ კავშირის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობი ასოციაციის, ჩილელ დემოკრატებთან სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის, ბიულეტენის „ვეკ XX ი მირ" რედაქციის, მშვიდობის დაცვის მოსკოვის კომიტეტის საქმეთა მმართველობა

საბჭოთა ქალების კომიტეტი

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირი

სრულიად საკავშირო ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭო

სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭო

ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკი

საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოთვლითი ტექნიკის დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომ-ლობის სამთავრობათაშორისო კომისიის საკოორდინაციო ცენტრი

წიგნის მოყვარულთა სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საასტესტაციო კომისია

საზოგადოება **„როდინა“**

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი

მართვის პრობლემათა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აკადემია

სსრ კავშირის მთავლიტი

სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატა

სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს სრულიად საკავშირო საწარმოო გაერთიანება „სოიუზნაუჩპრიბორი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიბვავა**

## 37 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 16 აპრილის № 179 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„დასასვენებელი სახლების (დასასვენებელი პანსიონატების) საგზურების ფასების დამტკიცების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 მარტის № 383 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 16 აპრილის № 179 დადგენილების № 3 დანართის მე-4 შენიშვნა, აგრეთვე აღნიშნული დანართი დასასვენებელი სახლების საგზურების ფასების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიბკავა**

ქ. თბილისი, 1986 წ; 3 ივნისი, № 378.

## 38 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 დეკემბრის № 813 დადგენილება „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 6 ივნისი, № 386.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 6 ივნისის № 386 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შესახებ

1. ეს დებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შესახებ შემუშავებულია „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებების (საწარმოების) და ორგანიზაციების მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 7 თებერვლის № 75 დადგენილების მოთხოვნებისა და „მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და საქვეუწყებო გაერთიანებათა (საწარმოთა) და ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ“ მეთოდიკურ მითითებათა შესაბამისად, რომლებიც შეთანხმებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან 1986 წლის 5 მარტს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან 1986 წლის 6 მარტს.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის თანახმად არის რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვას საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით და მგზავრთა გადაყვანას საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით და მგზავრთა გადაყვანას; ქმნის დადგენილი წესით ავტომეურნეობებს, ავტომობილების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების, საგარაჟო მოწყობილობის დამამზადებელ საწარმოებს; ახორციელებს კადრების მომზადებას საავტომობილო ტრანსპორტისათვის. შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს საავტომობილო ტრანსპორტისა და მოწყობილობის გამოყენების გასაუმჯობესებლად.

4. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო კონტროლს უწევს რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციასა და ტექნიკურ მდგომარეობას, მიუხედავად მისი უწყებრივი დაქვემდებარებისა (სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოტრანსპორტის გარდა), რისთვისაც სამინისტროს უფლება ენიჭება შეამოწმოს ავტოტრანსპორტის მუშაობა და შესაბამისი დოკუმენტები.

5 .საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ხელმძღვანელობს და განაგებს მის სისტემაში შემავალ ავტოსატრანსპორტო სა-

წარმოო გაერთიანებებს, ტრესტს, სამმართველოებს, ავტომეურნეობებს, სა-ტრანსპორტო-საექსპედიციო კანტორებს, ავტომობილებისა და აგრეგატების სარემონტო ქარხნებსა და სახელოსნოებს, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურებს, სალტესარემონტო საწარმოებს და სხვა საქვეუწყებო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

6. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, და შემდგომ წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს მინისტრი.

7. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო:

— საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) შესაბამისად ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მთელ საქმიანობას. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას;

— გამოსცემს თავის კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად, და ამოწმებს მათ შესრულებას;

— აუქმებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

— ნიშნავს თანამდებობაზე და ათავისუფლებს თანამდებობიდან სამინისტროს სამმართველოთა და განყოფილებათა და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს;

— ქმნის და აუქმებს დადგენილი წესით საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და საჭირო შემთხვევებში ცვლის მათ დაქვემდებარებას სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებებისა და სხვა ორგანიზაციებისადმი;

— ამტკიცებს სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა წესდებებს და სამმართველოთა და განყოფილებათა დებულებებს.

8. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (კოლეგიის თავმჯდომარე), მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროსა და საქვეუწყებო ორგანიზაციათა სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კოლეგია რეგულარულად მოწვეულ თავის სხდომებზე განიხილავს საავტომობილო ტრანსპორტისადმი ხელმძღვანელობის ყველა ძირითად საკითხს, აგრეთვე კადრების შერჩევის, შესრულების შემოწმების საკითხებს, სამინისტროს უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს; ისმენს სამინისტროს ავტოსატრანსპორტო გაერთიანებათა, ტრესტის, სამმართველოთა, განყოფილებათა და საქვეუწყებო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

9. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

9.1. ორგანიზაცია გაუწიოს და განახორციელოს დამტკიცებული გეგმების შესაბამისად სახალხო მოხმარების საქონლისა და საგნების გადაზიდვა საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით, მგზავრთა რეგულარული გადაყვანა ქალაქის ფარგლებში და ქალაქიდან ქალაქში, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება მსუბუქი და სატვირთო ტაქსმოტორების მეშვეობით.

9.2. მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მიერ საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-პატრონობის გეგმების შემუშავებაში სატრანსპორტო საშუალებათა შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით.

9.3. შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საავტომობილო პარკის გამოყენების გაუმჯობესება, ავტომობილების რემონტის ხარისხის ამაღლება, შემოსავლის 1 მანეთზე დანახარჯების შემცირება, მატერიალური ფონდების რაციონალური გამოყენება, ავტომობილის სალტეების, საწვავ-საზეთი მასალების, აგრეთვე სამარაგო ნაწილებისა და სხვა მასალების ეკონომიურად ხარჯვა; გაავრცელოს და დანერგოს მუშაობის მოწინავე მეთოდები და ახალი ტექნიკა საავტომობილო ტრანსპორტზე.

9.4. განახორციელოს ავტომობილებისა და აგრეგატების სარემონტო ქარხნებისა და სახელოსნოების, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურების, ბენზინგასაწყობი სადგურების, სალტეებისა და აკუმულატორების სარემონტო საწარმოების, გარაჟების, საწყობების, ავტოვაგზლების დ

ეროვნული

სხვა ობიექტების მშენებლობა და ექსპლუატაცია.

9.5. მოამზადოს მძღოლთა შემადგენლობა და მუშები, აგრეთვე მოამზადოს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები საავტომობილო ტრანსპორტის მეურნეობებში გამოსაყენებლად.

9.6. შეიმუშაოს და გამოსცეს დიფერენცირებული ნორმატივები საერთო საკავშირო ნორმატივების ფარგლებში, დებულებანი, წესები, ინსტრუქციები და სხვა სახელმძღვანელო მითითებანი ავტომობილების გამოყენების, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის შესახებ, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის, აგრეთვე მგზავრთა გადაყვანის წესები, რომლებიც სავალდებულოა საქართველოს სსრ ყველა ავტომეურნეობისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომეურნეობების გარდა.

9.7. დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი საქვეუწყებო ავტომეურნეობებში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან ბრძოლის გასაძლიერებლად და მძღოლთა შემადგენლობაში შრომის დისციპლინის ასამაღლებლად.

10. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო:

10.1. შეადგენს საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის, აგრეთვე მგზავრთა გადაყვანის, ავტომობილების, აგრეგატებისა და ავტოსალტეების რემონტის, კაპიტალური მშენებლობისა და მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვის, შრომისა და თვითღირებულების გეგმების პროექტებს, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ბალანსებს და წარადგენს დადგენილი წესით აღნიშნული გეგმების პროექტებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად; უზრუნველყოფს დამტკიცებული გეგმების შესრულებას.

10.2. უზრუნველყოფს სამინისტროსა და მისი ორგანოების გამგებლობაში არსებული საავტომობილო პარკის მოვლა-შენახვას ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში და მის მაქსიმალურად გამოყენებას.

10.3. უზრუნველყოფს მგზავრთა გადაყვანის უსაფრთხოებას და მათს კულტურულ მომსახურებას, სამინისტროს სისტემაში შემავალ მეურნეობათა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადასაზიდი ტვირთების დროულად მიტანასა და დაცვა-შენახვას.

10.4. გამოსცემს დადგენილი წესით ინსტრუქციებს საავტომობილო გზებზე მოძრაობის უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის, საავტომობილო ტრანსპორტის ქონების მოვლა-პატრონობის, სანიტარიულ და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა დაცვის საკითხებზე.

10.5. შეიმუშავებს ნორმატივების ფარგლებში ავტომობილის სათბობისა და სამარაგო ნაწილების ხარჯვის დიფერენცირებულ ნორმებს, ავტომობილებისა და ავტოსალტეების რემონტშორისი გარბენის ნორმებს.

10.6. ამტკიცებს დადგენილი წესით შემუშავებულ კაპიტალური მშენებლობის საპროექტო დავალებებს, ტექნიკურ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს, აგრეთვე ავტოვაგზლების, სამგზავრო პავილიონებისა და სადგურების, გარა-

ქების, სარემონტო ქარხნებისა და სახელოსნოების, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურების, სალტესარემონტო და აკუმულატორების სარემონტო-დასამუხტავი სახელოსნოების, ბენზინგასაწყობი სადგურებისა და დამხმარე საწარმოების მშენებლობის პროექტებს.

10.7. ახორციელებს სამინისტროს სისტემის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებათა, ტრესტის, სამმართველოთა, ავტომეურნეობათა, საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო-ტექნიკურ ხელმძღვანელობას; ნერგავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, გამოგონებებს, ტექნიკურ გაუმჯობესებებს უფრო სრულყოფილ ტექნოლოგიურ პროცესებს, საწარმოო პროცესთა მექანიზაციასა და ავტომატიზაციას; შეიმუშავებს და ახორციელებს საწარმოო გამოცდილების გაზიარების ღონისძიებებს.

10.8. ახორციელებს სამინისტროს სისტემაში ღონისძიებებს, რომელთა მიზანია შრომის ნაყოფიერების ამაღლება, საავტომობილო პარკის, მექანიზმების გამოყენების გაუმჯობესება ,ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ხარისხის ამაღლება, სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება ,მშენებლობისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება, ავტომეურნეობათა და საწარმოთა რენტაბელობის უზრუნველყოფა.

10.9. ორგანიზაციას უწევს ტვირთისა და კონტეინერების ცენტრალიზებულ გადაზიდვას საავტომობილო ტრანსპორტით ქალაქის ფარგლებში და ქალაქიდან ქალაქში, ხელს უწყობს მოკლე მანძილზე გადასაზიდი ტვირთების გადაცემას რკინიგზიდან საავტომობილო ტრანსპორტზე, ახორციელებს ღონისძიებებს სატვირთო ავტომობილების ცარიელი გარბენის გამოყენების დონის ასამაღლებლად.

10.10. ახორციელებს ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ მუშაკთა შერჩევას დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად; ახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამინისტროს სისტემის ავტომეურნეობათა, საწარმოთა და მშენებლობათა კადრებით დაკომპლექტება, კადრების სწორი გამოყენება, მათი შრომის დისციპლინის განმტკიცება; კონტროლს უწევს ამ ღონისძიებათა შესრულებას საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ.

10.11. ახორციელებს დადგენილი წესით ტექნიკურ ნორმირებას და გამომუშავების ნორმების გადასინჯვას და უზრუნველყოფს მათს შესრულებას, კონტროლს უწევს შრომის კანონმდებლობისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვას; უზრუნველყოფს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და აკონტროლებს მათს შესრულებას.

10.12. ხელმძღვანელობს სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის მიზანია ავტომობილებით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის, ტექნიკური კვლავაღჭურვის, წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის, პროდუქციისა და სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის ეკონომია.

10.13. ხელმძღვანელობს უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სასწავლებლებს, რომლებიც ახორციელებენ საავტომობილო ტრანსპორტის ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა, მასობრივი პროფესიების მუშაკთა მომზადებასა და გადამზადებას, აგრეთვე სასწავლო-მეთოდურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სასწავლებელთა მუშაობას.

10.14. ორგანიზაციას უწევს სამინისტროს სისტემის ავტომეურნეობათა, საწარმოთა, მშენებლობის ობიექტებისა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას: ახორციელებს სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის გასაღებას.

10.15. აფინანსებს დადგენილი წესით სამინისტროს ორგანიზაციებს, საწარმოებს, მშენებლობის ობიექტებს, დაწესებულებებს და ხელმძღვანელობს მათს საფინანსო საქმიანობას.

10.16. აწესრიგებს საბუღალტრო აღრიცხვას და აკონტროლებს აღრიცხვა-ანგარიშგების დაყენებას სამინისტროს სისტემაში, ამტკიცებს უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებსა და ბალანსებს, ამოწმებს და აანალიზებს მათს კრებსით და საბუღალტრო ანგარიშებს, ადგენს პერიოდულ და წლიურ კრებსით საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშებს საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით, ახორციელებს საფინანსო კონტროლს და ატარებს სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის რევიზიებს სამინისტროს გაერთიანებებში, ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

10.17. შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით ყოველგვარი საავტომობილო ტვირთზიდვის, მგზავრთა გადაყვანის, აგრეთვე სატრანსპორტო-საექსპედიციო, სასაწყობო, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სხვა ოპერაციების ტარიფების პროექტებს, არასტანდარტული მოწყობილობის ფასების პროექტებს.

10.18. შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით სამინისტროს სისტემაში დასამზადებელი პროდუქციის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების პროექტებს, აგრეთვე სამინისტროს სისტემის სატრანსპორტო მეურნეობებისა და საწარმოების მიერ მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებს;

10.19. ხელმძღვანელობს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობას, წარმართავს მათს თემატიკას საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და რემონტის ძირითადი პრობლემების გადასაჭრელად.

10.20. ამზადებს გამოსაცემად ლიტერატურას საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკის, ეკონომიკისა და ორგანიზაციის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე, სასწავლო სახელმძღვანელოებსა და თვალსაჩინოებებს მძღოლთა და ავტოტრანსპორტის სხვა მუშაკთა მოსამზადებლად.

10.21. ორგანიზაციას უწევს და ხელმძღვანელობს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებებსა და ავტომეურნეობებში მოძრაობის უსაფრთხოების

ინჟინერთა მუშაობას, იზიდავს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის მუშაობაში ავტომეურნეობათა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აღრიცხავს დაწესებული ფორმების მიხედვით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს, აანალიზებს მათს მიზეზებს და იღებს ზომებს ავარიულობის წინაალმდეგ ავტომეურნეობების ბრძოლაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

11. მუშათა, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მოწინავე გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, მისი ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებანი იწვევენ აქტივის თათბირებს, რომლებზეც ისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ, აგრეთვე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე განიხილავენ საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის საკითხებს.

12. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრთან იქმნება ტექნიკური საბჭო, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს მინისტრი.

13. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

14. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

## 39 საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დებულებისა და მისი ცენტრალური აპარატის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დებულება და მისი ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, დანართის თანახმად.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 16 იანვრის № 29 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 6 ივნისი, № 387.

**დამტკიცებულია**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 6 ივნისის № [illegible] დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი (საქართველოს სსრ სახმშენი) არის მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახმშენს.

საქართველოს სსრ სახმშენს ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სს რესპუბლიკაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის კაპიტალურ მშენებლობაში, რომლის მიზანია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მეცნიერების განვითარება და ამ დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვა, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის სრულყოფა, დაპროექტებისა და მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება, ქალაქთმშენებლობის, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, სასოფლო დასახლებული პუნქტების, სამრეწველო ცენტრებისა და კვანძების არქიტექტურული იერსახის სრულყოფა.

2. საქართველოს სსრ სახმშენის მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— უზრუნველყოს მეცნიერების განვითარება მშენებლობის, ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურისა და საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების დარგში, ორგანიზაცია და კოორდინაცია გაუწიოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს აღნიშნულ დარგებში, ორგანიზაცია და კონტროლი გაუწიოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვას დაპროექტებასა და მშენებლობაში;

— ამაღლოს საპროექტო გადაწყვეტილებათა ტექნიკური და ეკონომიკური დონე, განავითაროს ტიპობრივი დაპროექტება, უხელმძღვანელოს საინჟინრო კვლევა-ძიებას კაპიტალური მშენებლობისათვის;

— მოამზადოს საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად წინადადებანი საძიებო, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციათა ქსელის სრულყოფის შესახებ, აღმოფხვრას პარალელიზმი და დუბლირება მათ საქმიანობაში;

— სრულყოს სახარჯთაღრიცხვო ნორმატივების ტექნიკური ნორმირება და სტანდარტიზაცია და ფასწარმოქმნა კაპიტალურ მშენებლობაში, კონტროლი გაუწიოს რესპუბლიკაში განსახორციელებელი კაპიტალური მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სწორ განსაზღვრას;

ეროვნული

— გააუმჯობესოს სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია და ინდუსტრიალიზაცია;

— აამაღლოს ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების არქიტექტურის დონე და განაშენიანების ხარისხი;

— შეიმუშაოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით მეცნიერებისა და ტექნიკის, ექსპერიმენტული მშენებლობის, სამშენებლო წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განვითარების, მშენებლობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის, მისი ნაყოფიერების ამაღლებისა და მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ძირითადი მიმართულებანი;

— უზრუნველყოს რაიონული დაგეგმარების სქემებისა და პროექტების, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, სასოფლო დასახლებული პუნქტების, კურორტების, დასასვენებელი ზონების დეტალური დაგეგმარების პროექტებისა და გენერალური გეგმების, სამრეწველო კვანძების გენერალური გეგმების სქემების, რესპუბლიკის ტერიტორიის მიწისქვეშა სივრცის ათვისების სქემებისა და პროექტების შემუშავება და კონტროლი მათი რეალიზაციისადმი;

— გააანალიზოს მუშაობის მდგომარეობა მშენებლობისა და საშენ მასალათა ტექნიკური დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების დარგში და გამოავლინოს მიზეზები რომლებიც განაპირობებენ ნაკლოვანებებს კაპიტალურ მშენებლობაში, საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოებაში;

— შეისწავლოს მდგომარეობა და ორგანიზაცია გაუწიოს სამშენებლო წარმოების ეკონომიკის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, ეკონომიკური მუშაობის სრულყოფის საკითხთა დამუშავებას სამშენებლო ორგანიზაციებში, აგრეთვე საშენ მასალათა, კონსტრუქციათა და ნაკეთობათა საწარმოებში.

განახორციელოს დადგენილი წესით:

ა) რაიონული დაგეგმარების სქემებისა და პროექტების, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, სასოფლო დასახლებული პუნქტების, კურორტების დეტალური დაგეგმარების პროექტებისა და გენერალური გეგმების, სამრეწველო კვანძების გენერალური გეგმების სქემების, მიწისქვეშა სივრცის ათვისების სქემებისა და პროექტების ექსპერტიზა;

ბ) საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზა:

— ორგანიზაცია გაუწიოს მშენებლობის, ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურისა და საშენ მასალათა წარმოების მოწინავე მეთოდების პროპაგანდასა და სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას, კოორდინაცია და მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიოს რესპუბლიკის სამშენებლო სამინისტროთა და უწყებათა საპროექტო ორგანიზაციათა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების მუშაობას;

— მოამზადოს საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად წინადადებანი მშენებლობის მართვის სრულყოფის, სამშენებლო წარმოების შრომატევადობისა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების, მშენებლობის მასალატევადობის შემცირების შესახებ;

ეროვნული

— შეიმუშაოს წინადადებანი მშენებლობის, ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის დარგში სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებთან მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა და ეფექტიანობის ამაღლების შესახებ, კონტროლი გაუწიოს მოწინავე საზღვარგარეთული გამოცდილების დანერგვას დაპროექტებასა და მშენებლობაში;

— განახორციელოს დადგენილი წესით სახელმწიფოებრივი კონტროლი ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, სასოფლო დასახლებული პუნქტებისა და სამრეწველო კვანძების დაგეგმარებისა და განაშენიანებისადმი, საწარმოების, შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ყოველგვარ სამუშაოთა, საშენ მასალათა, საქართველოს სს რესპუბლიკაში დამზადებულ ნაკეთობათა და კონსტრუქციათა ხარისხისადმი;

— კონტროლი გაუწიოს შენობა-ნაგებობათა და მათი კომპლექსების მშენებლობის ორგანიზაციასა და საინჟინრო-გეოდეზიური უზრუნველყოფის ხარისხს, სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და ტერიტორიების საინჟინრო დაცვის ღონისძიებათა შემუშავებასა და შესრულებას;

— განახორციელოს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა რესპუბლიკის საბინაო ფონდის კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დროს;

— კოორდინაცია გაუწიოს აფხაზეთის ასსრ სახმშენისა და აჭარის ასსრ სახმშენის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა ორგანოების საქმიანობას საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა დაპროექტებასა და მშენებლობაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების, შენობათა და ნაგებობათა დაგეგმვისა და განაშენიანების სრულყოფის დარგში, აგრეთვე სხვა საკითხებში, რომლებიც საქართველოს სსრ სახმშენის კომპეტენციას განეკუთვნება.

3. საქართველოს სსრ სახმშენი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) ორგანიზაციას უწევს რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შემუშავებას მშენებლობის, ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურისა და საშენი მასალების დარგში, ხოლო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად — წინადადებათა შემუშავებას რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების განაყოფის გამო; განიხილავს და ამტკიცებს დადგენილი წესით რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებს აღნიშნულ დარგებში, კონტროლს უწევს ამ პროგრამებისა და გეგმების განაყოფების რეალიზაციას, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დროულად დანერგვას დაპროექტებასა და მშენებლობაში. აკონტროლებს იმ ორგანიზაციების მუშაობას, რომლებიც ასრულებენ მშენებლობის ხაზით საერთო-საკავშირო და დარგობრივ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებს რესპუბლიკაში.

ბ) ორგანიზაციას უწევს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით წინადადებათა შემუშავებას ხუთწლიანი და წლიური გეგმებისათვის შემდეგ საკითხებზე: ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტება; დაპროექტებისა და მშენებლობის თაობაზე მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებისა და სახელმწიფო სტანდარტების გადასინჯვა და საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა და განზოგადება; სამრეწველო კვანძების გენერალური გეგმების სქემები; სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია; ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების დეტალური დაგეგმარების სქემები და პროექტები; სეისმური მიკროდარაიონების სქემები და პროექტები; დაცვითი ზონების პროექტები და საშიში გეოლოგიური პროცესებისაგან დასახლებული პუნქტების ტერიტორიის დაცვის სქემები; აგრეთვე ახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

— განიხილავს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად წინადადებებს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ შესასრულებელი საპროექტო-საძიებო სამუშაოებისათვის ლიმიტების განაწილების შესახებ;

— კონტროლს უწევს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობისათვის საინჟინრო კვლევა-ძიების განსახორციელებლად ნებართვის გაცემის სისწორეს; ორგანიზაციას უწევს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობისათვის საინჟინრო კვლევა-ძიების მასალებისა და საანგარიშგებო მონაცემების შეგროვებას, შესწავლას, სისტემატიზაციას, განზოგადებასა და სახელმწიფო აღრიცხვას და ახორციელებს კონტროლს მათი რაციონალური გამოყენებისადმი;

— კონტროლს უწევს ყოველგვარი მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების ნატურაში გამოყოფის სისწორეს და მათს რაციონალურ გამოყენებას;

— ორგანიზაციას უწევს რაიონული დაგეგმარების სქემებისა და პროექტების, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების პროექტების, სამრეწველო კვანძების, კურორტებისა და დასასვენებელი ზონების დეტალური დაგეგმარების პროექტების, გენერალური გეგმების სქემების, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მათი განაშენიანების წესების შემუშავებას და ახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

გ) ორგანიზაციულ-ტექნიკურ ხელმძღვანელობას უწევს სამშენებლო დაპროექტებას (მათ შორის ტიპობრივს), უზრუნველყოფს საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა პროექტების, რაიონული დაგეგმარების სქემებისა და პროექტების, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების სქემების ხარისხის, ტექნიკური და ეკონომიკური დონის ამაღლებას;

დ) კოორდინაციას უწევს საქართველოს სს რესპუბლიკაში საპროექტო სამუშაოთა ავტომატიზაციისათვის საპროექტო ორგანიზაციების მუშაობას, ავტომატიზებული დაპროექტებისათვის პროგრამული უზრუნველყოფის შექმ-

ნას და პროგრამების ფონდის წარმოებას; უზრუნველყოფს გამოთვლითი კომპლექსების შემადგენლობის მიხედვით ტექნიკური მოთხოვნების მიწოდებას;

ე) კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საპროექტო და საძიებო ორგანიზაციების საქმიანობას ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების, სასოფლო დასახლებული პუნქტების, სამრეწველო კვანძების, საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების დაპროექტებასა და მშენებლობაში, საბინაო ფონდის რემონტში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსახორციელებლად; განიხილავს საპროექტო გადაწყვეტილებათა გამო სამინისტროების, უწყებებისა და სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების უთანხმოებას, იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ან შეაქვს შესაბამისი წინადადებანი სსრ კავშირის სახმშენში, შეიმუშავებს და ამტკიცებს საპროექტო და საძიებო ორგანიზაციებში შრომის ნაყოფიერების ამაღლების ძირითად მიმართულებებს; კონტროლს უწევს რესპუბლიკაში ობიექტების მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობის განხორციელებას;

ვ) შეიმუშავებს მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებს; უზრუნველყოფს რესპუბლიკური სახარჯთაღრიცხვო ნორმატივების შემუშავებასა და დამტკიცებას დადგენილი წესით, აკონტროლებს მათს გამოყენებას. მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა მუშაობას ყოველგვარი მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების უტყუარობის უზრუნველსაყოფად;

— ატარებს შერჩევითს შემოწმებებს ამ საკითხებზე, აკონტროლებს საქართველოს სს რესპუბლიკაში მშენებლობის ღირებულებისა და მასალატევადობის ხვედრითი მაჩვენებლების შემუშავებას.

კონტროლს უწევს დადგენილი წესით:

— საბინაო მშენებლობის დაგეგმილი სტრუქტურისა და საშუალო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემუშავებასა და დაცვას საქართველოს სსრ რეგიონების (ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქების, რაიონების) მიხედვით;

— ქალაქებსა და სოფლებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, აგრეთვე საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის ორგანიზაციას;

— საექსპლუატაციოდ ვარგის საცხოვრებელ შენობათა აღების დასაბუთებულობას;

ზ) ატარებს დადგენილი წესით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ დასამტკიცებელ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზას, აგრეთვე კონტროლს უწევს ამ პროექტების ძირითადი მაჩვენებლების დაცვას სამუშაოთა მსვლელობაში;

— ატარებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების და სახალხო დეპუტატთა აღმასკომების მიერ საუწყებო და ადგილობრივი საექს-

პერტო ორგანოების რეკომენდაციის შემდეგ დასამტკიცებელი ობიექტების ყოველგვარი მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ხარისხის შერჩევითს შემოწმებას; მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საექსპერტო ორგანოთა მუშაობას;

— ორგანიზაციას უწევს საპროექტო საქალაქთმშენებლო დოკუმენტაციის, სამრეწველო კვანძების გენერალური გეგმების სქემების ექსპერტიზას;

თ) ორგანიზაციასა და კონტროლს უწევს ნორმების, წესებისა და სტანდარტების დაცვას იმ ობიექტების მშენებლობისას, რომელთა პროექტებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აგრეთვე ახორციელებს შერჩევითს კონტროლს საქართველოს სს რესპუბლიკაში სხვა ობიექტების მშენებლობისას ნორმების, წესებისა და სტანდარტების დაცვისადმი, განაზოგადებს შემოწმებათა შედეგებს და იღებს მათ გამო საჭირო ზომებს;

— ხელმძღვანელობას უწევს აფხაზეთის ასსრ სახმშენისა და აჭარის ასსრ სახმშენის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების არქიტექტურულ-დაგეგმარებით ორგანოთა და მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა ორგანოების მუშაობას; კოორდინაციას უწევს შემკვეთის ორგანიზაციების, საპროექტო ორგანიზაციებისა და საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ მშენებლობის დროს ნორმების, წესებისა და სტანდარტების დაცვისადმი კონტროლის ორგანოების საქმიანობას;

ი) ორგანიზაციას უწევს სსრ კავშირის სახმშენისა და სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული გეგმების შესაბამისად დაპროექტებისა და მშენებლობის ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტების შემუშავებას;

— ამტკიცებს რესპუბლიკურ ნორმატიულ დოკუმენტებსა და სტანდარტებს დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში, განიხილავს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ შესათანხმებლად წარდგენილ იმ ნორმატიულ დოკუმენტებს, რომლებიც მათ უნდა დაამტკიცონ და დაკავშირებულია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დაპროექტებასთან, საინჟინრო კვლევა-ძიებასა და მშენებლობასთან;

— კონტროლს უწევს ნორმების, წესების, სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაცვას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დაპროექტების, ყოველგვარი მშენებლობის დარგში;

კ) ატარებს დადგენილი წესით დაინტერესებულ სამინისტროთა, უწყებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობით ღია და დახურულ კონკურსებს შენობათა, ნაგებობათა და საცხოვრებელი რაიონების პროექტების, ქალაქებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების მშენებლობის გენერალური გეგმების, დეტალური დაგეგმარების პროექტების, ეკონომიკური და ინდუსტრიული კონსტრუქციებისა და დეტალების, მშენებლობის პროგრესული მე-

თოდების შესამუშავებლად, ეკონომიკური პროექტების მიხედვით, ობიექტე-ბის მშენებლობის საუკეთესო ხარისხისათვის, აგრეთვე კონკურსების პროექ-ტებისა და მშენებლობის სხვა საკითხებზე;

ლ) ორგანიზაციას უწევს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის ბუნებრივ-კლიმატური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწი-ნებით საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და მათი კომპლექსე-ბის ტიპობრივი და ექსპერიმენტული პროექტების შემუშავებას და ამტკი-ცებს მათ დადგენილი წესით;

მ) ორგანიზაციას უწევს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყე-ბების მონაწილეობით რესპუბლიკის ტერიტორიაზე მშენებლობის მატერია-ლურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების სქემების შემუშავებას და ამტკიცებს მათ დადგენილი წესით;

ნ) ამოწმებს დადგენილი წესით საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამ-შენებლო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების მქონე სამინისტროთა და უწყებათა მუშაობას მათ მიერ მშენებლობის ხარისხისადმი კონტროლის განსახორციელებლად;

ო) მონაწილეობს:

— საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სა-ხელმწიფო გეგმების პროექტების განხილვაში კაპიტალური მშენებლობის, სა-შენი მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების მრეწველობის ნაწილში და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის დასკვნებს;

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად ხანგრძლივი პერსპექტივისათვის მე-ცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამების შემუშავებაში;

— საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საპროექტო და საძიებო ორგანიზა-ციათა განვითარებისა და განლაგების სქემების შემუშავებაში;

— სახელმწიფო კომისიების მიერ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშე-ნებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესების დაცვისადმი შერჩევითი კონტროლის განხორციელებაში;

— საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობების ხარისხის სა-ხელმწიფო ატესტაციაში;

— მშენებლობაში ბრიგადული იჯარისა და შრომის ორგანიზაციის სხვა მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის მუშაობაში, რომელსაც საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს; შრომის ნაყოფიერების ამაღლების ძირითად მიმართულებათა, მშენებლობაში, საპროექტო და საძიებო ორგანიზაციებში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასის ფორმებისა და მატერიალუ-რი წახალისების სისტემების სრულყოფის წინადადებათა შემუშავებაში;

— დაპროექტებასა და მშენებლობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღ-წევების, მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების უსწრა-ფესად დანერგვისათვის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საძიებო და სამ-შენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების სოციალის-ტური შეჯიბრების პირობების შემუშავებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მის კომპეტენციაში შემავალი დაპროექტებასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვაში;

პ) სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრთან, საქართველოს სსრ სამშენებლო სამინისტროებთან და უწყებებთან, საპროექტო ორგანიზაციებთან ერთად ორგანიზაციას უწევს სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას საინჟინრო კვლევა-ძიების, დაპროექტების, სამშენებლო წარმოების, ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, საშენი მასალების, სამშენებლო ინდუსტრიის დარგში; უზრუნველყოფს დადგენილი წესით სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის, საინფორმაციო მასალების, ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტების გამოცემას დაპროექტებისა და ყოველგვარი მშენებლობის, საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების წარმოების დარგში;

— ორგანიზაციას უწევს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას, აგრეთვე გამოფენების, სემინარების, მოწინავე გამოცდილების სკოლების მოწყობას საინჟინრო კვლევა-ძიების, დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხებზე.

არქიტექტურის, ქალაქთმშენებლობის დარგში ყველა საკითხს საქართველოს სსრ სახმშენი ამუშავებს სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის მეთოდური ხელმძღვანელობით.

4. საქართველოს სსრ სახმშენს უფლება ენიჭება:

ა) ჩაატაროს დადგენილი წესით საქართველოს სსრ სამინისტროებში, უწყებებში, სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო, საძიებო, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებსა და საწარმოებში მეცნიერული კვლევის პროგრამების შესრულების, საინჟინრო კვლევა-ძიების, დაპროექტებისა და მშენებლობის ტექნიკური დონის, შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა, გამოშვებულ საშენ კონსტრუქციათა, ნაკეთობათა და მასალათა ხარისხის, აგრეთვე სამშენებლო ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობის შემოწმება, მოისმინოს ამ საკითხებზე სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა მოხსენებანი და ინფორმაციები და მათთან შეთანხმებით — საქვეუწყებო ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა მოხსენებანი და ინფორმაციები, მიიღოს აღნიშნული შემოწმებების, მოხსენებებისა და ინფორმაციების შედეგების მიხედვით მისი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებანი;

ბ) შექმნას საჭირო შემთხვევებში სამეცნიერო საბჭოები, საუწყებათაშორისო კომისიები და საექსპერტო ჯგუფები, აგრეთვე მოიწვიოს დადგენილი წესით თათბირები მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

გ) მიიზიდოს დადგენილი წესით საქართველოს სსრ სახმშენის მიერ დასამტკიცებელი გეგმების პროექტების, ცალკეული სახალხო-სამეურნეო პრობლემების და დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში სხვა საკითხების დასამუშავებლად, ყოველგვარი მშენებლობის ხარისხის შემოწმების, კონსულტაციების, ექსპერტიზის ჩასატარებლად რესპუბლიკის დაინტერესებული სამინისტროები და უწყებები, მათი საქვეუწყებო ორგანიზაციები, დაწესებულებები და

ბიბლიოთეკა

საწარმოები, უმაღლესი სასწავლებლები, ცალკეული მეცნიერ-სპეციალისტები და წარმოების მოწინავენი;

დ) მიიღოს მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისაგან, ხოლო საჭიროების კვალობაზე უშუალოდ რესპუბლიკის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორანიზაციებისაგან — საგეგმო და საანგარიშგებო მონაცემები დაპროექტების, მშენებლობის, საშენი მასალების, სამშენებლო ინდუსტრიის საკითხებზე;

ე) კონტროლი გაუწიოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სამინისტროსა და უწყების, ორგანიზაციისა და საწარმოს მიერ დაპროექტების. მშენებლობის, საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობების წარმოების დარგში ნორმების, წესებისა და სტანდარტების მოთხოვნების დაცვას;

— შეაჩეროს ყოველგვარი მშენებლობა, რომელიც მიმდინარეობს პროექტების გარეშე ან პროექტებისაგან გადახვევით და ნორმების, წესებისა და სტანდარტების მოთხოვნების დარღვევით, აგრეთვე საშენი კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების წარმოება, რაც ხორციელდება სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევით;

— უხარისხოდ შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ფაქტების გამოვლენისას გაუგზავნოს დამფინანსებელი ბანკის დაწესებულებას აქტ-შეტყობინება ამ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების აღრიცხვით იმისათვის, რათა ამოიღოს იგი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობიდან და მოახდინოს მოიჯარე ორგანიზაციათა ხელფასის ფონდის შესაბამისი გადაანგარიშება;

— სახელმწიფო მიმღები კომისიების მიერ ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენისას გაუგზავნოს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანიზაციებს წარდგინებანი ამ ობიექტების მიხედვით საანგარიშგებო მონაცემების შეცვლის შესახებ;

— სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევით პროდუქციის დამზადების ფაქტის დადგენისას მისცეს მითითება იმის შესახებ, რომ სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენი მასალების მრეწველობის საწარმოთა საანგარიშგებო მონაცემებიდან ამოიღოს რეალიზებული პროდუქციის მოცულობა და ღირებულება, აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციის მიღებული მოგება ჩარიცხოს რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავალში;

ვ) დაავალოს მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც ავტონომიურ რესპუბლიკას შეეხება, ავტონომიური რესპუბლიკების სახმშენებს.

5. საქართველოს სსრ სახმშენი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ

უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, ამ დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კომიტეტის საქვეუწყებო ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში.

საქართველოს სსრ სახმშენი განაზოგადებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე რესპუბლიკური კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფის შესახებ და წარუდგენს მათ დადგენილი წესით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო საჭირო შემთხვევებში — სსრ კავშირის სახმშენსა და სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს, აგრეთვე იძლევა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახსნა-განმარტებებს მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების შესახებ.

6. საქართველოს სსრ სახმშენი დადგენილი წესით ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს თავის საქვეუწყებო ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს, ამტკიცებს ამ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საწარმოთა წესდებებს (დებულებებს) და ხელმძღვანელობს მათს მუშაობას.

7. საქართველოს სსრ სახმშენს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, და შემდგომ წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე პერსონალურად აგებს პასუხს საქართველოს სსრ სახმშენისათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისათვის, განსაზღვრავს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთა და ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას კომიტეტის საქმიანობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის.

საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე სარგებლობს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრებისათვის მინიჭებული უფლებებით.

9. საქართველოს სსრ სახმშენში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე), თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე საქართველოს სსრ სახმშენის ცენტრალური აპარატისა და სისტემის მუშაკები.

10. საქართველოს სსრ სახმშენის კოლეგია რეგულარულად მოწვეულ თავის სხდომებზე განიხილავს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების საკითხებს, რომლის მიზანია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება დაპროექტებასა და მშენებლობაში, ქალაქთმშენებლობის, არქიტექტური

საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობების წარმოების, საბინაო ფონდის რემონტის ორგანიზაციის სრულყოფა, საქვეუწყებო ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საწარმოთა საქმიანობის გაუმჯობესება, ნორმატიული და ზემდგომ ორგანოებში შესატანი სხვა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების, კომიტეტის დადგენილებათა, ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტები, აგრეთვე კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისა და სხვა საკითხებს, რომლებიც საქართველოს სსრ სახმშენის კომპეტენციას განეკუთვნება.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება საქართველოს სსრ სახმშენის დადგენილებებითა და ბრძანებებით.

კოლეგიის თავმჯდომარესა და კოლეგიის წევრთა შორის უთანხმოების შემთხვევაში საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახმშენს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახმშენს.

11: საქართველოს სსრ სახმშენი გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, იძლევა მითითებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა კომიტეტის ცენტრალური აპარატის ქვედანაყოფების, ავტონომიური რესპუბლიკების სახმშენების, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა ორგანოების, ქალაქების მთავარი არქიტექტორების, კომიტეტის ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სსრ სახმშენი გამოსცემს დადგენილებებსა და ინსტრუქციებს, ამტკიცებს რესპუბლიკურ ნორმატიულ დოკუმენტებსა და სტანდარტებს დაპროექტების, მშენებლობის, სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენი მასალების წარმოების დარგში, რომელთა შესრულება სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სამინისტროსა და უწყების, ორგანიზაციის, დაწესებულებისა და საწარმოებისათვის მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სახმშენი გამოსცემს დადგენილებებსა და ბრძანებებს, იძლევა ერთობლივ მითითებებს სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით.

12. საქართველოს სსრ სახმშენის შემადგენლობაში არის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემათა ოპტიმალური გადაჭრის გზების განსახილველად და გამოსავლენად, აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოყენებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განსახილველად.

სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს სათავეში უდგას საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე. სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეცნიერები, საქართველოს სსრ სახმშენის სისტემის ხელმძღვანელი მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაკები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე სამეცნიერო ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები, უმაღლეს სასწავლებელთა, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს პერსონალურ შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე.

13. საქართველოს სსრ სახმშენი, აფხაზეთის ასსრ სახმშენი და აჭარის ასსრ სახმშენი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილება, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების არქიტექტურულ-დაგეგმარებითი ორგანოები და მშენებლობისა და არქიტექტორთა საქმეთა ორგანოები, საქართველოს სსრ სახმშენისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციები, დაწესებულებანი და საწარმოები შეადგენენ საქართველოს სსრ სახმშენის ერთიან სისტემას.

14. საქართველოს სსრ სახმშენის დებულებას, ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სახმშენის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგსა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე.

აფხაზეთის ასსრ სახმშენისა და აჭარის ასსრ სახმშენის დებულებებს, მათი აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები ავტონომიური რესპუბლიკის სახმშენის წარდგენით და საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით.

15. საქართველოს სსრ სახმშენს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 6 ივნისის № 387 დადგენილებით

## ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

### საქართველოს სსრ სახმშენის ცენტრალური აპარატისა

კომიტეტის ხელმძღვანელობა
საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის განყოფილება
ქალაქთმშენებლობის განყოფილება
სამრეწველო მშენებლობისა და სახაზო ნაგებობათა განყოფილება
სასოფლო მშენებლობის განყოფილება
სამშენებლო ინდუსტრიის, კონსტრუქციებისა და საშენი მასალების განყოფილება
მშენებლობის ორგანიზაციისა და ეკონომიკის განყოფილება
საპროექტო სამუშაოთა განყოფილება
მეცნიერების, ახალი ტექნიკისა და ინფორმაციის განყოფილება
პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების სახელმწიფო ექსპერტიზის სამმართველო
სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციის განყოფილება
საქვეუწყებო ორგანიზაციათა სამმართველო
ცენტრალური ბუღალტერია
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 40 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეგლამენტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

თბილისი, 1986 წ. 13 ივნისი, № 402

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 13 ივნისის № 402 დადგე-
ნილებით

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

## ᲠᲔᲒᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ

### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — საქართველოს სსრ მთავრობა — არის საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხი, რომლებიც განეკუთვნება მის კომპეტენციას საქართველოს სსრ კონსტიტუციით და კანონით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ.

თავის საქმიანობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი ორგანოების საქმიანობის წესს განსაზღვრავენ საქართველოს სსრ კონსტიტუცია, კანონი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ, საქართველოს სსრ სხვა კანონები, აგრეთვე ეს დებულება.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმიანობას საფუძვლად უდევს საკითხთა კოლექტიური განხილვა და გადაწყვეტა, საჯაროობა, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საკითხთა კოლეგიური განხილვისა და გადაწყვეტის შეხამება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წევრთა პერსონალურ პასუხისმგებლობასთან მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და მინდობილ სამუშაო უბნებზე საქმეთა ვითარებისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმიანობის ეფექტიან ხასიათს უზრუნველყოფენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მუდმივი კომისიებისა და საქართველოს სსრ მთავრობის სხვა სამუშაო ორგანოების რეგულარულად ჩატარებული სხდომები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების, საქართველოს სსრ მინისტრების, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებისა და უწყებათა ხელმძღვანელების ორგანიზაციულ-პრაქტიკული საქმიანობა სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული მშენებლობისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფეროებისადმი ხელმძღვანელობის საკითხთა გადასაწყვეტად.

საქართველოს სსრ მინისტრების, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების, უწყებათა ხელმძღვანელების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების უმნიშვნელოვანესი ამოცანებია პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და მათი შესრულებისადმი კონტროლის უზრუნველყოფა, სახელმწიფო აპარატის მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფა, ინფორმაციის სახელმწიფო სისტემის კომპლექსური განვითარება, სახელმწიფო, საგეგმო, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება, აპარატის მუშაკებისადმი მომთხოვნელობის ამაღლება და მინდობილი საქმისათვის მათი პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერება.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო რეგულარულად აბარებს ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე.

## II. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სამუშაო გეგმების მომზადება

5. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის მუშაობა ძირითადად ხორციელდება წინასწარ დამტკიცებული წლიური და კვარტალური გეგმების მიხედვით.

საქართველოს სსრ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილებები (ჯგუფები) თავიანთ წინადადებებს მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ წარუდგენენ საქმეთა მმართველობას შესაბამისად მორიგი წლისა და კვარტალის დაწყებამდე 1 თვით ადრე, ამასთან მიუთითებენ განხილვის ვადას.

ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხები გეგმის პროექტში შეიტანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მოთხოვნას შეიცავს გადაწყვეტილება, ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მითითებით.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა შემოსულ წინადადებათა საფუძველზე ადგენს მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის წლიური და კვარტალური სამუშაო გეგმების პროექტებს, ამასთან წინასწარ აზუსტებს საკითხთა განხილვის ვადებს, უთანხმებს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს და შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა კონტროლს უწევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მისი პრეზიდიუმის სამუ-

ეროვნული

შაო გეგმების შესრულებას და შედეგების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს ყოველი თვის დამლევს.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სამუშაო გეგმებიდან საკითხთა ამოღება ან მათი განხილვის ვადების შეცვლა დაიშვება მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ორშაბათობით მოწვეული ოპერატიული თათბირის გადაწყვეტილებით.

## III. საკითხების შეტანა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად შეიტანება საკითხები, რომლებიც განეკუთვნება მის კომპეტენციას და მათი გადაწყვეტა არ შეუძლიათ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს, საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დამოუკიდებლად ან საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან, უწყებებთან და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად.

საკითხები შემოაქვთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარეებს, საქართველოს სსრ მინისტრებს, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებს, უწყებათა ხელმძღვანელებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მათი არყოფნის დროს, — პირველ მოადგილეებს ან მოადგილეებს, რომელთაც ევალებათ მათი მოვალეობის შესრულება.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად შემოსატან თითოეულ საკითხზე საგულდაგულოდ უნდა იყოს მომზადებული, მკაფიოდ და მოკლედ ჩამოყალიბებული წინადადებანი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც წესი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების, განკარგულების ან სხვა გადაწყვეტილების პროექტის ფორმით, აგრეთვე წარმოდგენილ უნდა იქნეს მოხსენებითი ბარათი (ცნობა) საკითხის არსისა და მისი მიღების აუცილებლობის, შესაბამისი ეკონომიკური გაანგარიშებისა და დასაბუთების მოკლე შინაარსით, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ მინისტრებს, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებს, უწყებათა ხელმძღვანელებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შემოტანილი დადგენილებათა, განკარგულებათა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების ხარისხისათვის, წარმოდგენილი მასალების უტყუარობისა და სისრულისათვის.

მოხსენებითი ბარათი (ცნობა) უნდა იყოს ხელმოწერილი, ხოლო დადგენილების, განკარგულების ან სხვა გადაწყვეტილების პროექტი და მათი დანართები — ვიზირებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ მინისტრების, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეების, უწყებათა ხელმძღვანელების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების მიერ, რომლებსაც შემოაქვთ საკითხი. ასეთივე წესით წარმოუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხვა დოკუმენტების პროექტებს სსრ კავშირის სახელმწიფო ორგანოებში შესატანად.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა, განკარგულებათა ან სხვა გადაწყვეტილებათა პროექტები, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს, საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შემოაქვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში და შეეხება საქართველოს სსრ სხვა სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების ან სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ინტერესებს ან კომპეტენციას, წინასწარ უნდა შეუთანხმდეთ ამ უკანასკნელთ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, უწყებათა ხელმძღვანელები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან დასკვნა მისცენ მათთან შესათანხმებელ დადგენილებათა პროექტებს, როგორც წესი, მათი მიღების დღიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადაში, განკარგულებათა ან სხვა გადაწყვეტილებათა პროექტებს — 2 დღის ვადაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებიან, — დაასაბუთონ საწინააღმდეგო მოსაზრებანი და თან დაურთონ შემოთავაზებული რედაქცია.

12. არ დაიშვება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ახალი პროექტების შემოტანა, თუ არ შესრულებულა წინათ იმავე საკითხებზე მიღებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებანი, ამასთან საჭიროა მკაცრად ვიხელმძღვანელოთ იმ მითითებებით, რომ ყოველი ახალი გადაწყვეტილება ერთსა და იმავე საკითხზე მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ გაუთვალისწინებელ გარემოებათა წარმოქმნის შემთხვევაში. ამ მითითებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ დადგენილებათა, განკარგულებათა ან სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების გამო დასკვნების მიცემის დროსაც.

13. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის, საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარმოსადგენი დადგენილებათა პროექტები წინასწარ უნდა იქნეს განხილული შესაბამისად საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების კოლეგიათა ან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა პროექტები რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შემოაქვს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, წინასწარ განიხილება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სხდომებზე.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტები, რომლებიც მიიღება სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად, უნდა მომზადდეს და წარმოდგენილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში განსახილველად მის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 კვირის ვადაში, თუ განსაზღვრული არაა სხვა ვადა.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შემოტანილ საკითხებს, რომლებიც საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებას არ მოითხოვენ, ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა, განკარგულებათა არადამაკმაყოფილებლად მომზადებულ პროექტებს და სხვა მასალებს, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად შემოტანის წესის დარღვევებით წარმოდგენილ მასალებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა დაუბრუნებს დადგენილი წესით საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დასამუშავებლად და ჯეროვნად გასაფორმებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებზე განსახილველად საკითხებს ამზადებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი, საქართველოს სსრ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილეებისა და მოადგილეების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის ხელმძღვანელობით. საჭირო შემთხვევებში საკითხებს ამზადებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დროებითი კომისიები და სხვა სამუშაო ორგანოები.

## IV. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომათა დღის წესრიგის წინასწარი განხილვა

18. ოპერატიულ თათბირებზე მოიწვევიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, მისი მოადგილეები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილებების (ჯგუფების) გამგეები ან მათი მოადგილეები, თავმჯდომარის სამდივნოს მუშაკები, მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატის პარტიული კომიტეტის მდივანი.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომათა დღის წესრიგის პროექტებს ადგენს საქმეთა მმართველობა, განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან თავმჯდომარის პირველი მოადგილე ორშაბათობით მოწვეულ ოპერატიულ თათბირებზე. ამ თათბირების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1-1,5 საათს.

დღის წესრიგში შესატანი და ოპერატიულ თათბირებზე განსახილველი მასალები, ამ რეგლამენტის ზუსტი შესაბამისობით გაფორმებული, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას წარედგინება ოპერატიული თათბირის ჩატარების წინა ოთხშაბათს არა უგვიანეს 16 საათისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებისათვის მასალების მომზადებისა და წარმოდგენისას დაცულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობაში საქმისწარმოების ინსტრუქციაში ჩამოყალიბებული წესები.

სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტების გამო სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები, წინადადებანი, შესწორებანი, დამატებანი, ცვლილებანი შეაქვთ შესაბამის განყოფილებებს (ჯგუფებს), რომლებიც გადაწყვეტილებათა დაზუსტებულ პროექტებს აბარებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას 1 დღის განმავლობაში, თუ თათბირზე სხვა ვადა არ დაწესდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებულ პროექტში ცვლილებანი შეიტანება იმავე წესით, როგორც დამატებითი საკითხები, მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნებართვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომათა დღის წესრიგის პროექტი ეგზავნებათ ყოველ ორშაბათს:

ა) მთლიანად — პასუხისმგებელ მუშაკებს, რომლებიც ყოველთვის ესწრებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებს;

ბ) ცალკეულ საკითხებზე — პასუხისმგებელ მუშაკებს, რომლებიც მოწვეული არიან სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

21. თათბირის შემდეგ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა აფორმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ან მისი პირველი მოადგილის დავალებებს, რომლებიც მიეცათ მინისტრთა საბჭოს აპარატს ან სხვა ორგანოებს.

დავალებანი ეგზავნებათ შემსრულებლებს თათბირის შემდეგ არა უგვიანეს მეორე დღეს.

## V. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომები

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომებზე წყდება სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი საკითხები, განიხილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმები, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, საქართველოს სსრ კანონთა პროექტები, აგრეთვე განიხილება და წყდება სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც.

23. სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის საკითხები, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განიხილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე.

პრეზიდიუმის სხდომები ტარდება რეგულარულად, როგორც წესი, კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით, 15 საათზე.

24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებს იწვევს და ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

დამატებითი საკითხები შეიძლება შეტანილ იქნეს მოცემულ სხდომაზე მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანხმობით.

სხდომის დღის წესრიგი და მასალები ბარდებათ შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრებსა და საქართველოს სსრ მთავრობის წევრებს, აგრეთვე სხდომაზე მოწვეულ თანამდებობის პირებს სხდომამდე არა უგვიანეს ორი სამუშაო დღისა.

25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მოიწვევიან (მოწვეულთ ატყობინებს საერთო განყოფილება):

| | |
|---|---|
| ა) მინისტრთა საბჭოს წევრთა საპატიო მიზეზით არყოფნისას — მათი მოადგილეები | — ყოველთვის; |
| ბ) მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსი | — ყოველთვის; |
| გ) საქმეთა მმართველის მოადგილეები | — ყოველთვის; |
| დ) საქმეთა მმართველობის განყოფილებების (ჯგუფების) გამგეები ან მათი მოადგილეები, თავმჯდომარის თანაშემწე და თავმჯდომარის სამდივნოს პასუხისმგებელი მუშაკები, აპარატის პარტიული კომიტეტის მდივანი | — ყოველთვის |
| ე) სამინისტროების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები | — განსახილველ საკითხებზე. |

26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოიწვევიან (მოწვეულთ ატყობინებს საერთო განყოფილება):

| | |
|---|---|
| ა) საქმეთა მმართველის მოადგილეები | — ყოველთვის; |
| ბ) საქმეთა მმართველობის განყოფილებების (ჯგუფების) გამგეები და მათი მოადგილეები, თავმჯდომარის თანაშემწე და თავმჯდომარის სამდივნოს პასუხისმგებელი მუშაკები, აპარატის პარტიული კომიტეტის მდივანი | — ყოველთვის; |
| გ) მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე | — ყოველთვის; |
| დ) სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები, რესპუბლიკის პროკურორი, იუსტიციის მინისტრი, სახმშენის, ფასების სახელმწიფო კომიტეტის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის, | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი, სახბანკისა და მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორათა მმართველები, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული, საქინფორმის დირექტორი, რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორები ან მათი მოადგილეები — ყოველთვის;

ე) სამინისტროების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები — განსახილველ საკითხებზე

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებზე მოწვეულთა რეგისტრაციას ახორციელებს საქმეთა მმართველობის საერთო განყოფილება, დარბაზების მომზადებას — მთავარი სამეურნეო სამმართველო.

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველი საკითხის გამო მომხსენებელს ეძლევა ძირითადად არა უმეტეს 5-10 წუთისა, თანამომხსენებლებსა და საკითხის განხილვის წესით გამოსულთ — არა უმეტეს 3 წუთისა.

29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომათა ოქმებს აფორმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საერთო განყოფილება, როგორც წესი, იმავე დღეს, აუცილებლად შესაბამისი განყოფილებების (ჯგუფების) გამგეთა და მუშაკთა მონაწილეობით.

30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებზე უშენიშვნოდ მიღებულ გადაწყვეტილებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა აფორმებს იმავე დღეს. გადაწყვეტილებათა პროექტების გამო გამოთქმული შენიშვნები, წინადადებანი და მითითებანი შეაქვს შესაბამის განყოფილებას (ჯგუფს) სხდომაზე დათქმულ ვადაში. პროექტებს საბოლოო რედაქციით ვიზას აძლევს შესაბამისი განყოფილების (ჯგუფის) გამგე და წარუდგენს გასაფორმებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომათა ხელმოწერილ ოქმებს საერთო განყოფილება გზავნის ხელმოწერის მომდევნო დღეს, ხოლო მიღებულ გადაწყვეტილებებს — ხელმოწერის შემდეგ არა უმეტეს ორი დღის განმავლობაში გასამრავლებელ აპარატზე გამრავლებისას და სამი დღის განმავლობაში სტამბური წესით გამრავლებისას.

## VI. თათბირების მომზადება და ჩატარება

31. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში სხვადასხვა თათბირი ტარდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობისა და საქართველოს

სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის ნებართვით. ამ თათბირებზე მოიწვევა მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა, ამასთან მკაცრად განისაზღვრება მათი ხანგრძლივობა.

თათბირზე მოსაწვევ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელ მუშაკთა კანდიდატურები წინასწარ უთანხმდება საქმეთა მმართველობის საბჭოთა ორგანოების განყოფილებას, რომელიც აწარმოებს ასეთ ღონისძიებათა აღრიცხვას.

თათბირის ჩატარების შესახებ მის მონაწილეებს ატყობინებენ შესაბამისი განყოფილებები (ჯგუფები).

ღონისძიებანი მიმდინარე საკითხებზე ძირითადად ტარდება უშუალოდ ადგილებზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა მონაწილეობით.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვიური გეგმების შესრულების შედეგების შესაჯამებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ტარდება სელექტორული თათბირები.

სელექტორული თათბირის მუშაობას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის დარგობრივი განყოფილებები (ჯგუფები) ამზადებენ კურირებული დარგების მიხედვით შესაბამის საანალიზო მასალას და თათბირზე მოწვეულ პირთა სიას.

დარგობრივი განყოფილებების (ჯგუფების) მიერ წარმოდგენილი მასალების ვანზოგადება ეკისრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ეკონომიკის განყოფილებას.

თათბირის ჩატარების შესახებ მოწვეულ პირებს ატყობინებენ მის ჩატარებამდე ორი დღით ადრე დარგობრივი განყოფილებები (ჯგუფები), ხოლო ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საბჭოთა ორგანოების განყოფილება.

თათბირის მონაწილეთა რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საერთო განყოფილება, ტექნიკურ უზრუნველყოფას — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველო.

32. არ დაიშვება სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან ყოველდღიური ოპერატიული წერილობითი ინფორმაციების მიღება სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებული მდგომარეობის შესახებ, მკვეთრად იზღუდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილებების (ჯგუფების) მიერ კურირებული სამინისტროებიდან და უწყებებიდან მისაღები საცნობარო-საინფორმაციო მასალების რაოდენობა, ამ მიზნით აქტიურად გამოიყენება სატელეფონო, სატელეტაიპო და სელექტორული კავშირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VII. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება

33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად, ორგანიზაციას უწევს და ამოწმებს მათს შესრულებას.

34. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებზე განსახილველ დადგენილებათა, განკარგულებათა, საოქმო გადაწყვეტილებათა პროექტებს ამზადებენ სამუშაო გეგმების შესაბამისად საქართველოს სსრ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საქმეთა მმართველობის განყოფილებები (ჯგუფები).

35. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომელთაც ნორმატიული ხასიათი ან დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, გამოიცემა დადგენილებათა ფორმით.

გადაწყვეტილებანი ოპერატიულ და სხვა მიმდინარე საკითხებზე გამოიცემა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებათა ფორმით.

36. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს ხელს აწერენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებებს ხელს აწერენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ხელს აწერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და მათს დანართებს, ვიზას აძლევს განკარგულებებს, საოქმო და სხვა გადაწყვეტილებებს.

37. გადაწყვეტილებათა შემოტანილი პროექტები აუცილებლად უნდა იყოს ვიზირებული ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის შესაბამისი განყოფილებების (ჯგუფების) და იურიდიული განყოფილების მიერ. თუ პროექტები შეიცავენ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება, ისინი წინასწარ უნდა შეუთანხმდეს მათ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტებზე ყველა ხელმოწერა გაშიფრული უნდა იყოს და დასმული ჰქონდეს ვიზირების თარიღები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტების შეთანხმებას ახორციელებს ორგანო, რომელიც ამზადებს მათ.

38. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტები უნდა იყოს მკაფიო, ლაკონიური და კონკრეტული, შეიცავდეს განსახილვე-

ლი საკითხის ამომწურავ და პოლიტიკურ შეფასებას, ნათლად აყალიბებდეს მისაღები გადაწყვეტილების მიზანსა და ამოცანებს, ზუსტად განსაზღვრავდეს შემსრულებლებს და შესრულების რეალურ ვადებს.

39. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის განსახილველად საკითხის შემოტანამდე გადაწყვეტილებათა პროექტებს, როგორც წესი, განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის შესაბამისი მოადგილე და აძლევს ვიზას — „პრეზიდიუმზე" ან „ხელმოსაწერად". ამ დოკუმენტებს წინასწარ ვიზას აძლევენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილეები.

40. მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების პროექტს თან. ერთვის:

ა) ცნობა შესაბამის ორგანოებთან შეთანხმების შესახებ;

ბ) თანხმობაზე უარის შემთხვევაში — იმ ორგანოს მოტივირება, რომელიც არ ეთანხმება პროექტს;

გ) დანართები;

დ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოწვეულ პირთა სია, რომელსაც განსაზღვრავს განყოფილება (ჯგუფი) მათი თანამდებობის აღნიშვნით;

ე) იმ ორგანიზაციათა და პირთა სია, რომელთაც ეგზავნებათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოცემული გადაწყვეტილება ან მისი ამონაწერი (პუნქტის, აბზაცის, დანართის მითითებით).

41. გასაგზავნი დოკუმენტების რაოდენობის შემცირების მიზნით ისინი ეგზავნებათ მხოლოდ კონკრეტულ შემსრულებლებს. დანარჩენებს ეგზავნებათ ამონაწერები ცალკეული პუნქტების სახით, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებათ.

42. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტების მოცულობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს საბეჭდ მანქანაზე 1,5 ინტერვალით გადაბეჭდილ 3-4 გვერდს, ხოლო საკვანძო საკითხებზე — 4-5 გვერდს.

43. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა პროექტებს, რომელთა განხილვის მსვლელობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებზე გამოითქვა შენიშვნები, შეტანილ იქნა დამატებანი ან ცვლილებანი, საბოლოოდ დაამუშავებენ სხდომებზე ამ მიზნით შექმნილი კომისიები, საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილებები და წარმოადგენენ ხელმოსაწერად ორი სამუშაო დღის განმავლობაში, თუ განსაზღვრული არაა მათი წარმოდგენის სხვა ვადა. ასეთი წესით საბოლოოდ დამუშავებული დადგენილებათა პროექტები წინასწარ, ხელმოსაწერად გადაცემამდე, უნდა შეუთანხმდეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის შესაბამის მოადგილეებს.

ეროვნული

44. ცალკეულ საკითხებზე, რომელთა გადადება არ შეიძლება საკითხებზე, რომელთა განხილვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოწვეული არაა აუცილებლობით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა პროექტები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ხელმოსაწერად სხდომაზე მათი განხილვის გარეშე. ამ შემთხვევებში დადგენილებათა პროექტები უთანხმდებათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს.

45. დადგენილებები გამოიცემა ქართულ და რუსულ ენებზე. ხელმოწერილი დადგენილების ან განკარგულების თარგმანი ეგზავნებათ აღნიშნული ნუსხის თანახმად ადრესატებს არა უგვიანეს ერთი კვირის ვადაში ხელმოწერის დღიდან, თუ განსაზღვრული არაა მათი თარგმნისა და დაგზავნის სხვა ვადა.

46. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, რომლებიც მიღებულია სხვა ორგანოებთან ერთად, იგზავნება შესასრულებლად ამ ორგანოებთან შეთანხმებული ნუსხების შესაბამისად.

47. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, რომელთაც ნორმატიული ხასიათი ან დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, ქვეყნდება ქართულ და რუსულ ენებზე „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა კრებულში".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს საჭიროების შემთხვევაში ფართოდ და დაუყოვნებლივ აქვეყნებენ საყოველთაო გაცნობისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

48. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში, რომელთაც ნორმატიული ხასიათი აქვთ, აღინიშნება მათი სამოქმედოდ შემოღების ვადა. იმ შემთხვევებში, როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში აღნიშნული არაა სამოქმედოდ შემოღების ვადა, იგი ძალაში შედის მისი მიღების მომენტიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულება ძალაში შედის მისი მიღების მომენტიდან და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა კრებულში" არ ქვეყნდება.

49. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, რომლებიც არ გამოქვეყნებულა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა კრებულში" ან გაზეთებში „კომუნისტსა" და „ზარია ვოსტოკაში", აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებანი შეიძლება გამოქვეყნდეს სხვა ბეჭდვითი გამოცემებში მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის ნებართვით დაინტერესებული ორგანიზაციების წარდგენით.

50. ამ რეგლამენტით 47-ე პუნქტის თანახმად გამოსაქვეყნებელ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა დედნებზე კეთდება შესაბამისი წარწერა.

51. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ჩატარებულ თათბირებზე მიღებული გადაწყვეტილებანი ფორმდება თათბირის ოქმებით და ეგზავნებათ შემსრულებლებსა და დაინტერესებულ ორგანიზაციებს დადგენილი წესით.

52. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შემოსული წერილების, დეპეშებისა და სხვა დოკუმენტების გამო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები და მოადგილეები იღებენ ოპერატიულ გადაწყვეტილებებს დავალებების, მითითებების (რეზოლუციების) სახით.

## VIII. წინადადებათა შეტანა სსრ კავშირის ორგანოებში

53. სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მონაწილეობს სსრ კავშირის მთავრობასა და სსრ კავშირის სხვა ორგანოებში სსრ კავშირის გამგებლობისათვის განკუთვნილი საკითხების გადაწყვეტაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში განსახილველად წინადადებანი, როგორც წესი, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ურთიერთმოქმედებს სსრ კავშირის სამინისტროებთან და სახელმწიფო კომიტეტებთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოებთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და ამ ორგანოების კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთო-სახელმწიფო, დარგთაშორისი და რეგიონალური პროგრამების განხორციელებისას.

54. წინადადებანი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ან მისი არყოფნისას — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეებს. ანალოგიური წესით წარედგინებათ ამ ორგანოებს მათი მოთხოვნითა და დავალებით ანგარიშები, მოხსენებანი, ცნობები, ინფორმაციები, აგრეთვე დასკვნები მათ მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამოგზავნილი დადგენილებათა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების გამო.

წინადადებანი და შუამდგომლობანი სსრ კავშირის სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და სსრ კავშირის სხვა ორგანოებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით შეუძლიათ შეიტანონ, ხოლო ინფორმაციები და დასკვნები დადგენილებათა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების გამო წარადგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილეებმა ან მოადგილეებმა, გარდა პრინციპული ხასიათის დასკვნებისა, აგრეთვე სსრ კავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წინაშე დაყენებული საკითხებისა, რომელთა

გამო წინადადებანი შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IX. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მუდმივი კომისიები და საქართველოს სსრ მთავრობის სხვა სამუშაო ორგანოები

55. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ხელშეწყობის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლის და სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ცალკეულ საკითხებზე საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით მოქმედებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მუდმივი კომისიები.

56. სახალხო მეურნეობის დარგების ან მართვის სფეროების განვითარებასთან დაკავშირებულ წინადადებათა მოსამზადებლად, საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა პროექტების შესამუშავებლად და გადაწყვეტილებათა პროექტების გამო უთანხმოების განსახილველად, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის ცალკეულ დავალებათა შესასრულებლად შეიძლება შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დროებითი კომისიები და სხვა სამუშაო ორგანოები.

57. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მუდმივი კომისიებისა და საქართველოს სსრ მთავრობის სხვა სამუშაო ორგანოების ამოცანებს, ფუნქციებსა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მუდმივი კომისიები მუშაობენ დამტკიცებული დებულებებისა და სამუშაო გეგმების შესაბამისად და დადგენილი წესით წარმოუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ანგარიშებს თავიანთი საქმიანობის შესახებ.

მუდმივი კომისიებისა და სხვა სამუშაო ორგანოების გადაწყვეტილებანი ფორმდება სხდომათა ოქმებით, თუ განსაზღვრული არაა სხვა წესი, და საჭიროების შემთხვევაში ეგზავნებათ შესაბამის შემსრულებლებს. ამ ოქმებს, როგორც წესი, ხელს აწერენ შესაბამისი ხელმძღვანელები.

58. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კომისიებისა და სხვა სამუშაო ორგანოების სხდომებისათვის მასალების მომზადება, აგრეთვე მათი ტექნიკური მომსახურება ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ დადგენილი წესით.

## X. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან

59. სსრ კავშირის მთავრობასთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველდღიური კავშირურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის

მუხ/40

მინისტრთა საბჭოსთან არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობა.

60. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

### XI. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელება

61. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ახორციელებს სისტემატურ კონტროლს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, სხვა საქვეუწყებო ორგანოების საქმიანობისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ახორციელებს კონტროლს სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას საქართველოს სსრ გამგებლობაში შემავალ საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იღებს ზომებს იმისათვის, რათა საქართველოს სსრ სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტები, სხვა საქვეუწყებო ორგანოები სრული მოცულობით იყენებდნენ მათთვის მინიჭებულ უფლებებს დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად და თავიანთი ფუნქციების განსახორციელებლად, მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტისათვის.

62. თავის საქმიანობაში კონტროლის ხაზით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ემყარება საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს, წარმართავს მის მუშაობას კონტროლის განსახორციელებლად სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სფეროში და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფეროებში, განიხილავს მის მიერ შემოწმებათა შედეგების საფუძველზე შემოტანილ საკითხებსა და წინადადებებს.

63. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულების ორგანიზაცია და შემოწმება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მუშაობის საფუძველია.

64. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილეები და მოადგილეები სისტემატურად განიხილავენ საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და

ეროვნული

უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქების, რაიონების, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საგეგმო დავალებათა შესრულების შედეგებს და ოპერატიული წესით იღებენ ზომებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და წარმოქმნილ სიძნელეთა დასაძლევად.

65. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წინადადებათა მიხედვით წლის განმავლობაში სისტემატურად ისმენს საქართველოს სსრ მინისტრთა, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეთა, უწყებების ხელმძღვანელთა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა, საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების დავალებათა, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის და აღნიშნულ დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველსაყოფად მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ.

66. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განუწყვეტლივ სრულყოფს თავისი საქმიანობის ორგანიზაციულ ფორმებს, რაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამ მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატში სისტემატურად ხორციელდება სახელმწიფო აპარატის მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

67. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა სისტემატურ კონტროლს უწევს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების დავალებათა, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას, ამზადებს წინადადებებს ამ დავალებათა და გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიული განხილვისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და დავალებათა შესრულების კონტროლს ახორციელებენ საქმეთა მმართველობის განყოფილებანი, ხოლო საქმეთა მმართველობის ჯგუფი კონტროლს უწევს მათი შესრულების ვადების დაცვას და ამზადებს მასალებს ამ საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობისათვის.

## XII. მშრომელთა წერილების განხილვა და მოქალაქეთა მიღება

68. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა, აგრეთვე მათი მიღება ხორციელდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებათა, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მითითებათა შესაბამისად.

69. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმიანობა მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განსახილველად ხორციელდება მუშაობის ლენინური სტილის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს მაქსიმალურ ზრუნვასა და ყურადღებას ადამიანებისადმი, მათი აზრისადმი, დასაბუთებული მოთხოვნილება-საჭიროებებისადმი, შეურიგებლობის სულისკვეთებით საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინებებისადმი.

70. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატში მოქალაქეთა წერილებზე მუშაობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი.

71. მოქალაქეთა მიღება ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისაღებში, რომლის მუშაობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

72. მიაჩნია რა სახელმწიფო ორგანოებისათვის მოქალაქეთა მიმართვა წინადადებებით, განცხადებებით, საჩივრებით მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების განხორციელებისა და ინტერესების დაცვის, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, მოსახლეობასთან სახელმწიფო აპარატის კავშირის განმტკიცების დიდმნიშვნელოვან საშუალებად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა განაზოგადებს რესპუბლიკის მთავრობისათვის მოქალაქეთა მიმართვებს და სისტემატურად წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობას ინფორმაციას ამ მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

73. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატში მშრომელთა წერილების, წინადადებების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღებისათვის მუშაობის შედეგებს, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ანგარიშებს ამ მუშაობის მდგომარეობის შესახებ პერიოდულად ისმენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე.

## XIII. საქმისწარმოების გაძღოლა

74. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმისწარმოების გაძღოლა ეკისრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას. საქმისწარმოება ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

## 41 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 16 ივნისი, № 405.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 16 ივნისის № 405 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა
## საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების შესახებ შემუშავებულია „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაერთიანებების (საწარმოების) და ორგანიზაციების მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 7 თებერვლის № 75 დადგენილების მოთხოვნებისა და მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და საქვეუწყებო გაერთიანებათა (საწარმოთა) და ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ მეთოდიკური მითითებების შესაბამისად, რომლებიც შეთანხმებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან 1986 წლის 5 მარტს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან 1986 წლის 6 მარტს.

2. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება არის ერთიანი საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შედიან ავტოსატრანსპორტო საწარმოები, სატვირთო ავტოსადგურები, ავტოვაგზლები და სხვა საწარმოო ერთეულები.

ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოო ერთეულები იურიდიული პირები არ არიან და მათზე არ ვრცელდება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების მოქმედება.

ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება არის საავტომობილო ტრანსპორტის ძირითადი (პირველადი) რგოლი, რომლის საქმიანობას საფუძვლად უდევს თვით ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შეხამების პრინციპი.

3. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება, იყენებს რა მისთვის ოპერატიული მართვისა და სარგებლობისათვის მიჩენილ სახელმწიფო ქონებას, თავის საქმიანობას ახორციელებს გაერთიანების კოლექტივის ძალებით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შესაბამისად, ასრულებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს და სარგებლობს მის საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებებით, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და არის იურიდიული პირი.

4. ეს დებულება ვრცელდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებებზე.

5. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების მთავარი ამოცანებია:

— საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება და მუშაობის სრულყოფა იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი ავტომობილებით ტვირთის გადაზიდვასა და მგზავრთა გადაყვანაზე;

— ოპტიმალური გეგმების შემუშავება, სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის, შემოსავლის, მოგების დავალებათა და სახელმწიფო გეგმის სხვა მაჩვენებელთა შესრულება, ბიუჯეტში გადასახდელთა გეგმის შესრულება, ბანკებთან და მიმწოდებლებთან დროული ანგარიშსწორება;

— მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება;

— საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის რაციონალური გამოყენება, ტვირთის ცენტრალიზებული და საქალაქთაშორისო გადაზიდვის, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ორგანიზაციის სისტემატური გაუმჯობესება, ამ სამუშაოთა მექანიზაციის და სატრანსპორტო საშუალებათა ცარიელი გარბენის და დასატვირთ-გადმოსატვირთად მათი მოცდენის შემცირების ღონისძიებათა განხორციელება;

— ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის დროულად და რეგულარულად შესრულების უზრუნველყოფა, ახალი საავტობუსო მარშრუტებისა და ტაქსის გაჩერებების გახსნა, ახალ სახეობათა სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების ათვისება და მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლება;

— საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივი ამაღლება სატრანსპორტო პროცესის ორგანიზაციის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების დანერგვის, წარმოების კონცენტრაციის, სპეციალიზაციის, შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, აგრეთვე მართვის სისტემის სრულყოფის, ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის თვითღირებულების სისტემატური შემცირების და მათი რენტაბელობის ამაღლების საფუძველზე;

— შრომის დისციპლინის განმტკიცება და კადრების დამკვიდრებისათვის საჭირო პირობების შექმნა, შრომის ანაზღაურების, მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმებისა და სისტემების სრულყოფა;

— შრომითი კოლექტივების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის მათი დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება;

— კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალური გამოყენება და ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ვადების და ღირებულების შემცირება, კაპიტალური მშენებლობის, მოქმედ საწარმოთა და წარმოებათა ტექნიკური კვლავ-

ალჭურვის, აგრეთვე რეკონსტრუქციის ხარჯზე ძირითადი ფონდ[illegible] საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების დავალებათა დროულად შესრულე-ბის უზრუნველყოფა;

— ტვირთის გადაზიდვის უზრუნველყოფის ვალდებულებათა შესრულება დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად გათვალისწინებული ოდენობით, ვადებში და კლიენტურის მიხედვით;

— დაგეგმვის, მართვისა და სამეურნეო ანგარიშის სრულყოფა, შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა;

— ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების როლის ამაღლება და გამოთვლითი ტექნიკისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა უფრო ფართოდ გამოყენება სატრანსპორტო პროცესის მართვაში;

— სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარება, წარმოების მართვაში მშრომელთა ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა, სამმართველოს (გაერთიანების) კოლექტივის სოციალური განვითარების ღონისძიებათა განხორციელება;

— მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესება, შრომის ყველაზე ხელშემწყობი და უსაფრთხო პირობების შექმნა, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

— სამეურნეო ნაყარით, ჩამდინარი წყლებითა და წარმოების ნარჩენებით გაჭუჭყიანებისაგან ჰაერის, ნიადაგის, წყალსატევების დაცვის, ავტომობილის ძრავის გამონაბოლქვი გაზების ტოქსიკურობის შემცირების, აგრეთვე ხმაურისა და რადიოდაბრკოლების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელება.

6. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას ქმნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

გაერთიანების შექმნისას მხედველობაში მიიღება გასაერთიანებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა ტერიტორიული განლაგება, შესასრულებელი სატრანსპორტო სამუშაოს ერთგვაროვნება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების სრული ან ნაწილობრივი ცენტრალიზაციის აუცილებლობა.

გაერთიანების საწარმოო ერთეულს ქმნის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო გაერთიანების უფროსის წარდგენით.

7. საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეიძლება დაექვემდებარონ ცალკეული დამოუკიდებელი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით გათვალისწინებული უფლებებით.

გაერთიანება, რომელსაც ექვემდებარებიან დამოუკიდებელი საწარმოები და ორგანიზაციები, მათ მიმართ გამოდის როგორც ზემდგომი ორგანო. ამ შემთხვევებში გაერთიანებას შეუძლია ცენტრალიზებული გახადოს მთლია-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნად ან ნაწილობრივ ზემოაღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულება.

8. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება თავის ვალდებულებათა მიხედვით პასუხს აგებს მისთვის მიჩენილი იმ ქონებით, რომელზეც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

გაერთიანების პასუხისმგებლობა ზემდგომი ორგანოს და გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების ვალდებულებათა მიხედვით, აგრეთვე ზემდგომი ორგანოს და გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობა გაერთიანების ვალდებულებათა მიხედვით წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომელთაც ითვალისწინებს ან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა, ან ხელშეკრულება.

სახელმწიფო პასუხს არ აგებს გაერთიანების ვალდებულებათა მიხედვით, ხოლო გაერთიანება პასუხს არ აგებს სახელმწიფოს ვალდებულებათა მიხედვით.

9. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების საწარმოო ერთეულის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, ამ დებულებითა და მოცემული საწარმოო ერთეულის დებულებით.

ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების საწარმოო ერთეულის დებულებას ამტკიცებს გაერთიანების უფროსი, ხოლო მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების (საამქროების, განყოფილებების, სამსახურების, უბნებისა და სხვათა) დებულებებს — საწარმოო ერთეულის უფროსი.

გაერთიანების უფროსს უფლება აქვს მიანიჭოს საწარმოო ერთეულს დამატებითი უფლებანი გაერთიანების კომპეტენციის ფარგლებში, გარდა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ გაერთიანებისათვის გადაცემული უფლებებისა.

10. საწარმოო ერთეულს აქვს თავისი დასახელება, რომელშიც უნდა აღინიშნოს აგრეთვე იმ ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების დასახელება, რომლის შემადგენლობაშიც შედის იგი.

11. საწარმოო ერთეული:

— განაგებს მისთვის მიჩენილ ძირითად საშუალებებსა და საბრუნავ სახსრებს, შრომითსა და მატერიალურ რესურსებს, ახორციელებს თავის საქმიანობას სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე კანონმდებლობით დაწესებულ უფლებათა, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების მიერ მისთვის გადაცემულ უფლებათა ფარგლებში;

— დებს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების სახელით სამეურნეო ხელშეკრულებებს, რომელთა მიხედვით პასუხისმგებლობას კისრულობს გაერთიანება. ასეთ ხელშეკრულებათა ნუსხასა და სახეობებს განსაზღვრავს გაერთიანება.

გაერთიანების ადგილსამყოფელის ფარგლებს გარეთ განლაგებულ საწარმოო ერთეულს აქვს მიმდინარე ანგარიში (საანგარიშსწორებო სუბანგარიში)

სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებაში და შეუძლია ჰქონდეს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ანგარიში სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებაში.

სსრ კავშირის სახბანკის იმ დაწესებულებასთან შეთანხმებული გაერთიანების უფროსის ნებრათვით, რომელშიც გახსნილია გაერთიანების საანგარიშსწორებო ანგარიში, მიმდინარე ანგარიში შეიძლება გაიხსნას აგრეთვე გაერთიანების ადგილსამყოფელის ფარგლებს გარეთ განლაგებული საწარმოო ერთეულისათვის.

12. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებაში შინასამეურნეო ურთიერთობის განხორციელების წესს, საწარმოო ერთეულების მიერ თავიანთ მოვალეობათა დარღვევის შედეგებს, აგრეთვე გაერთიანებაში შინასამეურნეო დავის გადაწყვეტის წესს განსაზღვრავს გაერთიანება.

13. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების, მისი საწარმოო ერთეულებისა და გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებული დავალებანი და მითითებანი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ შეიძლება მისცეს მხოლოდ გაერთიანებას, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ახორციელებს მის ოპერატიულ მართვაში არსებული ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს და მისთვის გამოყოფილი მიწით სარგებლობის უფლებებს კანონით დაწესებულ ფარგლებში, გაერთიანების საქმიანობის მიზნების, საგეგმო დავალებებისა და ქონების დანიშნულების შესაბამისად.

15. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მოვალეა დაიცვას თავის საქმიანობაში სოციალისტური კანონიერება და სახელმწიფო დისციპლინა. გაერთიანების, აგრეთვე მისი საწარმოო ერთეულებისათვის მინიჭებული უფლებები გამოყენებულ უნდა იქნეს მთელი სახალხო მეურნეობის, გაერთიანებისა და მისი საწარმოო ერთეულების ინტერესებისათვის.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს გაერთიანებისა და მისი საწარმოო ერთეულების უფლებათა განუხრელი დაცვა, აგრეთვე კონტროლი გაუწიოს გაერთიანების მიერ თავის მოვალეობათა შესრულებას და მისთვის მინიჭებული უფლებების სწორად გამოყენებას.

## II. ხელმძღვანელობა ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების საქმიანობისადმი

16. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების საქმიანობის მართვა ხორციელდება გაერთიანების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტაში ერთმმართველობისა და კოლეგიურობის სწორი შეხამების საფუძველზე.

გაერთიანებისა და მისი საწარმოო ერთეულების საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მუშაკთა კოლექტივები ფართოდ მონაწილეობენ გაერთიანების, საწარმოო ერთეულების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გეგმათა პროექტების მომზადებაში, ამ გეგმების შესრულების უზრუნველყოფის, გაერთიანების საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის, მისი მუშაკების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

17. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს მთავარი ავტოსატრანსპორტო საწარმოს მმართველობის აპარატი ან სპეციალური მმართველობის აპარატი.

გაერთიანებას სათავეში უდგას გენერალური დირექტორი, რომელიც მოქმედებს ერთმმართველობის საფუძველზე.

გენერალურ დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო.

18. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი წარმართავს გაერთიანების მთელ მუშაობას და მთლიანად პასუხს აგებს მისი საქმიანობისათვის.

გენერალური დირექტორი:

— მოქმედებს მინდობილობის გარეშე გაერთიანების სახელით, წარმოადგენს მას ყველა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად განაგებს გაერთიანების ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს (მათ შორის სხვისთვის გადაცემის უფლებით), ხსნის ბანკებში გაერთიანების საანგარიშსწორებო ანგარიშსა და სხვა ანგარიშებს;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად სამუშაოზე იღებს და სამუშაოდან ითხოვს მუშაკებს დაწესებული ნომენკლატურის ფარგლებში, იყენებს წახალისების ღონისძიებებს და ადებს სასჯელს გაერთიანების მუშაკებს;

— აუქმებს საწარმოო ერთეულების ხელმძღვანელთა ბრძანებებს ან იძლევა შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს ასეთ ბრძანებათა შეცვლის შესახებ, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას, ამ დებულებას ან სხვა ნორმატიულ აქტებს

19. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილეებს, მთავარ ინჟინერს, მთავარ ბუღალტერს, საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსს, უფროს იურისკონსულტს (იურისკონსულტს) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო გაერთიანების გენერალური დირექტორის წარდგენით.

20. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილეთა და სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა ფუნქციებს აწესებს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალური დირექტორის მოადგილეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ გაერთიანების სახელით, წარმოადგენენ მას სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, შეუძლიათ შეასრულონ სამეურნეო ოპერაციები და დადონ ხელშეკრულებანი მინდობილობის გარეშე, აგრეთვე მისცენ მინდობილობანი გაერთიანების მუშაკებს.

21. საწარმოო ერთეულს სათავეში უდგას დირექტორი. საწარმოო ერთეულის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

მსხვილი საწარმოო ერთეულის დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

22. საწარმოო ერთეულის დირექტორი წარმართავს მთელ მის მუშაობას და პასუხს აგებს საწარმოო ერთეულის საქმიანობისათვის.

23. საწარმოო ერთეულის დირექტორი:

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს მინდობილობის გარეშე საწარმოო ერთეულის სახელით, განაგებს მოქმედი კანონმდებლობის ამ დებულებისა და მოცემული საწარმოო ერთეულის დებულების შესაბამისად მისთვის მიჩენილ ქონებას, გამოსცემს ბრძანებებს, ხსნის ბანკში მიმდინარე ანგარიშს, ხოლო სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის მიერ დაწესებულ შემთხვევებში — საწარმოო ერთეულის სხვა ანგარიშებს, დებს გაერთიანების სახელით სამეურნეო ხელშეკრულებებს, სამუშაოზე იღებს და სამუშაოდან ითხოვს მუშაკებს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად;

— დადგენილი წესით იყენებს წახალისების ღონისძიებებს და ადებს სასჯელს საწარმოო ერთეულის მუშაკებს.

24. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ან საწარმოო ერთეულის ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკთა დათხოვნა არ შეიძლება შესაბამისი პროფკავშირული კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

25. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ინტერესებთან საწარმოო ერთეულთა ინტერესების შეხამების, აგრეთვე მთლიანად გაერთიანების სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის საწარმოო ერთეულთა პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით გაერთიანებაში იქმნება საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან გენერალური დირექტორი, მისი მოადგილეები, მთავარი ინჟინერი, საწარმოო ერთეულთა დირექტორები, აგრეთვე გაერთიანების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

იმ შემთხვევაში, როცა გაერთიანებას ექვემდებარებიან ცალკეული დამოუკიდებელი საწარმოები და ორგანიზაციები, ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები შედიან საბჭოს შემადგენლობაში.

საბჭოს თავმჯდომარეა გაერთიანების გენერალური დირექტორი.

საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის საჭირო შემთხვევებში მიიწვევიან გაერთიანების სპეციალისტები და ხელმძღვანელი მუშაკები, წარმოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინავენი, აგრეთვე სხვა საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

26. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების საბჭო განიხილავს:

— გაერთიანების, მისი საწარმოო ერთეულების განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს, აგრეთვე გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ დამოუკიდებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა განვითარების გეგმების პროექტებს, ამასთან ითვალისწინებს ოპტიმალური გეგმების მიღებას და წარმოების რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას;

— ანგარიშებს გაერთიანების, მისი საწარმოო ერთეულების, აგრეთვე გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ დამოუკიდებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ;

— სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების საკითხებს;

— ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის, საწარმოთა, ორგანიზაციათა და მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების ხარისხის ამაღლების საკითხებს;

— კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების, მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირების, საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების დაჩქარების, მოქმედ საწარმოთა და წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის საკითხებს;

— ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფების პროექტებს და ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვის საკითხებს;

— საწარმოო ერთეულებისა და გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების სპეციალიზაციის, მოძრავი შემადგენლობის, საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენების, გაერთიანების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმების პროექტებს;

— შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის, მართვისა და სამეურნეო ანგარიშის სრულყოფის, შრომის ნორმირების, შრომის ანაზღაურების, მატერიალური და მორალური წახალისების ფორმებისა და სისტემების სრულყოფის საკითხებს;

— სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და განვითარების, მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების, მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის გაძლიერების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვის საკითხებს;

— კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს;

— შინასამეურნეო ურთიერთობის განხორციელების საკითხებს, საწარმოო ერთეულების მიერ თავიანთ მოვალეობათა დარღვევის შემთხვევებს, შინასამეურნეო დავის გადაწყვეტის წესს;

— საკითხებს გაერთიანების მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ოდენობის შესახებ, რომლებიც უნდა გადაეცეს საწარმოო ერთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულების განკარგულებაში, აგრეთვე ამ ფონდებში ანარიცხების [illegible] ბის პროექტებს, საწარმოო ერთეულებისათვის გადაცემის შემთხვევაში წარმოების განვითარების ფონდის ნაწილის განსაზღვრის საკითხებს, გაერთიანების ეკონომიკური სტიმულირების ფონდებისა და სხვა ფონდების გამოყენების საკითხებს;

— მოსახლეობის სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურებისა და ავტომობილების გზადაგზა დატვირთვის შედეგად მიღებული მოგების ნაწილის საწარმოო ერთეულებს შორის განაწილების საკითხებს, თუ გაერთიანება ახორციელებს ასეთ ფუნქციებს;

— შრომის პირობების, უსაფრთხოების ტექნიკისა და გაერთიანების სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის უსაფრთხოების მდგომარეობას;

— გაერთიანებისა და მისი საწარმოო ერთეულების კოლექტივების, აგრეთვე გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ დამოუკიდებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალური განვითარების საკითხებს;

— გაერთიანების საქმიანობის სხვა საკითხებს.

27. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, გაერთიანების გენერალური დირექტორის ბრძანებებით.

გენერალურ დირექტორსა და გაერთიანების საბჭოს შორის საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების გამო უთანხმოების შემთხვევაში გენერალური დირექტორი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას.

28. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების განვითარების ტექნიკურ და ეკონომიკურ პრობლემათა განსახილველად, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა, მნიშვნელოვან გამოგონებათა და მეცნიერულ აღმოჩენათა შედეგების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვისა და გამოყენების თაობაზე რეკომენდაციების შესამუშავებლად გაერთიანებაში შეიძლება შეიქმნას ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭო მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა და წარმოების ნოვატორთა შემადგენლობით.

ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

29. კოლექტიური ხელშეკრულებანი ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებებში და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო ერთეულებში დაიდება საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესით.

30. შრომითი შინაგანაწესს განსაზღვრავს დარგობრივი წესების შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ადმინისტრაცია შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით ან მათი გადაწყვეტილებით — საწარმოო ერთეულის ადმინისტრაცია და პროფკავშირული კომიტეტი.

31. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ადმინისტრაცია, ხოლო ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — საწარმოო ერთეულის ადმინისტრაცია შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად ანაწ-

ლებს დადგენილი წესით საცხოვრებელ ფართობს გაერთიანების საუწყებო სახლებში, აგრეთვე გაერთიანების, საწარმოო ერთეულის განკარგულებაში სხვა სახლებში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობს.

32. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებისა და საწარმოო ერთეულის ადმინისტრაცია შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად ორგანიზაციას უწევს სოციალისტურ შეჯიბრებას, აჯამებს მის შედეგებს და განსაზღვრავს შეჯიბრების გამარჯვებულებს, წყვეტს მოწინავე კოლექტივებისა და მუშაკების წახალისების საკითხებს.

33. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებისა და საწარმოო ერთეულის ადმინისტრაცია შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს სხდომაზე მოახსენებს გეგმათა პროექტების, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების გეგმებისა და კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების შესახებ.

34. საწარმოო საკითხთა გადაწყვეტაში მონაწილეობისათვის მუშათა და მოსამსახურეთა ფართოდ მისაზიდად საწარმოო ერთეულებსა და მათს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ხოლო საჭირო შემთხვევებში — მთლიანად ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებაშიც ეწყობა მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე

გაერთიანების, საწარმოო ერთეულებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ადმინისტრაცია ყოველმხრივ უწყობენ ხელს მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების წარმატებულ მუშაობას და ორგანიზაციას უწევენ მათ გადაწყვეტილებათა შესრულებას

35. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებისა და საწარმოო ერთეულების მუშაკთა კრებები (კონფერენციები) ადმინისტრაციის მოხსენებების მიხედვით განიხილავენ საწარმოო გეგმების პროექტებს, გეგმების შესრულების შედეგებს, კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმებს და მათში გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულებას, კოლექტიურ ხელშეკრულებათა პროექტებს და მათ მიხედვით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, წარმოების, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების გამოყენების საკითხებს, აგრეთვე შრომისა და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობის, წარმოებაში შინაგანაწესის დაცვის საკითხებს.

ადმინისტრაცია კრებას (კონფერენციას) მოახსენებს წინათ გამართული კრებების, კონფერენციების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად განხორციელებული ღონისძიებების, აგრეთვე კრებებზე (კონფერენციებზე) გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვის შედეგების შესახებ.

36. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებასა და საწარმოო ერთეულებში იქმნება სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, რომლებსაც გაერთიანებისა და საწარმოო ერთეულების ადმინისტრაციამ აუცი-

ბიბლიოთეკა

ლებლად უნდა გაუწიოს ყოველმხრივი დახმარება მუშაობაში, განიხილოს მათი წინადადებანი და რეკომენდაციები და მიიღოს საჭირო ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

37. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიას ატარებს კომპლექსურად საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო დაინტერესებული ორგანიზაციების მიზიდვით წელიწადში ერთხელ.

გაერთიანების საქმიანობის შემოწმებას ატარებენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და სახალხო კონტროლის ორგანოები, აგრეთვე შეიძლება განახორციელონ სხვა სახელმწიფო ორგანოებმა საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობისადმი კონტროლის ხაზით მათთვის მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად.

გაერთიანება ახორციელებს თავისი საწარმოო ერთეულების საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმებას.

## III. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ქონება

38. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ქონება შედგება ძირითადი საშუალებებისა და საბრუნავი სახსრებისაგან, რომლებიც ქმნიან მის საწესდებო ფონდს, აგრეთვე გაერთიანებისათვის მიჩენილი სხვა ქონების ფონდებისაგან.

გაერთიანებისათვის მიჩენილი ქონება აისახება მის დამოუკიდებელ ბალანსზე.

თუ გაერთიანებას ექვემდებარებიან დამოუკიდებელი საწარმოები და ორგანიზაციები, მათი ქონება აისახება ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა დამოუკიდებელ ბალანსებზე. ასეთ შემთხვევებში გაერთიანება შეადგენს კრებსით ბალანსს.

39. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებაში იქმნება შემდეგი ფონდები:

— წარმოების განვითარების ფონდი;

— მატერიალური წახალისების ფონდი;

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი;

— კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების ფონდი;

— ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ფონდი;

— გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ხელშეწყობის ფონდი;

— სხვა ფონდები სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

ფონდების შექმნისა და ხარჯის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით.

40. ავტოსატრანსპორტო საწამროო გაერთიანება მიუჩენს საწარმოო ერთეულს გაერთიანების ძირითადი საშუალებებისა და საბრუნავი სახსრების ნაწილს, რაც საჭიროა საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის. საბრუნავი სახსრები მიეცემათ დაწესებული ნორმების (ნორმატივების) შესაბამისად.

საწარმოო ერთეული იღებს თავის განკარგულებაში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის და მატერიალური წახალისების ფონდის ნაწილს, აგრეთვე შეუძლია მიიღოს წარმოების განვითარების ფონდის ნაწილი, რომელსაც განსაზღვრავს გაერთიანება.

საწარმოო ერთეულს შეუძლია ჰქონდეს ცალკე ბალანსი.

41. საწარმოო ერთეულისათვის მიჩენილი საბრუნავი სახსრები შეიძლება ჩამოართვას მას ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებამ დადგენილი წესით საბრუნავი სახსრების ნორმების (ნორმატივების) შეცვლისას.

გაერთიანებას უფლება აქვს, ხოლო საწარმოო ერთეულის წინადადებით მოვალეა ჩამოართვას მას ზედმეტი მატერიალური ფასეულობები, რომლებიც ძირითად საშუალებებსა და საბრუნავ სახსრებს განეკუთვნება.

42. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების საკუთარი საბრუნავი სახსრების ოდენობა (ნორმატივი), აგრეთვე მათი ზრდა ან შემცირება მტკიცდება დადგენილი წესით, საგეგმო დავალებებიდან გამომდინარე და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვისა და მარაგის ნორმების შესაბამისად.

გაერთიანებისათვის ნორმატივის ფარგლებში მიჩენილი საბრუნავი სახსრები არ შეიძლება ჩამოართვას მას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ.

ზედმეტი საბუნავი სახსრები (ნორმატივის გადამეტებით) შეიძლება ჩამოართვას გაერთიანებას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ მხოლოდ გაერთიანების წლიური ანგარიშის მიხედვით განაწილების წესით ან გაერთიანების საწარმოო გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის შეცვლისას.

43. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებისათვის მიჩენილი შენობა-ნაგებობანი, მოქმედი მოწყობილობა და სხვა ძირითადი საშუალებანი (სატრანსპორტო საშუალებათა გარდა) შეიძლება გადაეცეთ სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

44. დროებით გამოუყენებელი შენობა-ნაგებობანი, საწარმოო, სასაწყობო და სხვა სადგომები, მოწყობილობა და ობიექტები, რომლებიც ძირითად ფონდებს მიეკუთვნება, ავტოსატრანსპორტო საწარმოს შეუძლია იჯარით მისცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს. შენობა-ნაგებობებისა და სადგომის საიჯარო ქირა გადახდებათ იმ ადგილზე მოქმედი განაკვეთების მიხედვით, სადაც ისინია განლაგებული, ხოლო სხვა ობიექტები, რომლებიც ძირითად ფონდებს განეკუთვნება, — არა უმეტეს მოცემული სახეობის ქონების ფონდების გადასახდელისა და საამორტიზაციო ანარიცხების თანხების ოდენობით.

45. ზედმეტი, გამოუყენებელი მოწყობილობა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები, ინვენტარი, ნედლეული, მასალები და სათბობი შეიძლება მიჰყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებამ სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს შემდეგი წესის დაცვით:

— ზედმეტ მატერიალურ ფასეულობათა არსებობის შესახებ, რომელთა ფონდები გაერთიანებას გამოუყო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, უნდა ეცნობოს ამ სამინისტროს, ხოლო მატერიალური და ტექნიკური მომარაგების ტერიტორიული ორგანოების მიერ გასანაწილებელი ზედმეტი მატერიალური ფასეულობების შესახებ — შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს;

— თუ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო უარს ამბობს ზედმეტ ფასეულობათა გადანაწილებაზე ან მისგან პასუხი არ მიიღება შეტყობინების გაგზავნის დღიდან ორი კვირის ვადაში, გაერთიანება ამ ზედმეტ ფასეულობათა შესახებ აცნობებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს;

— თუ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიული ორგანო უარს ამბობს ზედმეტ ფასეულობათა რეალიზაციაზე ან მისგან პასუხი არ მიიღება შეტყობინების გაგზავნის დღიდან ერთი თვის ვადაში, გაერთიანება დამოუკიდებლად ასაღებს აღნიშნულ ზედმეტ ფასეულობას;

— გაერთიანების მიერ ადგილობრივი დამზადების წესით შეძენილ მასალებს, ინსტრუმენტებსა და სხვა მატერიალურ ფასეულობებს იგი ასაღებს დამოუკიდებლად;

— საბრუნავი სახსრებისათვის მიკუთვნებულ მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვის შედეგად შემოსული თანხები რჩება გაერთიანების განკარგულებაში მისი საბრუნავი სახსრების სახით;

— ძირითადი საშუალებებისათვის მიკუთვნებულ მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები რჩება გაერთიანების განკარგულებაში და მას შეაქვს წარმოების განვითარების ფონდში.

46. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება და საწარმოო ერთეული გადასცემენ უფასო სარგებლობაში გაერთიანების, მის ბალანსზე არსებული საწარმოო ერთეულის, დამოუკიდებელი საწარმოო ერთეულის შესაბამის პროფკავშირულ ორგანოს მათ მიერ იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებს, სადგომებს, ბაღებსა და პარკებს, რომლებიც გათვალისწინებულია გაერთიანების, საწარმოო ერთეულის მუშაკთა და მათი ოჯახების წევრთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის განსახორციელებლად, პიონერბანაკებს, აგრეთვე შენობა-ნაგებობებსა და სადგომებს, რომლებიც გათვალისწინებულია ტექნიკური პროპაგანდის განსახორციელებლად.

ობიექტების სამეურნეო მოვლა-შენახვა, რემონტი, გათბობა, განათება, დაგვა-დალაგება, დაცვა და აღჭურვა ხორციელდება გაერთიანების, საწარმოო ერთეულის სახსრების ხარჯზე. იმ შემთხვევებში, როცა მათ იყენებენ აგრეთვე სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები, ეს საწარმოები და ორგანიზაციები მიიღებენ აღნიშნულ ხარჯებში წილობრივ მონაწილეობას.

გაერთიანება, საწარმოო ერთეული გადასცემს გაერთიანების, საწარმოო ერთეულის შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფასო სარგებლობაში მათი მუშაობისა და მუშა-მოსამსახურეთა კრებების ჩატარებისათვის საჭირო სადგომებს, უზრუნველყოფს ამ სადგომების აღჭურვას, გათბობას, განათებას, დაცვასა და დაგვა-დალაგებას, აგრეთვე გადასცემს უფასო სარგებლობაში აღნიშნულ ორგანიზაციებს სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებს.

47. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება, საწარმოო ერთეული გადასცემს უსასყიდლოდ ბალანსიდან ბალანსზე გაერთიანების, საწარმოო ერთეულის პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გაერთიანების, საწარმოო ერთეულის იმ სახსრებით შეძენილ კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სპორტულ ინვენტარს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამგვარი ქონების შესაძენად.

48. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება და საწარმოო ერთეული უფასოდ გადასცემენ:

— მათთან არსებულ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს ან მათს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს — სადგომებს მათი გათბობის, განათების, წყალმომარაგების, დაცვის, დაგვა-დალაგებისა და რემონტის უზრუნველყოფით;

— გაერთიანების, საწარმოო ერთეულის ბალანსზე რიცხულ სასადილოებსა და საზოგადოებრივი კვების სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც გაერთიანების, საწარმოო ერთეულის ტერიტორიაზე მდებარეობენ და მათ მუშაკთა კოლექტივებს ემსახურებიან, — სადგომებს მათი გათბობის, განათებისა და წყალმომარაგების უზრუნველყოფით.

49. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებასა და საწარმოო ერთეულს შეუძლიათ უსასყიდლოდ გადასცენ:

— საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლას, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და სასწავლო-საკურსო კომბინატს, რომლებშიც სწავლობენ მათი მუშაკები, — სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი სადგომები, სასწავლო ლაბორატორიებისა და კაბინეტებისათვის საჭირო მოწყობილობა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და მასალები, ამასთან უზრუნველყონ სადგომების რემონტი და სამეურნეო მომსახურება, მათ შორის ელექტროენერგიითა და სათბობით მომარაგება;

— უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტებს — მანქანების, ჩარხების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობის ნიმუშები, აგრეთვე გამოფენებიდან მოხსნილი ექსპონატები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო მიზნებისათვის.

გაერთიანებას შეუძლია უსასყიდლოდ გადასცეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მოწყობილობა და მასალები, აგრეთვე გასწიოს ამ სკოლების მშენებლობის, რემონტისა და აღჭურვის ხარჯები ზეგეგმითი დაგროვების სახსრებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეაქვს საამორტიზაციო ანარიცხები ძირითადი ფონდების კაპიტალური რემონტისა და სრული აღდგენისათვის:

კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხები შეადგენენ გაერთიანების მიზნობრივ ფონდს და იგი მათ ხარჯავს როგორც ძირითადი ფონდების კაპიტალური რემონტისათვის, ისევე მოდერნიზაციისათვის, აგრეთვე ამ სამუშაოთა შესასრულებლად და გაცვეთილი დეტალებისა და კვანძების შესაცვლელად საჭირო დეტალებისა და კვანძების შეძენისათვის.

აღნიშნული ფონდის სახსრებით შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე ახალი მოწყობილობის შეძენის ხარჯები ნაცვლად მოძველებულისა, რომლის კაპიტალური რემონტი ეკონომიკურად მიზანშეუწონელია, ძირითადი ფონდების ტექნიკური კვლავაღჭურვის დამატებითი ხარჯები გეგმით გათვალისწინებულ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გადამეტებით.

კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების ნაწილი (15 პროცენტზე მეტი ოდენობით) გადაეცემა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევის რეზერვის შესაქმნელად, რომლებსაც არ ჰყოფნით საკუთარი სახსრები კაპიტალური რემონტის განსახორციელებლად.

ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას.

51. მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ოდენობა, აგრეთვე ამ ფონდებში და წარმოების განვითარების ფონდში მოგების ანარიცხების ნორმატივები მთლიანად ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებისათვის განისაზღვრება დადგენილი წესით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით.

საწარმოო ერთეულების განკარგულებაში გადასაცემი მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ოდენობა, აგრეთვე ამ სახსრების ანარიცხების ნორმატივები განისაზღვრება გაერთიანების მიერ შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით თითოეული საწარმოო ერთეულის საქმიანობის მაჩვენებლების მიხედვით. ამასთან გაერთიანებას შეუძლია დაიტოვოს თავის განკარგულებაში ამ ფონდების გაუნაწილებელი ნაწილი.

საწარმოო ერთეულის განკარგულებაში გადაცემული მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები გამოიყენება ამ ფონდების შესახებ მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული მიმართულებების მიხედვით, საწარმოო ერთეულის ადმინისტრაციის მიერ პროფკავშირულ კომიტეტთან ერთად

დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად. ამ ფონდების სახსრების გამოუყენებელი ნაშთები გადადის მომდევნო წელს და საწარმოო ერთეულს არ ჩამოერთმევა.

გაერთიანების მიერ საწარმოო ერთეულისათვის გადაცემულ წარმოების განვითარების ფონდის სახსრებს იგი იყენებს ამ ფონდის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაერთიანების მიერ განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით.

გაერთიანების მიერ თავის განკარგულებაში დატოვებული მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები გამოიყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის გაერთიანების მუშაკთა დასაჯილდოებლად, ცალკეული საწარმოო ერთეულების განკარგულებაში გადაცემული მატერიალური წახალისების ფონდის სახსრების შესავსებად მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მათი საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლების დროებით გაუარესებასთან დაკავშირებით, გაერთიანების ხაზით სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად.

გაერთიანების განკარგულებაში დატოვებული მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები შეიძლება დაიხარჯოს აგრეთვე დაწესებული საპრემიო სისტემების მიხედვით ამ გაერთიანების აპარატის მუშაკთა დასაჯილდოებლად, წლის მუშაობის შედეგების მიხედვით ჯილდოების გასაცემად და მათთვის ერთდროული დახმარების გასაწევად.

გაერთიანების მიერ თავის განკარგულებაში დატოვებული სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები გამოიყენება ცალკეული საწარმოო ერთეულების განკარგულებაში გადაცემული სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების შესავსებად მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მათი საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლების დროებით გაუარესებასთან დაკავშირებით, აგრეთვე გაერთიანების მუშაკთათვის საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად.

გაერთიანების განკარგულებაში დატოვებული სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები იხარჯება აგრეთვე ამ გაერთიანების აპარატის მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

გაერთიანების განკარგულებაში დატოვებული მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებს გაერთიანების ადმინისტრაცია შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ გაერთიანების ეკონომიკური სტიმულირების ფონდის სახსრების ჩამორთმევა და გადანაწილება არ დაიშვება, გარდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა. ამ ფონდების გამოუყენებელი ნაშთები რჩება გაერთიანების განკარგულებაში და გადადის მომდევნო წელს.

52. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრებით და სხვა სახსრებით, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება მოხმარდეს საბინაო მშენებლობას, აშენებულ მთელ საცხოვრებელ ფართობზე ჩასახლდებიან პირები გაერთიანების ადმინისტრაციისა და შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს ერთობლივი გადაწყვეტილებით დამტკიცებული სიის მიხედვით, რაც შემდგომ ეცნობება სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს.

საწარმოო ერთეულის განკარგულებაში გადაცემული სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრებით აშენებულ მთელ საცხოვრებელ ფართობზე ჩასახლდებიან პირები საწარმოო ერთეულის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით დამტკიცებული სიის მიხედვით, რაც შემდგომ ეცნობება სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს.

ზემოაღნიშნული სახსრებით აშენებულ სახლებში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები შეიძლება განლაგდეს მხოლოდ გაერთიანების, საწარმოო ერთეულის ადმინისტრაციისა და შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს თანხმობით.

53. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების მუშაკები მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ სახელმწიფო ქონებას, განახორციელონ შენობა-ნაგებობათა და მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებათა სწორი ექსპლუატაცია, დაიცვან მკაცრი ეკონომია მატერიალური საშუალებებისა და ფულადი სახსრების ხარჯვაში.

სახელმწიფო ქონების გაფუჭებისა და სახელმწიფოსათვის მატერიალური ზარალის მიყენებისათვის დამნაშავე პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

### IV. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების უფლება-მოვალეობანი

54. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებისათვის მინიჭებულ უფლებებსა და მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, რომლებიც დაკავშირებულია გაერთიანების საქმიანობასთან, ახორციელებს გენერალური დირექტორი და მოვალეობათა დაწესებული განაწილების მიხედვით — მისი მოადგილეები, მთავარი ინჟინერი და სხვა თანამდებობის პირები, ხოლო ამ დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად, შეთანხმებით ან მონაწილეობით.

55. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შეუძლია მიანიჭოს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას დამატებითი უფლებანი (დაგეგმვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და სხვა დარგში) საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## უფლება-მოვალეობანი დაგეგმვის დარგში

56. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების და გაერთიანების მუშაკთა კოლექტივის მონაწილეობით შეიმუშავებს თავისი საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებს, აგრეთვე წინადადებებს უფრო ხანგრძლივი პერიოდის პროექტებისათვის, ამასთან ითვალისწინებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დავალებებს, ტვირთზიდვასა და მგზავრთა გადაყვანაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, კლიენტურასთან, მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებთან დამყარებულ სამეურნეო კავშირურთიერთობას და ამ კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარების საჭიროებას.

გაერთიანების მიერ შესამუშავებელ გეგმათა პროექტებში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გეგმის ყველა განაყოფის ურთიერთდაკავშირება და გათვალისწინებულ იქნეს შინაგანი რეზერვების სრული გამოყენება.

57. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო განიხილავს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების მონაწილეობით და უმტკიცებს მას ხუთწლიან და წლიურ საგეგმო დავალებებს მაჩვენებელთა დაწესებული სისტემის მიხედვით და უზრუნველყოფს გაერთიანებას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური რესურსებითა და ხელფასის ფონდით, რაც საჭიროა ამ დავალებათა შესასრულებლად.

გეგმების ყველა დანარჩენ მაჩვენებელს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო გაერთიანებას არ უმტკიცებს, არამედ შეიმუშავებს თვით გაერთიანება და გამოიყენებენ საგეგმო ორგანოები გეგმების დასაბუთებისათვის გაანგარიშებით მასალებად.

58. ყველა საგეგმო დავალებას ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას დაუგზავნის მხოლოდ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, ხოლო საწარმოო ერთეულებს — მხოლოდ გაერთიანება.

59. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება, რომელსაც აქვს საწარმოო ერთეულები სხვა ოლქებში, შეიმუშავებს შესაბამის მაჩვენებელთა თანახმად გეგმებს არა მარტო დარგობრივი, არამედ აგრეთვე ტერიტორიული თვალსაზრისით.

60. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მისთვის დამტკიცებული მაჩვენებლების შესაბამისად შეიმუშავებს ხუთწლიან გეგმას უმნიშვნელოვანესი დავალებების ხუთწლედის წლების მიხედვით განაწილებით, რომელიც გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის ძირითად ფორმას წარმოადგენს.

გაერთიანება მისთვის დამტკიცებულ საგეგმო დავალებათა და დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად შეიმუშავებს წლიურ ტექნიკურ-სატრანსპორტო-საფინანსო გეგმას, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის კვარტალურ და თვიურ გეგმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანების ხუთწლიან გეგმას, წლიურ ტექნიკურ-სატრანსპორტო-საფინანსო გეგმას, კვარტალურ და თვიურ გეგმებს ამტკიცებს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

გაერთიანება აწესებს მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო ერთეულებისათვის ხუთწლიანი, წლიური, კვარტალური და თვიური გეგმების ძირითად მაჩვენებლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გაერთიანებისათვის დამტკიცებულ საგეგმო დავალებათა შესრულებას უდიდესი ეკონომიკური ეფექტით.

საწარმოო ერთეული გაერთიანების მიერ დაწესებულ მაჩვენებელთა საფუძველზე შეიმუშავებს მთლიანად საწარმოო ერთეულისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გეგმებს.

61. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების ვადებს განსაზღვრავს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო.

62. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებისათვის დამტკიცებული საგეგმო დავალებები სტაბილური უნდა იყოს, მათი შეცვლა შეუძლია საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, გაერთიანების ადმინისტრაციასთან ამ ცვლილებათა წინასწარ განხილვის შემდეგ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით და ვადებში.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ გაერთიანების საგეგმო დავალებათა შეცვლისას ამავე დროს შეტანილ უნდა იქნეს შესაბამისი ცვლილებანი ყველა ურთიერთდაკავშირებულ საგეგმო მაჩვენებლებში, ბიუჯეტთან ურთიერთობის ჩათვლით, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

63. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს შეასრულოს ტვირთგამგზავნი სამინისტროებისა და უწყებებისათვის ტვირთზიდვის გეგმით გაუთვალისწინებელი მოცულობა ზემდგომი ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა საფუძველზე რეზერვის ხარჯზე და ფარგლებში სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის ზიანის მიუყენებლად.

64. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ხელმძღვანელობს საწარმოო ერთეულებში საგეგმო მუშაობის ორგანიზაციას, ამასთან უზრუნველყოფს გეგმების ხარისხიანად და დროულად შემუშავებას, მათს სტაბილურობას, აგრეთვე ყოველდღიურ კონტროლს უწევს გეგმების შესრულებას და ახორციელებს ამისათვის საჭირო ღონისძიებებს.

## უფლება-მოვალეობანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში

65. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მონაწილეობს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემათა მიხედვით მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზების შემუშავებაში. ამ პროგნოზების გათვალისწინებით გაერთიანება შეიმუშავებს ტექნიკური განვითარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის პერსპექტიულ გეგმებსა და მოქმედ საწარმოთა ტექნიკური აღჭურვისა და რეკონსტრუქციის გეგმებს.

ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მონაწილეობს დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პროექტებისა და წლიური გეგმების შემუშავებაში.

66. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია დაუდოს სხვა საწარმოებსა და გაერთიანებებს ხელშეკრულებანი გაერთიანებისათვის კომპლექსური სამუშაოების, ცალკეული მეცნიერული გამოკვლევებისა და დაპროექტების განსახორციელებლად.

ტექნიკური დავალებანი მეცნიერულ გამოკვლევათა, საცდელ საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა განსახორციელებლად, რომელთა მიზანია დარგში მეცნიერულ-ტექნიკურ მიმართულებათა შექმნა, გაერთიანება მოვალეა წარუდგინოს დასკვნისათვის ორგანიზაციას, რომელიც კოორდინაციას უწევს შესაბამის სამუშაოებს.

ხარჯები აღნიშნული სამუშაოებისათვის გაიღება სახსრებიდან, რომლებიც აქვს გაერთიანებას ამ მიზნით.

67. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება იღებს ზომებს ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ხარისხის ასამაღლებლად, სისტემატურად აანალიზებს მათს ორგანიზაციულ დონეს სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, საპატენტო მასალების, საერთაშორისო ორგანიზაციათა სტანდარტებისა და სტანდარტიზაციის რეკომენდაციების, სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის (გამოყენების) გამოცდილების განზოგადების საფუძველზე, აგრეთვე უზრუნველყოფს სატრანსპორტო პროცესის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების ათვისებას, რომლებიც თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით შეესაბამებიან სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების უმაღლეს მიღწევებს.

68. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება:

— შეიმუშავებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ტექნიკურ-ეკონომიკურ ნორმატივებს, ნედლეულის, სათბობის, მასალების ხარჯვისა და მარაგის ნორმებს, საწარმოო და საექსპლუატაციო საჭიროებისათვის თბოენერგიისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმებს;

— ამტკიცებს ნორმებსა და ნორმატივებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებული ნუსხის მიხედვით;

— შეუძლია დააწესოს საწარმოო ერთეულების მიერ დასამტკიცებელი ნორმებისა და ნორმატივების ნუსხა.

69. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება უზრუნველყოფს წარმოების ტექნიკური დონის განუწყვეტელ ამაღლებას, წარმოებაში გამოყენებულ ტექნოლოგიურ პროცესთა და მათი მართვის სისტემათა სრულყოფას, ძირითად და დამხმარე საწარმოო პროცესთა კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

გაერთიანება შეიმუშავებს და ამტკიცებს დადგენილი წესით, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებში, ითვალისწინებს მათში გამოგონებათა გამოყენებას.

70. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ორგანიზაციას უწევს მუშაობას გამომგონებლობისა და რაიცონალიზაციისათვის პერსპექტიული და მიმდინარე თემატური გეგმების საფუძველზე, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დროულად გამოყენებას, აგრეთვე გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებისათვის გასამრჯელოს და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის პრემიების გაცემას დადგენილი წესით.

გაერთიანება ორგანიზაციას უწევს გამოცდილების გაზიარებას, ატარებს შეჯიბრებას, კონკურსებსა და დათვალიერებებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ორგანიზაციასთან ერთად.

გაერთიანება უზრუნველყოფს დადგენილი წესით იმ გამოგონებათა დროულად გამოვლენას, რომლებიც გაერთიანების მუშაკებმა შექმნეს სამსახურებრივ დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირში საავტორო მოწმობათა გასაცემად და საჭირო შემთხვევაში საზღვარგარეთ პატენტების მისაღებად განაცხადების გაფორმებასა და შეტანას.

გაერთიანება დადგენილი წესით წარადგენს წინადადებებს ლიცენზიების გაყიდვისა და შესყიდვის შესახებ და პასუხს აგებს შესყიდული ლიცენზიების მიხედვით ღონისძიებათა დროულად განხორციელებისათვის.

71. მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების მიზნით ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ყოველმხრივ ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებისა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საქმიანობას, აბამს მათ წარმოების ტექნიკური განვითარების კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შემუშავებისა და შესრულების, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის საქმეში.

გაერთიანება უზრუნველყოფს ზემოაღნიშნულ პირველადს ორგანიზაციებს, აგრეთვე საზოგადოებრივ საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ და საპატენტო ბიუროებს, ნორმირების ბიუროებს, ნოვატორთა საბჭოებს, მოძრაობის უსაფრთხოების საბჭოებს, ეკონომიკური ანალიზის ბიუროებსა და ჯგუფებს, ტექნიკური ინფორმაციის ბიუროებს, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საბჭოებსა და სხვა შემოქმედებითს გაერთიანებებს სადგომებით, მოწყობილობით, ხელსაწყოებით, ინვენტარით, ტექნიკური და საცნობარო ლიტერატურით.

წარმოების ტექნიკური სრულყოფის საქმეში მონაწილეობისათვის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და ნოვატორ მუშათა უფრო ფართოდ მიზიდვის მიზნით გაერთიანებას შეუძლია შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან და

სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საბჭოს-თან შეთანხმებით გადასცეს ამ საბჭოს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოს ფუნქციების განხორციელება.

72. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ადმინისტრაცია შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებისა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საბჭოებთან ერთად რეგულარულად ატარებს ტექნიკურ და ეკონომიკურ კონფერენციებს და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა თათბირებს ტექნიკური პროგრესის, გაერთიანების ეკონომიკური განვითარების საკითხთა განსახილველად და რეკომენდაციებისა და წინადადებების შესამუშავებლად, რომელთა მიზანია ტექნიკის, ტექნოლოგიის, წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფა, და უზრუნველყოფს ამ რეკომენდაციებისა და წინადადებების დროულად განხორციელებას.

### უფლება-მოვალეობანი კაპიტალური მშენებლობის დარგში

73. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა რაც შეიძლება ეფექტიან გამოყენებას, მათ წარმართვას პირველ რიგში ძირითადი ფონდების ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის გაერთიანების ფარგლებში წარმოების პროპორციული განვითარების გათვალისწინებით, სახსრების კონცენტრაციას ასამუშავებელ მშენებლობებსა და ობიექტებზე, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას.

74. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება იღებს ზომებს მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირებისათვის, ხარისხის ამაღლებისათვის, აგრეთვე უზრუნველყოფს მშენებლობის ხანგრძლივობის დაწესებული ნორმებისა და სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების ამოქმედების ვადების დაცვას, ითვისებს ამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეებს მათი ათვისების ხანგრძლივობის ნორმების გათვალისწინებულ ვადებში.

75. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას და ძირითადი ფონდების ტექნიკურ კვლავაღჭურვას სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებთან დადებულ საიჯარო ხელშეკრულებათა მიხედვით. იმ შემთხვევებში, როცა საიჯარო წესით კაპიტალური მშენებლობის სამუშაოთა წარმოება ეკონომიკურად მიზანშეუწონელია, ასეთი სამუშაოები შეიძლება შეწყდეს სამეურნეო წესით.

76. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება უდებს საპროექტო ორგანიზაციებს ხელშეკრულებებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესამუშავებლად.

77. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ამტკიცებს:

— წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე განსახორციელებელი საწარმოო დანიშნულების მოქმედი ობიექტების ტექნიკური კვლავ-

ალჭურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და სიებს, სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიუხედავად;

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის და დაფინანსების სხვა არაცენტრალიზებული წყაროების სახსრების ხარჯზე განსახორციელებელი ობიექტების მშენებლობისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და სატიტულო სიებს, სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიუხედავად;

— ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე განსახორციელებელი საცხოვრებელი სახლების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობის სატიტულო სიებს, თეატრების, კინოთეატრების, ცირკების, საკონცერტო, კინოსაკონცერტო, საგამოფენო და სპორტული დარბაზების, კულტურისა და სპორტის სასახლეების, კულტურის სახლებისა და კლუბების, სტადიონების, საცურაო აუზების, ხელოვნურყინულიანი საციგურაოებისა და ბილიკების და სხვა ანალოგიური ობიექტების, აგრეთვე სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების დასაწყები მშენებლობის სატიტულო სიების გარდა;

— შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის უზრუნველყოფის სამუშაოთა სატიტულო სიებს;

— შინასამშენებლო სატიტულო სიებს მოიჯარესთან შეთანხმებით.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ხარჯზე საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სატიტულო სიებს, აგრეთვე შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის უზრუნველყოფის სამუშაოთა სატიტულო სიებს გაერთიანება ამტკიცებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით.

78. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს ხელშეკრულების მიხედვით საიჯარო ორგანიზაციებს მათი თანხმობით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი ხელფასის ფონდები, მატერიალური რესურსებისა და მასალების ფონდები და ამის შესახებ შემდგომ შეატყობინოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს.

79. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს დაამტკიცოს საიჯარო ორგანიზაციასთან შეთანხმებით იმ სამუშაოთა ერთეული ფასდებანი, რომლებზეც მოთხოვნილება წარმოიშობა მშენებლობის მსვლელობაში, თუ ამ სამუშაოთა ფასდებანი დამტკიცებული არაა დადგენილი წესით.

80. კაპიტალური რემონტის სამუშაოთა გეგმებსა და შესაბამის სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებს ამტკიცებს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების უფროსი. კაპიტალური რემონტის სამუშაოები ხორციელდება როგორც სამეურნეო, ისევე საიჯარო წესით.

გაერთიანების მიერ საიჯარო ორგანიზაციისათვის კაპიტალური რემონტის სამუშაოთა მოცულობის გადაცემის შემთხვევაში გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს საიჯარო ორგანიზაციას აგრეთვე შესაბამისი ხელფასის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდები, მატერიალური რესურსებისა და მასალების ფონდებ[illegible] შესახებ შემდგომ შეატყობინონ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს.

81. ავტოსატარნსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს გამოიყენოს საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ასაშენებლად მისთვის ცენტრალიზებული წესით საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ნაწილი.

გადაწყვეტილებას სახსრების ასეთი გამოყენების შესახებ გაერთიანების უფროსი იღებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად.

82. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია განახორციელოს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, კომუნალური მეურნეობის ობიექტების, სამედიცინო და საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, პიონერბანაკებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობა და გაფართოება სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად (წილობრივი მონაწილეობის წესით) ამ მიზნით გაერთიანების გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

### უფლება-მოვალეობანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში

83. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ქვეყანაში მოქმედი მომარაგება-გასაღების საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის გათვალისწინებით ორგანიზაციას უწევს და უზრუნველყოფს გაერთიანების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას.

84. ავტოსატრანსპორტო საწრმოო გაერთიანება უწესებს საწარმოო ერთეულებს მატერიალურ ფასეულობათა მარაგის ნორმატივებს, აგრეთვე გამოუყოფს მათ მატერიალური რესურსების ლიმიტებს (ფონდებს) და გადაანაწილებს მათ დადგენილი წესით საწარმოო პროგრამის ცვლილების გათვალისწინებით.

გაერთიანების ადგილსამყოფელის ფარგლებს გარეთ განლაგებული საწარმოო ერთეული გაერთიანებისაგან იღებს იმ მატერიალური რესურსების ფონდებს, რომლებსაც ანაწილებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, და ამ საწარმოო ერთეულის ადგილსამყოფელის მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიული ორგანოებისაგან — იმ მატერიალური რესურსების ფონდებს, რომლებსაც ანაწილებენ ეს ორგანოები. აღნიშნული საწარმოო ერთეული ახორციელებს ფონდების რეალიზაციას დადგენილი წესით.

85. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ახორციელებს მისთვის გამოყოფილი ფონდების რეალიზაციას, პასუხს აგებს მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და დაცვისათვის.

86. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ახორციელებს ეკონომიკურად მიზანშეწონილ პირდაპირ ხანგრძლივ სამეურნეო კავშირურთიერთობათა გაფართოების ღონისძიებებს და ამ მიზნით შეაქვს მიმწოდებლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან მყიდველთა მიმმაგრებელ ორგანოებში წინადადებანი ასეთ ურთიერთიერთობათა ფორმირების შესახებ, მიმაგრების გეგმების საფუძველზე და ხანგრძლივ სამეურნეო ხელშეკრულებებს სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან.

მიმწოდებლებსა და მყიდველებს შორის დამკვიდრებული პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო კავშირურთიერთობის შეცვლა დასაშვებია საჭირო შემთხვევებში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით.

87. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია დაუდოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიულ ორგანოებს გრძელვადიანი ხელშეკრულებები გაერთიანების მომარაგების ორგანიზაციისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ მის გარანტირებულ კომპლექსურ უზრუნველყოფას როგორც ფონდების მიხედვით, ისევე უფონდო მომარაგების წესით გამოყოფილი პროდუქციით, პროდუქციის მომზადებას საწარმოო მოხმარებისათვის, მასალებისა და ნაკეთობების ცენტრალიზებულ მიტანას შეთანხმებული გრაფიკების მიხედვით, ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობების რეალიზაციას და სხვა მომსახურების გაწევას.

აღნიშნული ხელშეკრულების დამდებ გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიულ ორგანოს მატერიალური რესურსების თავისი მარაგი შეთანხმებული ოდენობით.

88. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია შეიძინოს ფონდების გარეშე სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან განრიგების გარეშე სარეალიზაციო პროდუქცია, ზედმეტი მატერიალური ფასეულობანი, აგრეთვე შეისყიდოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საჭირო საგნები საბითუმო და საცალო ვაჭრობის წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

89. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ფონდები და მისცეს მათ თავისი რესურსებიდან მასალები, საკომპლექტებელი მოწყობილობა დაწესებული ნორმების მიხედვით გაერთიანებისათვის საჭირო პროდუქციის დასამზადებლად ხელშეკრულებათა საფუძველზე.

90. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას მისთვის გამოყოფილ პროდუქციაზე და ხელშეკრულების დადებაზე და ასეთი უარის შესახებ შეატყობინოს მიმწოდებელს, ფონდმფლობელსა და განრიგის გამცემ ორგანოს მისთვის პროდუქციის გამოყოფის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ ან განრიგის მიღების შემდეგ არა უგვიანეს ათი დღის ვადაში.

გაერთიანებას უფლება აქვს აგრეთვე მიმწოდებელთან შეთანხმებით უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის მიღებაზე და ამის შესახებ ხუთი დღის ვადაში შეატყობინოს ფონდმფლობელსა და განრიგის გამცემ ორგანოს.

91. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს მისცეს დადგენილი წესით ანაზღაურებით მისთვის სამეცნიერო-კვლევით და საც-

ელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შემსრულებელ ორგანიზაციებს ამ სამუშაოთა განხორციელებისათვის საჭირო ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები და მზა ნაწარმი მისთვის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში.

92. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს მისცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მათი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო საწარმოო ნარჩენები ჩაბარების გეგმის გადამეტებით, თუ სხვა წესი არაა დადგენილი მოქმედი კანონმდებლობით.

### უფლება-მოვალეობანი კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში

93. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ახორციელებს გაერთიანების ნომენკლატურაში შემავალი ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებას. განსაზღვრავს ნორმატივების მიხედვით მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას შრომით რესურსებზე, მათ შორის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე და კვალიფიციურ მუშებზე, იღებს ზომებს ახალგაზრდა სპეციალისტთა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რაციონალური გამოყენებისათვის, ახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია გაერთიანების მუდმივი კადრების შექმნა.

94. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება განუწყვეტლივ სრულყოფს თავის სტრუქტურას, ამასთან აღწევს წარმოების მართვის ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას მართვის ოპტიმალური სქემების, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა რიცხოვნობის ნორმატივების გამოყენების, მმართველობის ყველაზე ეკონომიური აპარატის მქონე გაერთიანებათა გამოცდილების გამოყენების, თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის, საინჟინრო-ტექნიკურ და მმართველობით სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის საფუძველზე.

95. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ახორციელებს და განუწყვეტლივ სრულყოფს შრომის ორგანიზაციას, განუხრელად ამაღლებს მისი ნორმირების დონეს, სისტემატურად ამოწმებს შრომის მოქმედ ნორმებსა და ნორმატივებს, დადგენილი წესით განსაზღვრავს დროის, მომსახურების დარგთაშორის და დარგობრივ ნორმებს და გამოსაყენებლად სავალდებულო სხვა ნომრატივებს, ქმნის მაღალნაყოფიერი შრომისათვის საჭირო პირობებს, ამასთან აღწევს შრომის ნაყოფიერების ზრდას, უზრუნველყოფს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესებისა და ნორმების დაცვას, ახორციელებს გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, უზრუნველყოფს შრომის დისციპლინის დაცვას.

გაერთიანების კოლექტივის თითოეულმა წევრმა მკაცრად უნდა დაიცვას შრომის შინაგანაწესი.

96. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ახორციელებს ღონისძიებებს როგორც მუშაკთა პირადი შრომის შედეგებით, ისევე მთლიანად გა-

ერთიანებისა და საწარმოო ერთეულების მუშაობის საერთო შედეგებით მათი მატერიალური დაინტერესების გასაძლიერებლად, უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის სწორ თანაფარდობას, ხელფასის ფონდისა და მატერიალური წახალისების ფონდის ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეებთან დროულად ანგარიშსწორებას.

97. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ქმნის სასწავლო-მატერიალურ ბაზას უშუალოდ წარმოებაში კადრების სასწავლებლად და უზრუნველყოფს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების გათვალისწინებით მუშათა ახალი კადრების მომზადებას, მუშებისათვის ახალი პროფესიების სწავლებას და მუშაკთა საწარმოო კვალიფიკაციის სისტემატურ ამაღლებას.

ამ მიზნით, ინდივიდუალური და ბრიგადული მოწაფეობის გარდა, გაერთიანებაში იქმნება საწარმოო-ტექნიკური კურსები, შრომის მოწინავე მეთოდების შემსწავლელი სკოლები.

მუშაკებს, რომლებიც სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სასწავლებლებში, გაერთიანება უქმნის მუშაობასთან სწავლის შეხამებისათვის საჭირო პირობებს, ანიჭებს მათ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეღავათებს.

98. ავტოსატარნასპორტო საწარმოო გაერთიანება ყოველმხრივ ხელს უწყობს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლას, საღამოს (ცვლის) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და სასწავლო-საკურსო კომბინატს, რომლებშიც სწავლობენ გაერთიანების მუშაკები; უზრუნველყოფს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსაწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის საჭირო პირობებს; მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სტაჟირებას, გამოუყოფს უმაღლეს, საშუალო სპეციალურ და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს სამუშაო ადგილებსა და თანამდებობებს საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს სტუდენტთა (მოსწავლეთა) მიერ დასაკავებლად.

99. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება და საწარმოო ერთეულები მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის წახალისდებიან მოქმედი დებულებისა და სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესაბამისად.

მუშაობაში მიღწევებისა და ინიციატივის გამოჩენისათვის გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთა მიმართ გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობით, შრომის შინაგანაწესითა და დისციპლინის წესდებებით გათვალისწინებული წახალისების ღონისძიებანი.

გაერთიანების მუშა-მოსამსახურეები სამეურნეო მშენებლობის დარგში განსაკუთრებით თვალსაჩინო ნოვატორული საქმიანობისა და მაღალი საწარ-

მოო მაჩვენებლებისათვის წარდგენილ იქნებიან დადგენილი წესით საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად, საპატიო წოდებებისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდების მისანიჭებლად.

100. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება უზრუნველყოფს მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატურ გაუმჯობესებას, ორგანიზაციას უწევს საცხოვრებელი სახლების, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, ხელს უწყობს კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას.

101. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება:

ა) აწესებს შრომის ანაზღაურების ფორმებს (სანარდო, დროებრივ ან აკორდულ ანაზღაურებას მუშათა ცალკეული ჯგუფებისათვის, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის;

ბ) საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით, აგრეთვე წარმოების ეფექტიანობითა და რენტაბელობის ამაღლებით გაერთიანების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით შეიმუშავებს და ამტკიცებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დებულებებს მთლიანად გაერთიანების მიხედვით პრემირების შესახებ. ამასთან საწარმოო ერთეულების ხელმძღვანელ მუშაკთათვის, აგრეთვე მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთათვის პრემირების მაჩვენებლებს, პირობებსა და ოდენობას აწესებს გაერთიანების უფროსი.

საწარმოო ერთეულების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთათვის პრემირების მაჩვენებლებს, პირობებსა და ოდენობას აწესებენ აღნიშნული ერთეულების ხელმძღვანელები გაერთიანების მუშაკთა პრემირების დებულების შესაბამისად;

გ) შეიმუშავებს და ამტკიცებს მთლიანად გაერთიანების მიხედვით მუშაობის წლიური შედეგებისათვის ჯილდოს გაცემის დებულებას, რომლის საფუძველზე საწარმოო ერთეულთა ხელმძღვანელები ამტკიცებენ ამ ერთეულების მუშაკთათვის ჯილდოს მიცემის წესსა და პირობებს;

დ) განსაზღვრავს იმ მუშათა პროფესიების ნუსხას, რომლებისთვისაც შრომის დროებრივი ანაზღაურებისას გამოიყენება მენარდეთა სატარიფო განაკვეთები, აგრეთვე იმ მუშათა ცალკეულ პროფესიებს, რომლებსაც უწესდებათ თვიური სარგოები სატარიფო განაკვეთების ნაცვლად, დადგენილი წესით დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად. დროებრივი მუშებისათვის მენარდე მუშათა სატარიფო განაკვეთების გამოყენება შეიძლება იმ პირობით, თუ ისინი მუშაობენ შრომითი დანახარჯების დარგობრივი და სხვა ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების (ნორმირებული დავალებების, მომსახურების ნორმებისა და რიცხოვნობის ნორმატივების) მიხედვით;

ე) განსაზღვრავს მუშათა პროფესიებისა და იმ სამუშაოთა ნუსხებს, რომლებიც ნაზღაურდება გადიდებული სატარიფო განაკვეთების მიხედვით

შრომის მძიმე და მავნე პირობებთან, შრომის განსაკუთრებით მძიმე და მავნე საკუთრებით მავნე პირობებთან დაკავშირებით, წარმოების დარგების მიხედვით ამ პროფესიათა და სამუშაოთა მოქმედი ტიპობრივი ნუსხების შესაბამისად;

ვ) აწესებს სამუშაოთა თანრიგებს და ანიჭებს მუშებს თანრიგებს სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარების შესაბამისად;

ზ) აწესებს თანამდებობრივ მოვალეობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და ტექნიკურ შემსრულებელთა მიმართ მოსამსახურეთა თანამდებობების საკვალიფიკაციო ცნობარის შესაბამისად და დადგენილი წესით ატარებს გაერთიანების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციას; საჭირო შემთხვევებში საკვალიფიკაციო ცნობარის საფუძველზე შეიმუშავებს თანამდებობრივ ინსტრუქციებს ცალკეულ კატეგორიათა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის;

თ) მიაკუთვნებს საწარმოო ერთეულებს, აგრეთვე საწარმოო ერთეულთა საამქროებს, კოლონებს, უბნებსა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების შესაბამის ჯგუფს, აგრეთვე გადაიყვანს ერთი ჯგუფიდან მეორეში წარმოების მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით, ამასთან ხელმძღვანელობს დადგენილი წესით დამტკიცებული მაჩვენებლებით;

ი) უწესებს არანორმირებული სამუშაო დღით დასაქმებულ მუშაკებს დამატებითი შვებულების ხანგრძლივობას შრომის კანონმდებლობისა და დადგენილი წესით დამტკიცებული არანორმირებული სამუშაო დღით დასაქმებულ მუშაკთა თანამდებობების ნუსხის შესაბამისად;

კ) აწესებს ცალკეული საწარმოო ერთეულების ან მათი ქვედანაყოფების მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დროის შეჯამებულ აღრიცხვას, სადაც წარმოების (მუშაობის) პირობების გამო შეუძლებელია მოცემული კატეგორიის მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებული სამუშაო დროის ყოველდღიური ან ყოველკვირეული ხანგრძლივობის დაცვა;

ლ) დადგენილი წესით ამტკიცებს ახალ და გადასინჯავს მოქმედ გამომუშავების ნორმებს, მომსახურების ნორმებს, მუშაკთა რიცხოვნობის ნორმატივებსა და შრომითი დანახარჯების სხვა ნორმატივებს, ამასთან ადიდებს ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების ხვედრითს წონას;

მ) ამტკიცებს იმ წარმოებათა ნუსხას, რომლებშიც მუშაობის ხასიათის გამო არ შეიძლება დაწესდეს მუშაკთათვის შემოკლებული სამუშაო დღე დასვენებისწინა (ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს) და დღესასწაულისწინა დღეებში, არამედ უნდა მიეცეთ დამატებითი დასვენების დღე ზედმეტი მუშაობის საათების დაგროვების კვალობაზე.

ამ პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ ღონისძიებებს ახორციელებს გაერთიანების უფროსი, ხოლო „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — აგრეთვე საწარმოო ერთეულის ხელმძღვანელი გაერთიანების, საწარმოო ერთეულის ხელფასის ფონდისა და მატერია-

ბიბლიოთეკა

ლური წახალისების ფონდის ფარგლებში და შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით;

ნ) აწესებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით დამტკიცებული დარგობრივი ნორმების საფუძველზე იმ სამუშაოთა და პროფესიათა ნუსხებს, რომლებიც უფლებას აძლევენ მუშა-მოსამსახურეებს უფასოდ მიიღონ სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი და დამცავი სამარჯვები, აგრეთვე იმ სამუშაოთა და პროფესიათა ნუსხებს, რომლებიც უფლებას აძლევენ მუშა-მოსამსახურეებს მიიღონ რძე შრომის მავნე პირობებთან დაკავშირებით და მიიღონ სპეცსაპონი.

102. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით შეუძლია ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვის საფუძველზე ნორმების გადასინჯვისას გამოიყენოს ამასთან დაკავშირებით მიღებული ეკონომიის სახსრების ნაწილი მუშათა შრომის დამატებითი ანაზღაურებისათვის გამომუშავების ახალი ნორმებისა და მომსახურების ნორმების ათვისების პერიოდში 3-6 თვის განმავლობაში. ამ ეკონომიის სახსრების ხარჯზე შეიძლება პრემირებულ იქნენ აგრეთვე საწარმოო უბნების ოსტატები და სხვა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და დანერგვაში.

103. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს დაუწესოს ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე.

— სატარიფო განაკვეთების დანამატები განსაკუთრებით პასუხსაგები სამუშაოებით დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ მუშებს პროფესიული ოსტატობისათვის (III თანრიგის მუშებს — სატარიფო განაკვეთის 12 პროცენტამდე, IV თანრიგის მუშებს — 16 პროცენტამდე, V თანრიგის მუშებსა და მძღოლებს — 20 პროცენტამდე და VI თანრიგის მუშებს — 24 პროცენტამდე);

— დანამატები მაღალკვალიფიციურ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, აგრეთვე საწარმოო ერთეულთა ხელმძღვანელ მუშაკებს თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით, სარგოები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პასუხსაგები სამუშაოებით დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ მუშებს თვეში 250 მანეთამდე ოდენობით.

104. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით:

ა) დაუწესოს გამომუშავების შემცირებული ნორმები ახალგაზრდა მუშებს, რომლებიც სამუშაოდ ეწყობიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და კურსების დამთავრების შემდეგ, აგრეთვე გაიარეს სწავლება უშუალოდ წარმოებაში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ოდენობით მათთვის განსაზღვრულ ვადებში;

ბ) ნება დართოს მიზანშეწონილობის შემთხვევაში პროფესიების (თანამდებობების) შესათავსებლად, მომსახურების ზონების გასაფართოებლად ან

შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გასადიდებლად და დაუწესონ შესაბამისი დანამატები განაკვეთის ან სარგოს 30 პროცენტამდე ოდენობით მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს.

განაკვეთებისა და სარგოების დანამატები შეიძლება შემცირდეს ან მთლიანად გაუქმდეს ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებისა და ამასთან დაკავშირებით რიცხოვნობის ახალი ნორმატივების, მომსახურების ნორმებისა და შრომითი დანახარჯების სხვა ნორმატივების შემოღების დროს;

გ) დაუწესოს დანამატები სარგოს 30 პროცენტამდე ოდენობით საამქროების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, ცვლების (უბნების) უფროსებს, უფროს ოსტატებს, ოსტატებსა და სხვა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც მუშაობენ უშუალოდ საამქროებში და შემუშავებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად უზრუნველყოს მომსახურებულ უბნებზე პერსონალის რიცხოვნობის შემცირებით შრომის ნაყოფიერების ამაღლება გეგმასთან შედარებით. ამასთან გაერთიანებისათვის დაწესებული მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრული ასიგნებანი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ნებართვით დიდდება ზემოაღნიშნული დანამატების თანხით. შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონის შემცირების ან პერსონალის რიცხოვნობის გადიდების შემთხვევაში (გარდა შემთხვევებისა, როცა ეს გამოწვეულია ბუნებრივი პირობების ცვლილებით) სარგოების დანამატები შეიძლება შემცირდეს ან გაუქმდეს;

დ) მისცეს ერთდროული ჯილდო მუშებს, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნკურ მუშაკებს იმ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშაკთა რიცხოვნობის შემცირებასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას გეგმასთან შედარებით. ჯილდოს ოდენობა განისაზღვრება შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიღწეული დონის და ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა დანერგვით მიღებული ხელფასის ფონდის ფაქტიური ეკონომიის შესაბამისად.

ამ პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებული დანამატები და ჯილდოები გაიცემა მომსახურების დარგთაშორის და დარგობრივ ნორმატივებთან და შრომითი დანახარჯების სხვა ნორმატივებთან შედარებით მუშაკთა რიცხოვნობის განთავისუფლების შედეგად მიღებული ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე;

ე) მისცეს დანამატი დარგობრივ მუშებს, რომლებიც თავიანთ სამუშაოსთან ერთად დროებით ასრულებენ არმყოფ მუშათა მოვალეობებს (ავადმყოფობის, შვებულების, მივლინების შემთხვევაში და სხვა მიზეზების გამო).

არმყოფ მუშათა მოვალეობების შესრულებისათვის დანამატის კონკრეტული ოდენობა განისაზღვრება შესრულებული სამუშაოს ფაქტიური მოცულობის გათვალისწინებით, იმ ვარაუდით, რომ დანამატის საერთო ოდენობა, მუშათა რაოდენობის მიუხედავად, რომელთა შორისაც იგი ნაწილდება, არ უნდა აღემატებოდეს არმყოფი მუშის სატარიფო განაკვეთის (სარგოს) 50

პროცენტს (გარდა შემთხვევებისა, როცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულია დანამატების უფრო მაღალი ოდენობა);

ვ) დაუწესოს ბრიგადებს ძირითადი სამუშაოდან გაუთავისუფლებელ მუშათა რიცხვიდან დანამატი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით ხუთ კაცზე მეტი შემადგენლობის ბრიგადის ხელმძღვანელობისათვის იმ პირობით, თუ ბრიგადა შეასრულებს დაწესებულ თვიურ ნორმირებულ დავალებებს.

105. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია შეუნარჩუნოს ცალკეულ შემთხვევებში გაერთიანების კვალიფიციურ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს საექსპლუატაციოდ გადაცემულ საწარმოო ერთეულებში ან საამქროებში მათი გადაყვანისას საშუალო ხელფასი ძირითადი წარმოების პერიოდისათვის, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა, თუ ახალ სამუშაო ადგილზე ხელფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე წინანდელ სამუშაო ადგილზე მიღებული გამომუშავება.

106. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია წინა კვარტალებსა და თვეებში მიღებული ხელფასის ფონდის ეკონომია გამოიყენოს ხელფასისა და პრემიების გასაცემად იმავე წლის მომდევნო კვარტალებსა და თვეებში.

ხელფასის ფონდის გადახარჯვა უნდა ანაზღაურდეს მომდევნო თვეებში. ხელფასის ფონდის გადახარჯვის თანხის შეუვსებელი ნაწილი შეიძლება ირიცხებოდეს გაერთიანებაზე საანგარიშო წლის მომდევნო წლის არა უგვიანეს 1 ივლისისა. გაერთიანების ხელმძღვანელ მუშაკთათვის დარიცხული პრემიები მთლიანად გაერთიანების ხაზით ხელფასის ფონდის შედარებითი გადახარჯვისას მცირდება დაშვებული გადახარჯვის თანხით, მაგრამ არა უმეტეს დარიცხული პრემიების 50 პროცენტისა გადახარჯვის ანაზღაურებამდე ვადით. თუ გაერთიანება 6 თვემდე პერიოდში აანაზღაურებს ხელფასის ფონდის დაშვებულ გადახარჯვას, აღნიშნულ მუშაკებს მიეცემათ პრემიის იმ ნაწილის 50 პროცენტი, რომელიც არ გაცემულა წინა პერიოდებში ხელფასის ფონდის გადახარჯვის გამო.

ასეთივე წესით მიეცემათ პრემიები ხელფასის ფონდის გადახარჯვისას საწარმოო ერთეულებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელ მუშაკებს. ამასთან ხელფასის ფონდის გადახარჯვა აღირიცხება მხოლოდ შესაბამისი საწარმოო ერთეულის (ქვედანაყოფის) მიხედვით.

თუ მთლიანად გაერთიანებაში ხელფასის ფონდი არ გადახარჯულა, გაერთიანებას შეუძლია ჩამოსწეროს ცალკეული საწარმოო ერთეულების წარსული პერიოდის ხელფასის ფონდის აუნაზღაურებელი გადახარჯვა.

თუ მთლიანად გაერთიანებაში მიღწეულია ხელფასის ფონდის ეკონომია, გაერთიანებას უფლება აქვს ნება დართოს მიეცეთ პრემიები სრული ოდენობით აგრეთვე საწარმოო ერთეულთა ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებმაც გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა, მაგრამ არ აუნაზღაურებიათ წარსულ პერიოდში დაშვებული ხელფასის ფონდის გადახარჯვა.

საწარმოო ერთეულის ცალკეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფებისათვის დაშვებული ხელფასის ფონდის აუნაზღაურებელი გადახარჯვის შემთხვევაში და მთლიანად საწარმოო ერთეულში ხელფასის ფონდის ეკონომიის დროს ხელმძღვანელ მუშაკთათვის პრემიების მიცემის წესს განსაზღვრავს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

107. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ხელფასის საერთო ფონდის, მმართველობის აპარატის შენახვის ასიგნებათა ფარგლებში და გაერთიანების წესდებით გათვალისწინებული საწარმოო ერთეულების ნუსხის შესაბამისად შეიმუშავებს გაერთიანების სტრუქტურასა და შტატებს ტიპობრივი სტრუქტურის, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შტატებისა და რიცხოვნობის ნორმატივების მიხედვით. გაერთიანების სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

გაერთიანების გენერალური დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე აწესებს და ცვლის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს თანამდებობრივი სარგოების სქემის შესაბამისად და თანამდებობრივი სარგოების სქემის საშუალო სარგოების მიხედვით გამოანგარიშებული ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საწარმოო ერთეულის დირექტორი აწესებს და ცვლის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს თანამდებობრივი სარგოების სქემის შესაბამისად და გაერთიანების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებულ საწარმოო ერთეულის საშტატო განრიგში გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოების მიხედვით გამოანგარიშებული ხელფასის ფონდის ფარგლებში.

გაერთიანების გენერალური დირექტორი ამტკიცებს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯთაღრიცხვას ამ მიზნით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ დაწესებულ ასიგნებათა ფარგლებში.

გაერთიანების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული მმართველობის აპარატის შტატები, სარგოები და მისი შენახვის ხარჯთაღრიცხვა საფინანსო ორგანოებში რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

108. გაერთიანების გენერალურ დირექტორს შეუძლია ნება დართოს გაერთიანების მუშაკებს მივლინებით წავიდნენ გაერთიანებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოო ერთეულებში, დამოუკიდებელ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

109. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევებში მისცეს ცალკეულ მუშაკებს გეგმის გარეშე ავანსი ხელფასის ანგარიშში არა უმეტეს ერთი თვის გამომუშავების ოდენობით.

110. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს გაგზავნოს მოწინავე მუშები და მოსამსახურეები მათი სურვილისამებრ სასწავლებლად უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში და გადაუხადოს მათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადიდებული სტიპენდიები იმ პი-

რობით, თუ ეს მუშაკები იკისრებენ ვალდებულებას სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ დაბრუნდნენ გაერთიანებაში, რომელმაც გაგზავნა ისინი სასწავლებლად. უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლებლად გასაგზავნ პირთა კანდიდატურები, რომელთაც დაუწესდებათ გადიდებული სტიპენდიები, შეირჩევა გაერთიანების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

111. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია მისცეს მუშაკებს მათი თხოვნით ხანმოკლე უხელფასო შვებულება ოჯახური მდგომარეობისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო.

112. საწარმოო ერთეულს შეუძლია 101-ე პუნქტის „ა", „ვ" და „ლ" ქვეპუნქტებში, 105-ე პუნქტის „ბ", „ე" და „ვ" ქვეპუნქტებში, 109-ე და 111-ე პუნქტებში აღნიშნული ღონისძიებანი განახორციელოს გაერთიანების გენერალური დირექტორის მიერ შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით დადგენილი წესით.

### უფლება-მოვალეობანი ფინანსების, კრედიტის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში

113. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს მუშაობის ფინანსების დაგეგმვისათვის, შეიმუშავებს და ახორციელებს საფინანსო გეგმის დავალებათა შესრულების, სამეურნეო ანგარიშის, საგეგმო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცების, რენტაბელობის ამაღლების ღონისძიებებს, უზრუნველყოფს საბრუნავი სახსრების დაცვა-შენარჩუნებას, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებას და მათი ბრუნვადობის დაჩქარებას. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ დაწესებულ ბიუჯეტის გადასახდელების წლიურ და კვარტალურ დავალებათა შესრულებას, ბანკებთან, ტვირთგამგზავნებთან (ტვირთმიმღებებთან), მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან, მუშა-მოსამსახურეებთან დროულად ანგარიშსწორებას ხელფასის და საფინანსო გეგმიდან და ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებათა მიხედვით.

საფინანსო გეგმის შემუშავებისას გაერთიანება უზრუნველყოფს შინაგანი რეზერვების მაქსიმალურ მობილიზაციას, წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირებას და ამის საფუძველზე დაგროვების გადიდებას.

114. ბიუჯეტთან, ტვირთმიმღებებთან (ტვირთგამგზავნებთან), მიმწოდებლებთან და მყიდველებთან, მოიჯარეებთან, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან ანგარიშსწორება, საკრედიტო ურთიერთობა, აგრეთვე ბანკების მხრივ კონტროლი ხელფასის ფონდის ხარჯვისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისადმი ხორციელდება მთლიანად ავტოსატრანსპორტო გაერთიანების ხაზით, მიუხედავად მისი საწარმოო ერთეულების ადგილსამყოფელისა.

საწარმოო ერთეული, რომელსაც აქვს მიმდინარე ანგარიში (საანგარიშსწორებო სუბანგარიში) სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებაში, ხოლო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ანგარიში სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებაში, ტვირთგამგზავნებთან (ტვირთმიმღებებთან), მიმწოდებლებთან, მყიდველებთან და საიჯარო ორგანიზაციებთან ანგარიშსწორებას ახორციელებს სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის მიერ დადგენილი წესით.

გაერთიანებებში, რომლებსაც ექვემდებარებიან დამოუკიდებელი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით გათვალისწინებული უფლებებით, მოგების გადასახდელთა ხაზით ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახდენენ თვით საწარმოები და ორგანიზაციები ან შეიძლება განახორციელოს გაერთიანებამ ცენტრალიზებულად საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

115. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ხსნის დადგენილი წესით ბანკების დაწესებულებებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს და ასრულებს მათ გამო შესაბამის ოპერაციებს.

116. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას შეუძლია ისარგებლოს ბანკის კრედიტით და ეკისრება პასუხისმგებლობა მისი მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისა და დროულად დაბრუნებისათვის.

გაერთიანებისათვის საჭირო კრედიტებზე განაცხადებს იგი წარუდგენს დადგენილი წესით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს.

117. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება განსაზღვრავს საბრუნავი სახსრების ნორმატივებს ელემენტების მიხედვით საერთო ნორმატივის ფარგლებში, აგრეთვე უწესებს საწარმოო ერთეულებს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივებს.

118. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება შეავსებს არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობას, რომელიც წარმოიქმნა მოგების გეგმის შეუსრულებლობის ან მოგებიდან დაფინანსებული ზეგეგმითი ხარჯების განხორციელების გამო, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ დაწესებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით დამატებითი მოგების მიღების დავალებათა შესრულების ხარჯზე, აგრეთვე დადგენილი წესით ამ მიზნისათვის განკუთვნილი ზეგეგმითი მოგების ხარჯზე და ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხების 30 პროცენტამდე ოდენობით შემცირების ხარჯზე.

ცალკეული საწარმოო ერთეულებში მოგების გეგმის შეუსრულებლობის ან მოგებიდან დაფინანსებული ზეგეგმითი ხარჯების განხორციელების გამო წარმოქმნილი საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შევსების წესს (როცა შენარჩუნებულია მთლიანად გაერთიანების მიხედვით დაწესებული საბრუნა-

ვი სახსრების სარეთო ნორმატივი) განსაზღვრავს გაერთიანება იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ნაკლებობა უნდა შეივსოს პირველ რიგში საწარმოო ერთეულის ხარჯზე, რომელშიც იგი წარმოიქმნა, მათ შორის საწარმოო ერთეულისათვის გამოყოფილი ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრების ოდენობის 30 პროცენტამდე ფარგლებში შემცირების ხარჯზე.

119. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით დასამტკიცებლად ტვირთზიდვის, მგზავრთა გადაყვანის (მომსახურების, სამუშაოთა) ტარიფების, ფასების პროექტებს და პასუხს აგებს ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის.

120. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება შეიმუშავებს მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულ ფარგლებში სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებსა და ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მოწყობილობის მოდერნიზაციის, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, საწარმოო პროცესების რაციონალიზაციისა და ინტენსიფიკაციის ღონისძიებათა განსახორციელებლად დანახარჯების ანაზღაურების გაანგარიშებას.

აღნიშნულ გაანგარიშებებს ამტკიცებს გაერთიანების გენერალური დირექტორი.

121. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს ჩამოსწეროს ბალანსიდან მორალურად მოძველებული, გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მოწყობილობა, ინვენტარი და ინსტრუმენტები, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით — სატრანსპორტო საშუალებანი, როცა ამ ქონების აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია და იგი არ შეიძლება რეალიზებულ იქნეს.

გაერთიანებას აგრეთვე უფლება აქვს ჩამოსწეროს ბალანსიდან ახალი ობიექტების მშენებლობასთან ან რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით აღებული, აგრეთვე დაძველებული შენობა-ნაგებობანი.

122. ავტოსატრანსპორტო გაერთიანებას უფლება აქვს ჩამოსწეროს ზარალში, ამასთან შეატყობინოს ამის შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს:

— დებიტორული დავალიანება, რომლის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გავიდა;

— მისჯილი ვალი, რომლის გამო დაბრუნდა აღმასრულებელი დოკუმენტები სასამართლოს მიერ დამტკიცებული აქტით იმის შესახებ, რომ მოპასუხე ვალაუვალია და არ შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება მის ქონებაზე;

— სხვა ვალი, რომლის მიღება გაერთიანებამ უიმედოდ სცნო.

123. ავტოსატრნასპორტო საწარმოო გაერთიანებას უფლება აქვს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსათვის შეტყობინებით ჩამოსწეროს თავისი ბალანსიდან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში 100 მანეთამდე ფარგლებში:

— ფასეულობათა დანაკლისი ზარალის ნორმების გადამეტებით, აგრეთვე საქონლის, მასალებისა და პროდუქციის გაფუჭებით გამოწვეული დანაკლისები იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული დამნაშავენი დადგენილი არ არიან;

— სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისით გამოწვეული ვალი, რომლის გადახდევინებაზე სასამართლომ უარი თქვა სარჩელის უსაფუძვლობის გამო.

124. ამ დებულების 123-ე და 124-ე პუნქტებით გათვალისწინებული ზარალის ჩამოწერა ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ბალანსიდან შეიძლება მხოლოდ ზარალის მიზეზების საგულდაგულო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, შემოწმების, ამ საქმეში დამნაშავე პირთა გამოვლენის შემდეგ და ზარალთან დაკავშირებით დაკარგული თანხების მათთვის გადასახდევინებლად საჭირო ზომების მიღების შემდეგ.

125. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება შეიმუშავებს და ამტკიცებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის შემოსავლის გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებს, პროფკავშირული ორგანიზაციებისათვის უფასო სარგებლობაში გადაცემული შენობების, სადგომების, ნაგებობების, ბაღების, პიონერბანაკების სამეურნეო მოვლა-შენახვის ხარჯთაღრიცხვებს.

126. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ახორციელებს საბუღალტრო, აგრეთვე ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვას, დადგენილი წესით შეადგენს და წარუდგენს შესაბამის ორგანოებს გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით ანგარიშგებას დამტკიცებული ფორმების თანახმად და დაწესებულ ვადებში და პასუხს აგებს მისი უტყუარობისათვის; ახორციელებს სააღრიცხვო-გამოთვლით სამუშაოთა ცენტრალიზაციასა და მექანიზაციას, ნერგავს აღრიცხვის პროგრესულ მეთოდებს.

გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შედიან სხვა რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოო ერთეულები, უზრუნველყოფს სტატისტიკური ორგანოებისათვის ანგარიშგების წარდგენას თითოეული საწარმოო ერთეულის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დადგენილი წესით.

127. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებაში იქმნება გაერთიანებული არქივი ყველა საწარმოო ერთეულის დოკუმენტების შესანახად. გაერთიანების ადგილსამყოფელის ფარგლებს გარეთ განლაგებულ საწარმოო ერთეულებში შეიძლება შეიქმნას არქივები უშუალოდ მათი მომსახურებისათვის.

## V. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

128. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა და გამოყოფა) და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

129. იმ შემთხვევაში, როცა ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება უერთდება სხვა გაერთიანებას, საწარმოს, ორგანიზაციას, თითოეული მათგანის ყველა ქონებრივი უფლება-მოვალეობა გადადის შეერთების შედეგად წარმოქმნილ გაერთიანებაში

თუ გაერთიანებას უერთდება სხვა გაერთიანება, საწარმო, ორგანიზაცია, მასთან გადადის მიერთებული გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის ყველა ქონებრივი უფლება-მოვალეობა.

130. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების გაყოფის შემთხვევაში ამ გაყოფის შედეგად წარმოქმნილ ახალ გაერთიანებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს გადაეცემათ გაყოფის აქტის მიხედვით რეორგანიზებული გაერთიანების ქონებრივი უფლება-მოვალეობის შესაბამისი ნაწილები.

გაერთიანებიდან ახალი გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის გამოყოფის შემთხვევაში მათ გადაეცემათ გამოყოფის აქტის მიხედვით რეორგანიზებული გაერთიანების ქონებრივი უფლება-მოვალეობის შესაბამისი ნაწილები.

131. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ლიკვიდაციის წესსა და ვადას განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. ამასთან დადებულ ხელშეკრულებათა შესრულების წესის საკითხს წყვეტს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის ზიანის მიუყენებლად.

სალიკვიდაციო გაერთიანებისადმი კრედიტორთა მიერ პრეტენზიების წაყენების ვადას აწესებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, მაგრამ იგი ერთ თვეზე ნაკლები არ შეიძლება იყოს.

132. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების ლიკვიდაციას ახორციელებს ან საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია, ანდა ამ სამინისტროს დავალებით სალიკვიდაციო გაერთიანების უფროსი, გენერალური დირექტორი.

133. სალიკვიდაციო კომისია ან საჭირო შემთხვევებში — სალიკვიდაციო ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების უფროსი, გენერალური დირექტორი პრესის ოფიციალურ ორგანოში გაერთიანების ადგილსამყოფელის მიხედვით აქვეყნებს ცნობას გაერთიანების ლიკვიდაციისა და კრედიტორთა მიერ პრეტენზიების წაყენების ვადის შესახებ. მიუხედავად ამისა, სალიკვიდაციო კომისია ან სალიკვიდაციო გაერთიანების უფროსი მოვალენი არიან მათთან არსებული მასალების მიხედვით გამოავლინონ გაერთიანების კრედიტორთა ყველა პრეტენზია და შეატყობინონ მათ მისი ლიკვიდაციის შესახებ.

პრეტენზიები სალიკვიდაციო გაერთიანებისადმი კმაყოფილდება მისი ქონებიდან, რომელზეც კანონის მიხედვით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

კრედიტორთა მიერ პრეტენზიების წასაყენებლად დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ გამოვლენილი და წაყენებული პრეტენზიები კმაყოფილდება ზემოაღნიშნული ქონების ნაშთიდან, რომელიც წარმოიქმნა გამოვლენილი

ეროვნული

პრეტენზიების, აგრეთვე დაწესებულ ვადაში წაყენებული პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ.

ლიკვიდაციის ვადის განმავლობაში გამოუვლინებელი და წაუყენებელი პრეტენზიები, აგრეთვე სალიკვიდაციო გაერთიანების ქონების ნაკლებობის გამო დაუკმაყოფილებელი პრეტენზიები დაფარულად ითვლება. ასევე მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარულად ითვლება პრეტენზიები, რომელთაც არ სცნობს სალიკვიდაციო გაერთიანების სალიკვიდაციო კომისია, თუ პრეტენზიის მთლიანად ან ნაწილობრივ არცნობის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში კრედიტორები არ წაუყენებენ სარჩელს პრეტენზიების დაკმაყოფილების შესახებ.

134. დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სრული მოშლის ანდა სიკვდილის გამო დროებითი გადასახდელები, რაც ეკისრება სალიკვიდაციო ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას, გაიცემა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ჯანმრთელობის მოშლასთან ან სიკვდილთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურების შესახებ მოქალაქეთა პრეტენზიები და სარჩელები, აგრეთვე ლიკვიდაციის დამთავრებამდე საპატიო მიზეზით წარუდგენელი სხვა პრეტენზიები და სარჩელები შეიძლება შემდგომ წარედგინოს საერთო წესით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შეუძლია მის მიერ აღიარებული ან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული მოთხოვნის დაკმაყოფილება დააკისროს თავის დაქვემდებარებულ გაერთიანებას, საწარმოსა და ორგანიზაციას, რომელმაც მიიღო ლიკვიდირებული გაერთიანების ქონება.

135. ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება ქართულ და რუსულ ენებზე.

საწარმოო ერთეულს აქვს ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია მისი დასახელება ქართულ და რუსულ ენებზე.

**42** **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 12 ნოემბრის № 802 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემირების წესის დებულების მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 12 ნოემბრის № 802 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემირების წესის დებულების მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვები: „11 პროცენტი“ შეიცვალოს სიტყვებით: „15 პროცენტი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 19 ივნისი, № 411.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 43 საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

„აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 14 ნოემბრის № 1114 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 24 ივნისი, № 419.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 24 ივნისის № 419 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი (საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი) არის საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის სახელმწიფო მართვის ცენტრალური საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობას, ჩაის, კვების, ხორცისა და რძის, ღვინის მრეწველობას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებასა და მატყლის პირველადს დამუშავებას, მშენებლობას, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმო-ორგანიზაციების საწარმოო მომსახურებასა და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, აგრეთვე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დარგთაშორის მართვას მარცვლეულის მიღებისა და გადამუშავების, მიწების მელიორაციის, სატყეო და თევზის მეურნეობის დარგში.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად კისრულობს მთელ პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, მისი შესყიდვისა და საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში მიწოდების გეგმების შესრულებისათვის, აღნიშნული პროდუქციის უფრო ღრმა და კომპლექსური გადამუშავებისათვის, მისი დაცვისათვის, სასურსათო საქონლის ასორტიმენტის გაუმჯობესებისა და ხარისხის ამაღლებისათვის, ამის საფუძველზე კვების პროდუქტებით მოსახლეობის, ხოლო ნედლეულით მრეწველობის მყარი მომარაგების უზრუნველყოფისათვის, საჭირო სახელმწიფო რეზერვებისა და საექსპორტო რესურსების შექმნისათვის.

2. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მთავარი ამოცანებია:

— სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულების, აგროსამრეწველო წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ძირითად პრობლემათა გადაჭრა;

— არსებული საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის, უწინარეს ყოვლისა, მიწის, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება და ამის საფუძველზე მარცვლეულის, ხორცის, რძის, სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის დარგების სხვა პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდება;

— პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა, სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულება, სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვის უზრუნველყოფა;

— წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული დაგეგმვა, დაფინანსება და მისი განვითარების რესურსებით უზრუნველყოფა რესპუბლიკის თითოეული რეგიონის შესაძლებლობათა და თავისებურებათა რაც შეიძლება სრული გამოყენების გათვალისწინებით;

— აგროსამრეწველო კომპლექსის როგორც სახალხო მეურნეობის ერთიანი შემადგენელი ნაწილის ყოველმხრივ განვითარება მასში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული კავშირურთიერთობის განმტკიცების გზით;

— რესპუბლიკის რეგიონების მიხედვით აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების შეწონასწორებული განვითარების უზრუნველყოფა, გადამამუშავებელ მრეწველობასთან სოფლის მეურნეობის ინტეგრაციის განხორციელება, პროდუქციის შენახვისა და ტრანსპორტირების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;

— წარმოების რაციონალური განლაგება, სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის განვითარება რესპუბლიკის თითოეული რეგიონისა და დარგის შესაძლებლობათა და თავისებურებათა გათვალისწინებით;

— მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მეთოდებისა და სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობის სრულყოფა, მეცნიერულად დასაბუთებული ფასწარმოქმნის განხორციელება, კოლექტიური იჯარის და მუშაკთა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სხვა პროგრესული ფორმების დანერგვა და მათი მაქსიმალური ორიენტაცია მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად, დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ნორმატიული მეთოდების ფართოდ გამოყენება;

— აგროსამრეწველო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაცია, შრომის ნაყოფიერების ამაღლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, პროდუქციის გადამამუშავებელი და შესანახი საწარმოების, სასოფლო სამშენებლო და წყალსამეურნეო ორგანიზაციების, სატყეო და თევზის მეურნეობის საწარმოო მომსახურებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამიმდევრული განმტკიცების საფუძველზე და მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება;

— ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება სოფლის მეურნეობაში, აგროსამრეწველო კომპლექსის გადამამუშავებელ დარგებში, წარმოების მექანიზაციის, ელექტრიფიკაციისა და ქიმიზაციის, მიწების მელიორაციის დარგში და სასოფლო მშენებლობაში, საწარმოო მომსახურებასა და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში, აგრეთვე ნიადაგის რაციონალურ გამოყენებასა და მისი ნაყოფიერების კვლავწარმოებაში, მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა-შენარჩუნების უზრუნველყოფაში;

ბიბლიოთეკა

— პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა, სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულება, სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვის უზრუნველყოფა;

— წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული დაგეგმვა, დაფინანსება და მისი განვითარების რესურსებით უზრუნველყოფა რესპუბლიკის თითოეული რეგიონის შესაძლებლობათა და თავისებურებათა რაც შეიძლება სრული გამოყენების გათვალისწინებით;

— აგროსამრეწველო კომპლექსის როგორც სახალხო მეურნეობის ერთიანი შემადგენელი ნაწილის ყოველმხრივ განვითარება მასში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული კავშირურთიერთობის განმტკიცების გზით;

— რესპუბლიკის რეგიონების მიხედვით აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების შეწონასწორებული განვითარების უზრუნველყოფა, გადამმუშავებელ მრეწველობასთან სოფლის მეურნეობის ინტეგრაციის განხორციელება, პროდუქციის შენახვისა და ტრანსპორტირების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;

— წარმოების რაციონალური განლაგება, სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის განვითარება რესპუბლიკის თითოეული რეგიონისა და დარგის შესაძლებლობათა და თავისებურებათა გათვალისწინებით;

— მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მეთოდებისა და სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობის სრულყოფა, მეცნიერულად დასაბუთებული ფასწარმოქმნის განხორციელება, კოლექტიური იჯარის და მუშაკთა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სხვა პროგრესული ფორმების დანერგვა და მათი მაქსიმალური ორიენტაცია მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად, დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ნორმატიული მეთოდების ფართოდ გამოყენება;

— აგროსამრეწველო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაცია, შრომის ნაყოფიერების ამაღლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, პროდუქციის გადამმუშავებელი და შესანახი საწარმოების, სასოფლო სამშენებლო და წყალსამეურნეო ორგანიზაციების, სატყეო და თევზის მეურნეობის საწარმოო მომსახურებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამიმდევრული განმტკიცების საფუძველზე და მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება;

— ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება სოფლის მეურნეობაში, აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელ დარგებში, წარმოების მექანიზაციის, ელექტრიფიკაციისა და ქიმიზაციის, მიწების მელიორაციის დარგში და სასოფლო მშენებლობაში, საწარმოო მომსახურებასა და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში, აგრეთვე ნიადაგის რაციონალურ გამოყენებასა და მისი ნაყოფიერების კვლავწარმოებაში, მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა-შენარჩუნების უზრუნველყოფაში;

— სასელექციო მუშაობის, სანაშენო საქმის ეფექტიანობის ამაღლება, საჭირო მანქანათა სისტემების დანერგვა, სასუქების, მელიორაციისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების რაციონალური გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის განუხრელი ზრდის მიზნით;

— კაპიტალური მშენებლობისა და საპროექტო საქმის სრულყოფა აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში, სახსრებისა და მატერიალური რესურსების ეკონომიური გამოყენება, კაპიტალურ დაბანდებათა პირველ რიგში წარმართვა მოქმედ წარმოებათა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის, დისპროპორციების აღმოფხვრა, განსაკუთრებით პროდუქციის გადამუშავებაში, შენახვასა და ტრანსპორტირებაში, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგთა პროპორციული განვითარების უზრუნველყოფა;

— მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის გაღრმავება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების, სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრების, დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების შექმნისა და სხვა ორგანიზაციული ფორმების გამოყენების საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ინტენსიური ენერგიადამზოგველი და რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების აქტიურ დანერგვას;

— სოფლის სოციალური გარდაქმნის კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელება, კადრების მომზადებისა და გადამზადების ორგანიზაცია აგროსამრეწველო წარმოების ყველა დარგის ინტენსიური განვითარების გზაზე გადაყვანის გათვალისწინებით, კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა;

— მოკავშირე რესპუბლიკებთან და ქვეყნის ოლქებთან ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირურთიერთობის ეფექტიანობის ამაღლება;

— სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარება მუშაობის მაღალი საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლების მისაღწევად, წარმოების მართვაში შრომითი კოლექტივების ფართო მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

3. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგრომრეწვები, რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებანი, მათი საქვეუწყებო საბჭოთა მეურნეობები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი და საწარმოები, მათ შორის სამელიორაციო სისტემათა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის საწარმოები და საწარმოო სამმართველოები, აგრეთვე კოლმეურნეობები ქმნიან საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ერთიან სისტემას და შედიან სსრ კავშირის სახაგრომრეწვის სისტემაში.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი ხელმძღვანელობს მისდამი რწმუნებულ დარგებს, როგორც წესი, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგრომრეწვების, რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებების, რესპუბლიკური გაერთიანებების მეშვეობით და

მართავს რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს უშუალოდ ან თავის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კოლმეურნეობებისადმი სახელმწიფო ხელმძღვანელობას და ხელს უწყობს კოლმეურნეობათა რესპუბლიკურ საბჭოს საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე მისთვის დაკისრებული ამოცანების განხორციელებაში.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს.

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში საქართველოს სსრ სახაგრომრეწვთან ერთად შედიან საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სს რესპუბლიკაში სამელიორაციო მშენებლობის მთავარი სამმართველო (საქმთავარწყალმშენი), რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთევზმრეწვი", აგრეთვე საქართველოს სსრ მომხმარებელთა საზოგადოებების კავშირი (ცეკავშირი) მისი წესდებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და უფლებების შენარჩუნებით.

4. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი დადგენილი წესით ახორციელებს დაგეგმვასა და დაფინანსებას საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სს რესპუბლიკაში სამელიორაციო მშენებლობის მთავარი სამმართველოს (საქმთავარწყალმშენის), რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთევზმრეწვის" მიხედვით, უზრუნველყოფს აგროსამრეწველო კომპლექსის როგორც ერთიანი მთლიანის მართვას.

5. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მათი პრეზიდიუმების სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის ბრძანებებით, მითითებებითა და ინსტრუქციებით, ამ დებულებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი განაზოგადებს აგროსამრეწველო კომპლექსში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და წარუდგენს დადგენილი წესით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, იღებს ზომებს კომიტეტის სისტემის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს დადგენილებებს, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, აგრეთვე იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ

სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის

6. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მონაწილეობით აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) აგროსამრეწველო კომპლექსების განვითარებას, შეიმუშავებს შესაბამის მაჩვენებლებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების), საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში შემავალი რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე უშუალოდ დაქვემდებარებული გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიხედვით და უზრუნველყოფს მათ საჭირო რესურსებით.

აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების შემუშავებულ საკონტროლო ციფრებს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და დადგენილი წესით მოწონების შემდეგ ეს ციფრები დაეგზავნებათ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, რაიონების (რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში არ შედიან) აგროსამრეწველო გაერთიანებებს ერთიან სტრიქონად დარგების მიხედვით დაყოფის გარეშე და საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების), აგრეთვე საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში შემავალი რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების საფუძველზე შეადგენს საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური და ხუთწლიანი გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ დადგენილი წესით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახაგრომრეწვს;

დაუგზავნის დაწესებული ნუსხის მიხედვით ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმებით დამტკიცებულ მაჩვენებლებს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგრომრეწვებს, რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებებს, აგრეთვე უშუალოდ კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ გაერთიანებებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

ბ) ანაწილებს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვისათვის გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდებს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგრომრეწვების, რაიონების (ქალაქების), საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების და უშუალოდ კომიტეტისადმი დაქვემდებარებული გაერთიანებების, დაწესებულებებისა და ორგანი-

ზაციების მიხედვით, აგრეთვე ორგანიზაციას უწევს მათს რეალიზაციის საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ერთიანი სისტემის მეშვეობით; ახორციელებს დადგენილი წესით სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მომარაგების ფუნქციებს.

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უზრუნველყოფა საქართველოს სსრ სახმომარაგების ნომენკლატურის პროდუქციით, რომელიც ცენტრალიზებულად არ ნაწილდება, ხორციელდება საქართველოს სსრ სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით;

თავის განკარგულებაში აქვს გაუთვალისწინებელ სამუშაოთა ოპერატიულად შესრულების ორგანიზაციისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური რეზერვები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი ოდენობით;

გ) დადგენილი წესით შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელი დარგების პროდუქციის განაწილების ბალანსებსა და გეგმებს, უზრუნველყოფს გამოყოფილი ფონდების შესაბამისად განაწილების ბალანსებსა და გეგმებში შეტანილი ნედლეულისა და პროდუქციის მიწოდებას;

ამტკიცებს საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში მისაწოდებელი და საერთო-საკავშირო ფონდიდან და იმპორტის ხაზით მისაღები ბოსტნეულის, ბაღჩეული კულტურების, ხილისა და კენკრის, ყურძნის, ციტრუსების, კარტოფილის, ხმელი ხილის (ჩირის) და ხილბოსტნეულის კონსერვების განაწილების გეგმებს, ორგანიზაციას უწევს ამ პროდუქციის მიწოდებას მომხმარებელთათვის, აგრეთვე ამტკიცებს თევზისა და ძვალ-ხორცის ფქვილის, საკვები საფუვრის, ბადაგისა და სხვა პროდუქციის გამოყენების გეგმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით;

ამტკიცებს დადგენილი წესით სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის (სახელმწიფო რესურსებიდან სათესლედ გამოყოფილი მარცვლეული კულტურების თესლის მოცულობის ფარგლებში) და სარგავი მასალის, აგრეთვე სანაშენე პირუტყვისა და მოზარდეული ფრინველის შესყიდვისა და განაწილების გეგმებს და უზრუნველყოფს მათს რაციონალურ გამოყენებას;

დ) განსაზღვრავს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების განვითარების ძირითად მიმართულებებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ოცწლიანი (ხუთწლეულების მიხედვით) კომპლექსური პროგრამისათვის და წარუდგენს შესაბამის წინადადებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახაგრომრეწვს;

განსაზღვრავს მეცნიერული კვლევისა და მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ეფექტიანი გამოყენების ძირითად მიმართულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ აგროსამრეწველო კომპლექსის დარგთა განვითარების მაღალ ტექნიკურ დონეს; ადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემაში სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და საპროექტო-

ტექნოლოგიურ სამუშაოთა დაგეგმვისა და დაფინანსების წესს;

აგროსამრეწველო კომპლექსში გამოკვლევათა სამეცნიერო უზრუნველყოფასა და კოორდინაციას ახორციელებს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილება;

სსრ კავშირის სახაგრომრეწვთან შეთანხმებით ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს სამეცნიერო დაწესებულებებს დამტკიცებული მუშაკთა რიცხოვნობისა და მეცნიერების განვითარების ასიგნებათა ფარგლებში, წყვეტს საქვეუწყებო სამეცნიერო დაწესებულებათა დაქვემდებარების შეცვლის საკითხებს, ქმნის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებს, ახორციელებს მათს, აგრეთვე საპროექტო-ტექნოლოგიური და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საცდელი სადგურების თანდათანობით გადაყვანას სამეურნეო ანგარიშზე, ქმნის სპეციალურ ფონდებს შეკვეთა-განრიგების საფუძველზე სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-ტექნოლოგიურ და საკონსტრუქტორო სამუშაოთა დასაფინანსებლად მთლიანად დამთავრებული და შემკვეთის მიერ მიღებული სამუშაოს ანაზღაურებით;

ე) უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების, ცხოველთა მაღალპროდუქტიული ჯიშების, ტიპების, ხაზებისა და ჰიბრიდების, ინტენსიური რესურსდამზოგველი და უნარჩენო ტექნოლოგიების, ახალ სახეობათა პროდუქციისა და წარმოების ორგანიზაციის მეთოდების შექმნასა და დანერგვას წარმოებაში, წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების დამუშავებასა და გადამუშავებას, აგრეთვე მეორეული ნედლეულის გამოყენებას საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემაში;

ვ) განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემის აგროსამრეწველო წარმოებისა და მშენებლობის ბაზის კომპლექსური მექანიზაციის, ელექტრიფიკაციის, გაზიფიკაციის, თბოფიკაციის განვითარების ძირითად მიმართულებებს;

უზრუნველყოფს ტექნიკის მზადყოფნის მაღალ დონესა და ეფექტიან გამოყენებას, დადგენილი წესით ორგანიზაციას უწევს მოწყობილობის, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის საშუალებათა რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას, აგრეთვე ტექნოლოგიური, სარემონტო-ტექნოლოგიური და სასაწყობო მოწყობილობისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დამზადებას;

ახორციელებს დადგენილი წესით სახელმწიფო ზედამხედველობას მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციისადმი, მათი რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარისხისადმი, ნავთობპროდუქტების გამოყენებისადმი;

შეაქვს დადგენილი წესით წინადადებანი მანქანების, მოწყობილობის, მასალებისა და ტარის, სამარაგო ნაწილების, ნავთობპროდუქტებისა და ნავთობტარის, საკვებისა და სამრეწველო წარმოების საკვები დანამატების, ქიმიური და სოფლის მეურნეობასა და მრეწველობის გადამმუშავებელ დარგებში გამოყენებული სხვა პროდუქციის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობე-

ბის შესამუშავებლად და გადასასინჯად, კონტროლს უწევს აგროსამრეწველო კომპლექსისათვის მისაწოდებელ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა ხარისხს, შეაქვს წინადადებანი ამძველებული მანქანების, მოწყობილობისა და სხვა პროდუქციის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

ზ) ორგანიზაციას უწევს მუშაობას მიწის სახელმწიფო აღრიცხვისა და მიწის კადასტრის ხაზით, მიწის რესურსების გამოყენების გენერალური გეგმების, მიწათმოწყობის სქემებისა და პროექტების შესადგენად, ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის აგროტექნიკურ, სამელიორაციო და ჰიდროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განსახორციელებლად, დადგენილი წესით სახელმწიფო კონტროლს უწევს მიწის გამოყენებასა და დაცვას და ხელმძღვანელობს რესპუბლიკის მიწათმომწყობ სამსახურს;

თ) ორგანიზაციას უწევს საველექციო-სანაშენო მუშაობას მეცხოველეობაში; ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სავეტერინარო სამსახურს და ახორციელებს სახელმწიფო სავეტერინარო კონტროლს;

ორგანიზაციას უწევს დადგენილი წესით საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემის საწარმო-ორგანიზაციების, სხვა სამინისტროებისა და უწყების, აგრეთვე პირადი საკუთრების პირუტყვისა და ფრინველის მქონე მოქალაქეთა უზრუნველყოფას მედიკამენტებით, ბიოპრეპარატებით, სადეზინფექციო საშუალებებით, სავეტერინარო-ზოოტექნიკური დანიშნულების ინსტრუმენტებით, ხელსაწყოებითა და მოწყობილობით;

ი) უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას, ამტკიცებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების წინადადებათა გათვალისწინებით სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა, სამშენებლო-სამონტაჟო, მომმარაგებელ და სატრანსპორტო ორგანიზაციათა განლაგების სქემებს, ახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას, უზრუნველყოფს ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების დროულად ამოქმედებას და ათვისებას ნორმატიულ ვადებში, აგრეთვე ამტკიცებს დადგენილი წესით საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემაში ობიექტების დაპროექტების დავალებებსა და სატიტულო სიებს;

ახორციელებს ერთიან ტექნიკურ პოლიტიკას აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო ობიექტების დაპროექტების დარგში, საქართველოს სსრ სახმშენთან ერთად ორგანიზაციას უწევს სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმარებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანების პროექტების შემუშავებას, უზრუნველყოფს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზას და მის დამტკიცებას დადგენილი წესით;

კ) განსაზღვრავს საქართველოს სს რესპუბლიკაში სამელიორაციო მშენებლობის მთავარი სამმართველოს მონაწილეობით მიწების მელიორაციის განვითარების ძირითად მიმართულებებს, სამელიორაციო სამუშაოთა კაპიტალური დაბანდებისა და დაფინანსების ლიმიტებს, გასცემს დაპროექტების დავალებებს, ახორციელებს პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზას,

ორგანიზაციას უწევს მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებას;

წყვეტს დადგენილი წესით საირიგაციო ნაგებობათა მუშაობის რეჟიმთან დაკავშირებულ საკითხებს, ამასთან, უზრუნველყოფს წყალმოსარგებლეებს სარწყავი წყლით; ორგანიზაციას უწევს წყლის რესურსების რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას;

უზრუნველყოფს თავის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო (სამეურნეობათაშორისო) სარწყავი და საშრობი სისტემების, საირიგაციო და სამელიორაციო ნაგებობების, სასოფლო წყალსადენებისა და საძოვარ-გამაწყლოვანებელი სისტემების ექსპლუატაციასა და წესივრულ მდგომარეობაში არსებობას;

ახორციელებს დადგენილი წესით კონტროლს მიწების მელიორაციული მდგომარეობისა და ეფექტიანი გამოყენებისადმი, მელიორირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა საპროექტო მოსავლის მიღების უზრუნველყოფისადმი;

ორგანიზაციას უწევს სამუშაოებს კაპიტალურ და დროებით ნაპირდაცვით ღონისძიებათა განსახორციელებლად;

ლ) უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსა და წიაღის დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოების მოთხოვნების შესრულებას;

მ) ხელმძღვანელობს რესპუბლიკაში აგროქიმიურ სამსახურს, მცენარეთა დაცვისა და კარანტინის სამსახურს, ორგანიზაციას უწევს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებას; ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს მცენარეთა დაცვისა და კარანტინის ღონისძიებათა შესრულებისადმი, აგროტექნიკურ სამუშაოთა წარმოებისადმი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებში, აგრეთვე მოქალაქეთა მეურნეობებში;

ნ) ახორციელებს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის, უყაირათობისა და პროდუქციის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს;

შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემაში მართვის, დაგეგმვის, დაფინანსების, საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების, საქმისწარმოების, საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის, ეკონომიკური სტიმულირების, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებებს; ორგანიზაციას უწევს წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას;

ო) ანაწილებს კოლმეურნეობებისათვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებათა თანხებს, სსრ კავშირის სახბანკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტების ლიმიტებს, არეგულირებს დადგენილი წესით ეკონომიკურ ურთიერთობას საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემის სასოფლო-სამეურნეო,

გადამმუშავებელ, მომსახურე და სხვა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის;

ამტკიცებს დადგენილი წესით თავისი კომპეტენციის ფარგლებში მომსახურების ფასებსა და ტარიფებს, ტექნიკურ-ეკონომიკურ ნორმატივებს, ნედლეულის, სათბობისა და მასალების ხარჯვისა და მარაგის ნორმებს; ორგანიზაციას უწევს კონტროლს კომიტეტის სისტემაში მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენებისადმი, მათი ხარჯვის პროგრესული ნორმების დანერგვისადმი, უზრუნველყოფს წარმოების მასალატევადობის შემცირების შინაგანი რეზერვების გამოვლენას;

პ) უზრუნველყოფს სახელმწიფო კონტროლს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში წარმოებული და გადამუშავებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვისა და ხარისხისადმი, აგრეთვე წყვეტს ამ პროდუქციის ხარისხის შესახებ სადავო საკითხებს;

ჟ) უზრუნველყოფს ტიპობრივი სტრუქტურების, ტიპობრივი შტატების (ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა რიცხოვნობის ნორმატივების), მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და პრემირების ტიპობრივი დებულებების დანერგვასა და სწორ გამოყენებას კომიტეტის სისტემის საბჭოთა მეურნეობებში, სხვა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და მართვის ორგანოებში, აგრეთვე გამომუშავების (მომსახურების) ერთიანი და ტიპობრივი ნორმების დანერგვასა და სწორ გამოყენებას;

რ) დადგენილი წესით ახორციელებს სამეცნიერო-ტექნიკურ და ეკონომიკურ კავშირურთიერთობას საზღვარგარეთის ქვეყნებთან, უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვისათვის განკუთვნილ საქართველოს სსრ ვალდებულებათა შესრულებას, რომლებიც უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობენ;

ს) ხელს უწყობს მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების, კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარებას, ეხმარება საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დამხმარე სასოფლო მეურნეობებს მოზარდეული სანაშენო პირუტყვის, ჯიშიანი თესლის, სარგავი მასალის, სასუქების შეძენაში, აგრეთვე ვეტერინარულ და სხვა მომსახურებაში; ხელს უწყობს დამხმარე წარმოებათა და სარეწთა განვითარებას სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში;

ტ) ორგანიზაციას უწევს ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების მომზადებასა და გადამზადებას, აგრეთვე მასობრივი პროფესიების კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას წარმოებაში, მონაწილეობს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა და ასპირანტურადამთავრებულ პირთა განაწილებაში, ახორციელებს ღონისძიებებს კადრების დასამკვიდრებლად;

ახორციელებს დადგენილი წესით უშუალოდ კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უ) ქმნის საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დადგენილი წესით სპეციალურ პრემირების ფონდს პროდუქციის წარმოების განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის, პროგრესული ტექნოლოგიების, შრომის ორგანიზაციის ფორმებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველმყოფი სხვა საწარმოო მიღწევებისათვის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის განსაკუთრებით წარჩინებულ მუშაკთა წასახალისებლად;

ფ) უზრუნველყოფს პროდუქციის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის მიზნით სახელშეკრულებო ურთიერთობის განმტკიცებას და საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ ვალდებულებათა განუხრელად შესრულებას;

ქ) საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად ორგანიზაციას უწევს სოციალისტურ შეჯიბრებას, ამტკიცებს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემაში რესპუბლიკური შეჯიბრების პირობებს, აარსებს დადგენილი წესით გარდამავალ წითელ დროშებს ფულადი პრემიებითურთ, აჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და ანიჭებს გამარჯვებულ კოლექტივებს გარდამავალ წითელ დროშებსა და ფულად პრემიებს.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ისმენს აგროსამრეწველო კომპლექსის სამინისტროთა და უწყებათა ანგარიშებს, აგრეთვე შეუძლია გადასცეს ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტა საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ჩამოთვლილია ამ დებულების მე-4 პუნქტში, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგრომრეწვებს.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი იქმნება კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და კომიტეტის სხვა წევრთა შემადგენლობით.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარეს და საქართველოს სსრ მინისტრებს, რომლებიც თავმჯდომარის პირველი მოადგილეები არიან, ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებს ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ამავე დროს არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის წევრები არიან აგრეთვე საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრი, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი, საქართველოს სს რესპუბლიკაში სამელიორაციო მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთევზმრეწვის“ უფროსი, საქართველოს სსრ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის (ცეკავშირის) გამგეობის თავმჯდომარე, საქართ-

ველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის მოადგილე, საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგრომრეწვების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მინერალური სასუქების წარმოების სამინისტროს, სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ მსხვილ გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, მეცნიერები.

კომიტეტის სხდომებზე, რომლებიც ტარდება საჭიროების კვალობაზე, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც, განიხილება რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად იქმნება კოლეგია საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის (კოლეგიის თავმჯდომარე), საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილეების (თანამდებობის მიხედვით), აგრეთვე საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის წევრთა რიცხვიდან სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის კომიტეტისა და კოლეგიის წევრთა პერსონალურ შემადგენლობას (მათ შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შემავალ პირთა გარდა) ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის დადგენილებებითა და კომიტეტის ბრძანებებით. კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებზე წინადადებათა განსახილველად, ერთიანი მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკური პოლიტიკის განსასაზღვრავად, მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრების ექსპერტიზის, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და დანერგვის რეკო-

მენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ სახაგრომრეწვში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო მეცნიერთა, მაღალკვალიფიციური სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით. სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარეა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარე.

9. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის შემადგენლობაში შექმნილია არბიტრაჟი სსრ კავშირის სახაგრომრეწვის სისტემის სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის სამეურნეო დავის განსახილველად დავის დაწესებული საქვეუწყებობის ფარგლებში.

10. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის აპარატის სტრუქტურას, მუშაკთა ზღვრულ რიცხოვნობასა და ხელფასის ფონდს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახაგრომრეწვთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე დებულებებს მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ ამტკიცებს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარე.

კვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსს, აგროსამრეწველო კომპლექსის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის მთავარი სამმართველოს უფროსს, საქმეთა მმართველს, აგროსამრეწველო გაერთიანებათა მთავარი სამმართველოს უფროსს, აგრეთვე იმ მთავარი სამმართველოების უფროსთა მოადგილეებს, რომლებსაც სათავეში უდგანან საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილეები, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები შეიძლება გადაყვანილ იქნეს კომიტეტის თავმჯდომარის მიერ სამეურნეო ანგარიშზე.

11. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

ინდექსი—76187

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3, 1986 წ.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/XI-86 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/¹⁶,
საბეჭდი თაბახი 9, სააღრიცხვო თაბახი 9.

შეკვეთა 841 უე 13811 ტირაჟი 2010

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა